


# საერთო გაზეთი

№31 (215) ● 11-17.VII.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

ხელისუფლებამ ვერ გაიგო, რომ ბიძინა ივანიშვილი კრიზისული სიტუაციების მართვის მენეჯერია — ეს განსაკუთრებული ფსიქოტიპია, რომელიც მართვის პულტთან მოკვდება, მაგრამ ფეხს არ მოიცვლის...

## `nebayoflobiTi~ warwymeda ანუ ვის მხარესაა ეკლესია?

## `faSistur-nacionaluri~ saqarTvelo dabranwi `paTologiis muzeumidan~

## სააკაშვილი ხალხის ნდობას ვერ დააყადაღებს

## vano merabiSvils gadarCenis erTaderTi gza aqvs _ unda gadadges da aqedan gaiqces...

ISSN 2233-3983
9 772233 398001








## biZina ivaniSvilTan Cvens Sexvedras is Zalebi blokaven, romlebic ivaniSvils nel-nela amzadeben dasamarcxeblad

შეიძლება, ხელისუფლებამ დაიწყოს გეგმის შემოგდება, თითქოს, მიშა, ვანო ან კოდუები და სხვები ერთმანეთს უპირისპირდებიან, რომ ამით ოპოზიცია მიიტყუონ მოსალაპარაკებლად. მოვუწოდებ ოპოზიციას: არ გადადგას არც ერთი ნაბიჯი ამათკენ.

## dauSvebelia imis fiqrad gavlebac ki, rom SeiZleba saakaSvilis cixeSi biZina ivaniSvili ijdes

## უკრაინა ქუხს, საქართველო დუმს...

## saWesTan mjdarma mixeil saakaSvilma kaci rom gaitana, amaze informacia badri patarkaciSvils hqonda da amis Sesaxeb erTma misma axlobelma politikosmac icis...

# რედაქტორის სვეტი

წუხელ ბათუმში ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე ვილფრედ მარტენსი ჩამობრძანდა და ღიად დაუჭირა მხარი „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერს, რომლებსაც თავიანთი სწორი პოლიტიკით ევროინტეგრაციისკენ მიჰყავთ საქართველო, რასაც თურმე „ოლიგარქი“ ბიძინა ივანიშვილი უშლის ხელს.

აი, სწორედ ამით იყო გამოწვეული ევროპარლამენტის სხდომაზე ბიძინა ივანიშვილის მისამართით განხორციელებული გააფთრებული თავდასხმა, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ იდეოლოგიური ტერაქტი, რომელიც, ვფიქრობ, პერსონალურად მხოლოდ ივანიშვილის კი არა მთელი საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული.



საქართველოს ევროინტეგრაცია — ეს ის ავანტიურა და დემაგოგიაა, რომლის იქით ქართველთა გადაგვარების და გადაკეთების მზაკვრული გეგმა იმალება, რომელსაც დიდი ხალისით და სიბეჯითით ანხორციელებენ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფალნი.

ევროპარლამენტის წარმომადგენელთა ერთი ნაწილის და პერსონალურად ევროპის სახალხო პარტიის შეტევა ბიძინა ივანიშვილზე არ არის არაინფორმაციულობით გამოწვეული შეცდომა.

ამითაა გამოწვეული მარტენსების და ლანცბერგისების მზაკვრული მინიშნებები ქართულ ფაშიზმსა და ნაციზმზე.

**თუ ქართველები ენის, მამულის და სარწმუნოების დასაცავად ხმის ამოღებას ვბედავთ, ე.ი. ფაშისტები და ნაცისტები ვართ?**

ახლა ჯერი ქართველ ხალხზეა, რომელიც დარწმუნებული ვარ, საკადრის პასუხს გასცემს ამ არამკითხე „კეთილისმყოფელებს“ კანტორიდან სახელად „ევროპარლამენტი“.



მათ შესანიშნავად იციან, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, იციან, რა გაუკეთებია მას საქართველოსთვის, რა გაუკეთებია მისი გადარჩენისა და აღორძინებისთვის.

**მათ იციან, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლით იქმნება „საშიშროება“, საქართველომ გაიხსენოს საკუთარი თავი, დაიბრუნოს ღირსების გრძნობა, დაიბრუნოს მხნეობა და არა სხვის ნიადაგზე, არამედ ეროვნულ საძირკველზე ააშენოს ნამდვილი ქართული სახელმწიფო, რაც არამც და არამც არ შედის ქართველთა გაევროპელება-გადაჯიშების მოსურნეთა გეგმაში.**

**P.S. ადრე ევროპარლამენტის სახელით მათიას იორში დადიოდა აქ არჩევნების დროს და, როგორც ამბობენ, გაყალბებული არჩევნების „გაპრავებით“ დიდ ფულს შოულობდა.**

**იორშს, ეტყობა, მარტენსები ჩაენაცვლნენ და მომავალ საპრალმენტო არჩევნებში ახლა ისინი „დაგვაკვირდებიან“, რომ მერე დიდი ჰონორარების სანაცვლოდ ქართველი ხალხის არჩევანი კვლავ უტიფრად გააყალბონ.**

**— დამიჯერეთ, დიდი დაკვირვებაა საჭირო ამ თვალთმაქც დამკვირვებლებზე, თორემ ისინი ძველი მეთოდებით ისევ აგვაფცქვნიან მომავალს, როგორც ეს არაერთგზის გაუკეთებიათ...**

**ვახტანგ ხარჩილავა**

# auqcionze gatanil qonebasTan biZina ivaniSvils aranairi Sexeba ar aqvs...

**აბსურდული მიზეზებით დაჯარიმებული ივანიშვილი, აქაოდა, მილიონებს არ გვიხდისო, ხელისუფლებამ ის ქონება დააყადაღა, ანუ „ქართუ ჯგუფი“ და „ქართუ ბანკი“, რომელიც ქველმოქმედ პოლიტიკოსს რეალურად არც არასდროს ეკუთვნოდა. „ქართუ ჯგუფის“ აქციონერებმა სასამართლოს უკვე მიმართეს მათ კუთვნილ ქონებაზე ყადაღის მოხსნის მოთხოვნით, რა დროსაც, წესით, აუქციონი უნდა შეჩერდეს.**

**„საერთო გაზეთს“ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი და უცხოელ აქციონერთა ადვოკატი პაატა კიკნაველიძე ესაუბრნენ.**

**არჩილ კბილაშვილი**: „აუქციონზე გატანილ ქონებასთან ბიძინა ივანიშვილს არანაირი შეხება არ აქვს. გარკვეული კავშირი მიმდინარე წლის 30 აპრილამდე არსებობდა, თანაც ე.წ. მესამე დონეზე, საზღვარგარეთულ იურისდიქციაში, რომელიც, რომც დარჩენილიყო ძალაში, მაინც არ იქნებოდა დარღვევა, ანუ არ შეიძლებოდა აუქციონზე გაეტანათ. მიუხედავად ამისა, 30 აპრილს „ქართუ ჯგუფის“ მთელი პაკეტი 11 უცხოურ კომპანიაზე გასხვისდა, სრულიად სხვა მესაკუთრეები ჰყავს. უფრო კონკრეტულად აგიხსნით, არსებობს სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფი“, რომელსაც ეკუთვნის „ქართუ ბანკი“ და სხვა უძრავი ქონებაც. 30 აპრილამდე „ქართუ ჯგუფის“ აქციები ექვს კომპანიას ეკუთვნოდა, აქედან ოთხი უცხოური იყო, ორი ქართული, თუმცა აქაც იყვნენ უცხოელი პარტნიორები. საზღვარგარეთ ამ ოთხი კომპანიის უკან მესაკუთრე იყო ბიძინა ივანიშვილი. არის მცდელობა „ქართუ ჯგუფი“ ხელში ჩაიგდონ, რადგან, ამ შემთხვევაში, „ქართუ ბანკი“ და სხვა უძრავი ქონებაც, ავტომატურად გადავა ახალი მფლობელის ხელში. ეროვნული ბანკი რომ იმიზეზებს „ქართუ ბანკის“ აქციების გასხვისების შესახებ ჩვენთვის არ უცნობებიათო, კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ნებართვა მაშინაა საჭირო, თუ კომერციული ბანკის აქციების 10%-ზე მეტი სხვისდება. პირველ დონეს თუ განვიხილავთ, „ქართუ ბანკის“ აქციები „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნოდა, აქ ცვლილება არ მომხდარა, ამიტომ ინფორმაცია ეროვნული ბანკისთვის არც უნდა წარედგინათ. მეორე დონეზეც რომ გაავრცელონ იგივე მოთხოვნა, თუ გასხვისება 10%-ს ქვემოთ ხდება და შემძენი 10%-ზე ნაკლებს იძენს, მას ნებართვა არ სჭირდება. 11 სუბიექტმა იყიდა ეს აქციები, ასე რომ, თითოეულის წილი 7-8%-ის ფარგლებშია. მესამე დონეს კი ეს ისედაც არ სჭირდება, რადგან ის საზღვარგარეთაა. ბიძინა ივანიშვილმა თავისი საზღვარგარეთული სახლი რომ გაყიდოს, მას არ სჭირდება საქართველოს იურისდიქციასთან კავშირი და ნებართვა. საქართველოს ხელისუფლება კი ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევს და ბიძინა ივანიშვილს პირველი დონის მესაკუთრედ თვლის.



მაინცდამაინც არც ადვოკატ პაატა კიკნაველიძეს სჯერა, რომ ხელისუფლება ხსენებულ აუქციონს შეაჩერებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ უცხოელი მესაკუთრეები, სააკაშვილის ჯიბის სასამართლოსა და სახელშეცვლილი კონტროლის პალატის გადაწყვეტილებებს უდრტვინველად არ დათანხმდებიან და საკუთარი ინტერესების დასაცავად ბრძოლას გააგრძელებენ.

**პაატა კიკნაველიძე**: „მე გამიჭირდება წინასწარ იმის თქმა, მოსამართლე რა გადაწყვეტილებას მიიღებს აუქციონის შეჩერებასთან დაკავშირებით, თუმცა ქონებაზე ნებისმიერი კერძო დავისას, მხარის უფლებების დარღვევა რომ არ მოხდეს, სასამართლო ყადაღას ადებს სადავო ქონებას. ამით თავიდან იცილებს ამ ქონების გასხვისებას ან იპოთეკით დატვირთვას. ანალოგიური ტიპის სამართლებრივი დაცვის საშუალებაა აუქციონის შეჩერება. თუ მოსამართლემ აუქციონი არ შეაჩერა, ამ შემთხვევაში, არსებითად რაღა უნდა განიხილოს, თუკი ქონების რეალიზაცია მოხდა, ყადაღისგან რას გაათავისუფლებს? ამიტომ ლოგიკური და სამართლებრივია შეჩერება, შეაჩერებდა კიდეც, ეს ჩვეულებრივი კერძო დავა რომ იყოს და არა პოლიტიკური საკითხი. ხელისუფლებას ამ საქმეში არასამართლებრივი ინტერესები გააჩნია, რაც ხელს უშლის საკითხის სამართლებრივ გადაწყვეტას.



თუ აუქციონი არ შეჩერდა, ამის შემდეგ ადგილობრივ სასამართლოში ახალ სარჩელს შევიტანთ და მოვითხოვთ, რომ მთლიანად შემოწმდეს სააღმსრულებო წარმოების კანონიერება. უნდა გაირკვეს, რამდენად კანონიერია ყადაღის დადების აქტი, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ჰქონდა თუ არა სასამართლო აღმასრულებელს იმის უფლება, რომ ერთი პირისგან ჯარიმის ამოღების მიზნით, ყადაღა დაედო სხვა პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, რამდენად კანონიერია, აქედან გამომდინარე, აღმასრულებლის განკარგულება, აუქციონში შესაძლო მონაწილე რომელიმე პირისთვის ამ აქციების გადაცემის, ხოლო თუ აუქციონი არ შედგა, სახელმწიფოსთვის ნატურის გადაცემის შესახებ. ასე რომ, არსებობს შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმები, ამის პარალელურად არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებიც. საქართველო მიერთებულია „იქსიდის“ კონვენციას, რომელიც ნებისმიერ უცხოელ ინვესტორს უფლებას ანიჭებს, რომ



მან თავისი უფლებების დასაცავად, არა ადგილობრივ სასამართლოს, არამედ უშუალოდ საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრს (ვაშინგტონი) მიმართოს.

დაყადაღების აქტში არ არის მითითებული ვისი საკუთრებაა ეს აქციები. ბიძინა ივანიშვილს ვერ მიუთითებდნენ, რადგან აქციათა რეესტრში არ არსებობს შესაბამისი ჩანაწერი, სხვა სუბიექტი რომ მიეთითებინათ, შეუსაბამობა იქნებოდა, ერთს თუ ეკისრება ჯარიმის გადახდა, მეორეს რატომ უყადაღებენ ქონებასო. ერთი სიტყვით, თვალსაჩინოდ არ გამოაჩინეს კონკრეტული სუბიექტი.

საქართველოს მთავრობამ კარგად იცის, რომ მათი გადაწყვეტილების აღსრულების შანსი არც ერთ ევროპულ სახელმწიფოში არ არსებობს, ამიტომ ამ ზომას არ მიმართეს, საქართველოში კი რისი გაკეთებაც უნდათ, აკეთებენ, რადგან იციან, რომ წინ ვერავინ დაუდგება.

**მანანა სუხიშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



## სოციალური ქსელიდან:

„ვეთანხმები „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ხელისუფლების მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებები ერთადერთ მიზანს ემსახურება: — ივლის-აგვისტოს თვეში გადამწყვეტი იერიში მიიტანოს ბიძინა ივანიშვილზე, აღძრას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით ან დააკავოს იგი, ან აიძულოს, ქვეყანა დატოვოს.

ეს რეალური საფრთხეა, თუმცა ამ რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად ჯერჯერობით არაფერი კეთდება.

ხალხო, რა ვქნათ? დავსხდეთ და გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ, როგორ უსწორდებიან მოძალადეები საქართველოსთვის თავდადებულ ამ დიდ მამულიშვილს?

სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?

მაინცდამაინც ივანიშვილმა უნდა გვითხრას, მიშველეთო, ჩვენ თვითონ რატომ ვერ ვხვდებით, რა უნდა გავაკეთოთ და რა უნდა მოვიმოქმედოთ?

ვფიქრობ, ჩვენ, ხალხმა, ჩვენი ინიციატივით უნდა გავმართოთ ივანიშვილის მხარდამჭერი დიდი მიტინგი, მართლაც საერთო-სახალხო ხასიათის თავყრილობა და ამ ხელისუფლებას ღიად ვუთხრათ, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ დევნას, მის შევიწროებას, მის შეურაცხყოფას და მასზე ძალადობას არ დავანებებთ.

ამ აქციაზე აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ საქართველოში აკრედიტებული საელჩოები, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოვიდნენ და დაგვთვალონ, რამდენნი ვართ!

მოვიდნენ და მოგვისმინონ, რა გვინდა!

მოვიდნენ და წაიკითხონ, რა ეწერება ჩვენს ტრანსპარანტებზე!

მშვიდობიანი გზით, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით და პასუხისმგებლობით და, რაც მთავარია, ერთიანობით, ყველა წინააღმდეგობის დაძლევა შეიძლება.

**შემოგვიერთდით!**

# bolo aTi wlis ganmavlobaSi onkologiur daavadebaTa ricxvi mTel saqarTveloSi orjer, bolnisis raionSi ki oTxjer gaizarda



*გვესაუბრება „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი **გიორგი გაჩეჩილაძე**.*

**— ბატონო გია, ლილოს დასახლებაში ქლორის გაჟონვის შედეგად უამრავი ადამიანი მოიწამლა. ოფიციალური მონაცემებით, 80 ადამიანი მოწამლულა, თუმცა მოარული ხმებით, მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. მოწამვლის საფრთხე ისევ თუ არსებობს და ქლორის გარდა, იქ სხვა მომწამვლელი ნივთიერებებიც ხომ არ იყო?**

— ღმერთმა გვიშველა, წვიმები რომ მოვიდა, თორემ ეს მომწამვლელი ნივთიერება ძალზე დიდი მასშტაბით გავრცელდებოდა. უბედურება ისაა, რომ 2010 წელს გააუქმეს კანონი „საშიში ნივთიერებების შესახებ“, რომელიც არეგულირებდა ამგვარ ნივთიერებებთან მოპყრობას, ანუ მათი დასაწყობების, გადაზიდვის, ექსპორტ-იმპორტის, შენახვის წესების დაცვას. ამ კანონის მიხედვით, აკრძალული იყო დასახლებული პუნქტების სიახლოვეს ამდაგვარი ნივთიერებების განთავსება, რადგან ეს საფრთხის შემცველია. იმ საცავში მხოლოდ ქლორი იყო, რადგან ის ფირმა „თბილის-წყალმომარაგებას“, ანუ ისევ რუსეთს ემსახურება, რომელიც მას ხელში ნაციონალებმა ჩაუგდეს. ეს მიმწოდებელი ფირმა ირანულია. აქ მარტო ის კი არ არის საინტერესო, რაც მოხდა, არამედ ის, რომ, როცა ტენდერი გამოცხადდა ქლორის მიწოდებასთან დაკავშირებით, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი უამრავ ფირმას ჰქონდა წარდგენილი, მაინც და მაინც უპირატესობა ამ ირანულ ფირმას მიანიჭა და მას გაამარჯვებინა, ესეც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური საკითხი იყო. ქლორი ნაკლებად ტოქსიკური ნუ გგონიათ. მაღალკონცენტრირებული ქლორი საშინლად ტოქსიკურია და მისი შესუნთქვა ფილტვების დამწვრობას და საშინელ მოწამვლას იწვევს. ადამიანი ცოცხალი რომც გადარჩეს, ქლორი გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც მუშაობს, რადგან სისხლის საშუალებით გადადის მთელ ორგანიზმში და უჯრედებში რჩება. ფილტვის დამწვრობის დროს ირღვევა სისხლის მიმოქცევის სისტემა, რამაც შეიძლება ტვინის უჯრედების კვდომა გამოიწვიოს.

მე იმავე დღეს მივაწოდე მედიას ინფორმაცია, მაგრამ რატომღაც არავინ გააშუქა, რომ არსებობს კანონი საშიში ნივთიერებებით ზიანის მიყენების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების შესახებ. ასე რომ, ყველა ადამიანს, ვინც ზიანი მიიღო ამ ინციდენტთან დაკავშირებით, უფლება აქვს კომპენსაცია მოითხოვოს და მიიღოს.

**— ორი წლის წინ გაუუქმებიათ კანონი სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებით და დაზარალებულებს კომპენსაციას ვინმე გადაუხდის?**

— ეს კანონი კი გააუქმეს, მაგრამ სს-ის კოდექსში არ გაუქმებულა შესაბამისი მუხლი. ასე რომ, დაზარალებულ ადამიანებს კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ, მარტო ვიღაცის დაპატიმრებით პრობლემა არ ამოიწურება. პროკურატურამ უნდა შეისწავლოს ის ხელშეკრულებები, რომელიც თბილისის წყალმომარაგებასა და ამ ფირმას შორისაა დადებული - რა პირობების საფუძველზე აირჩიეს ეს ფირმა, ანუ უსაფრთხოების რა გარანტიების გამო მიანიჭეს მას პრიორიტეტი, თუ მარტო თანხა იყო მათთვის მნიშვნელოვანი. ჩვენ ისიც არ ვიცით, იქ სინამდვილეში რა მოხდა, ავზი გასკდა თუ მართლაც თავი მოსძვრა. ფაქტია, რომ უსაფრთხოება დაცული არ იყო. ქლორს ასეთი თვისება აქვს, თუ ის ისეთ ავზშია მოთავსებული, თანაც დიდი ხნით, რომელიც კარგად არ არის გაწმენდილი, აზოტთან ისეთ ნაერთებს წარმოშობს, რომელიც ფეთქებადია. თუ ეს ნაერთები დაგროვდა, შეიძლება აფეთქდა და ავზი გასკდა. ვიმეორებ, მე არ ვიცი, იქ ზუსტად რა მოხდა, მაგრამ ასეთი ფაქტები არსებობს, ამიტომაც უსაფრთხოების დაცვაა ძირითადი ფაქტორი.

**— მოსახლეობისა და არასამთავრობოების მხრიდან დიდი უკმაყოფილება მოჰყვა რუსთავში საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს გაზგასამართი სადგურის მშენებლობას. თურმე ეს მშენებლობა კანონიერი ყოფილა და ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა თავი იმით იმართლეს, უსაფრთხოების ნორმები სრულად იქნება დაცულიო. არადა, თავის დროზე, როგორც უშიშროების პროფესიონალმა კადრებმა მითხრეს, დაუშვებელია მოსახლეობის სიახლოვეს, მით უმეტეს დედაქალაქში ყოველ ნაბიჯზე ბენზინგასამართი სადგურების გახსნაც. მტერს ტერაქტებისთვის განსაკუთრებული გეგმის შემუშავება არც დაჭირდება, რადგან თითო მოკიდებული ასანთის ღერი რომ შეაგდონ ამ სადგურებში, მთელ თბილისს ჰაერში აწევენო. თქვენი აზრით, ამ მშენებლობებზე ნებართვების გაცემა უცოდინარობით ხდება თუ ყველაფერი ფულთან ასოცირდება?**



- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სისტემები, ვგულისხმობ, როგორც საგარეო, ისე შიდა ფაქტორებს, სახელმწიფოს პრეროგატივაა, მან უნდა უზრუნველჰყოს, რაც საკანონმდებლო დონეზე ხდება. როდესაც საშინელი კორუფციაა ქვეყანაში, შესაბამისი კანონმდებლობა რომც არსებობდეს, მას მაინც არავინ აქცევს ყურადღებას. მაინც აშენებენ, შეიძლება მეპატრონე რაღაც მინიმალური თანხით დააჯარიმონ, მაგრამ ის იმ ობიექტს შეინარჩუნებს და ფულს გააკეთებს. თანაც მარტო ბენზინ და გაზგასამართ სადგურებზე არ არის აქ ლაპარაკი. გნებავთ, ქლორის ეს გაჟონვა ავიღოთ. გარდა ამისა, იმაზეც ვისაუბროთ, თუ როგორ წამლავენ მოსახლეობას სასმელი წყლითა და თუნდაც ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, იმპორტულზე აღარაფერს ვამბობ. მიმდინარე წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც კერძო სუბიექტებს ყველაფრის უფლება მიეცათ, ანუ თუ ფულს გადაიხდიან, შეუძლიათ გაანადგურონ გარემო, გადაწვან ტყეები, წყალში ჩაასხან შხამები, უფრო მეტიც, ადამიანებს სახეში შეასხურონ ტოქსიკური ნივთიერებები და მათ ამაზე პასუხს არავინ მოთხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით „მწვანეთა პარტიამ“ აპრილში პარლამენტთან ხალხმრავალი აქციაც მოაწყო, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრმა ტელევიზიამ ეს არ გააშუქა. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ველოდებოდით, ფულის გადახდის სანაცვლოდ, რომელ კომპანიას ეპატიებოდა ყველა ის სს-ის დანაშაული, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ჰქონდა ჩადენილი. პირველი „შეწყალებული“ ს/ს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ მფლობელი რუსული „კაპიტალ ჯგუფია“, რომელიც ამუშავებს ბოლნისის საბადოებს, მოპოვებული ოქროსა და სპილენძის ექსპორტს ეწევა, კოლოსალური ოდენობის ფულს შოულობს, სამაგიეროდ, ტოქსიკური ნივთიერებებით წამლავს მთელ ბოლნისის რაიონს. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ამ საშინელი კანონის საფუძველზე მიღებული შეთანხმება, ამ რუსულ კომპანიასა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის, რომლის მიხედვითაც „კაპიტალ ჯგუფს“ ყველაფერი ეპატიება, რაშიც მან 13 მილიონი ლარი უნდა გადაიხადოს, თანაც ერთბაშად კი არა, 2014 წლამდე გაწერილი გრაფიკით.

ხსენებული კანონის მიხედვით, არავის აქვს უფლება შეთანხმებით განსაზღვრულ პერიოდში შეამოწმოს, კონტროლი გაუწიოს ან რაიმე სხვა ღონისძიება გაატაროს იმ კომპანიების მიმართ, ვისაც ფული აქვს გადახდილი. ხსენებული საწარმოებიდან გამოსული საწამლავი ჩაედინება მდინარე კაზრეთულასა და მაშავერაში, აქ გაკეთებული 31-კილომეტრიანი სარწყავი სისტემით კი 15 სოფლის სავარგულები ირწყვება. ამ სოფლებში მცხოვრებ 7 ათას კომლს ხომ წამლავენ და იწამლება ლამის მთელი ქვემო ქართლი და თბილისიც, რადგან იქ მოწეული ხილი და ბოსტნეული ყველგან იყიდება. ქართველი და გერმანელი ექსპერტების დასკვნებით, სასმელ და სარწყავ წყლებში, ნიადაგში, მცენარეებსა და პროდუქტში ისეთი მაღალტოქსიკური ნივთიერებებია გადასული, როგორიცაა სპილენძი, თუთია, კადმიუმი, თითბერი და ა.შ. სასმელ წყალში ამ მძიმე ლითონების შემცველობა დასაშვებზე 33-ჯერ მეტია, სარწყავ წყალში სპილენძის შემცველობა 40-ჯერ აღემატება დასაშვებს. ამიტომაცაა ბოლნისის რაიონში დაავადებათა მხრივ კატასტროფული მდგომარეობა - ანემიები, ონკოლოგიური დაავადებები, მახინჯი ბავშვების დაბადება. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში თუ მთელ საქართველოში გაორმაგდა ონკოლოგიურ დაავადებათა რაოდენობა, ბოლნისის რაიონში ოთხჯერ არის გაზრდილი. აი, ამაში გადაახდევინეს რუსებს ფული და იგივე უნდა გაგრძელდეს.



**— როგორც თვითმხილველებმა მითხრეს, ოქროს და სპილენძის მოპოვება ღია კარიერებში ხდება, რომლებსაც შემდეგ ატმოსფერული ნალექები რეცხავს და ეს სითხე ყოველგვარი გაწმენდის გარეშე მდინარეში ჩაედინება...**

— ღია კარიერები მთელ მსოფლიოში არსებობს, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში უსაფრთხოება სრულად არის უზრუნველყოფილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ მომუშავე კომპანიებს მარტო გაკოტრებას არ აკმარებენ, რადგან იმ ქვეყნებში მძლავრი კანონმდებლობა მოქმედებს. იქ თუ არსებობს უსაფრთხოების დამცავი ტექნოლოგიები, რატომ არ შეიძლება საქართველოშიც გამოიყენონ? წარმოიდგინეთ, მადნეულის საწარმოს იქ ქლორზე გაცილებით ტოქსიკური ნივთიერება, კალიუმის ციანიდი ტონობით შეაქვს, რომელსაც ოქროს მისაღებად იყენებენ. ამ ნივთიერების ძალზე მცირე დოზაც კი მყისიერად იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის პარალიზებას. იქ მთებად არის დაგროვილი ოქროს შემცველი ნედლეული, რომელსაც კალიუმის ციანიდის ხსნარით რწყავენ. ქვემოთ სპეციალური მოწყობილობაა, რომელსაც ქანიდან ოქრო გამოაქვს. ღია ცისქვეშ დაყრილ ამ ე.წ. მთებში ახლაც არის ტონობით დაგროვილი კალიუმის ციანიდი, რომელსაც წვიმა დაედინება და მდინარეში რეცხავს. შევარდნაძის მმართველობისას ფრანგები იყვნენ ჩამოსული, რომლებიც ხელისუფლებას სთავაზობდნენ, მოგვეცით ეს ობიექტი და მას სრულიად უსაფრთხოს გავხდითო. ე.ი. არსებობდა გაწმენდის მეთოდი. რამდენიმე წლის წინ რუმინეთში, სადაც ოქროს მოპოვებას დაახლოებით ისეთივე ტექნოლოგიით აწარმოებდნენ, როგორც საქართველოში, მთა ჩამოინგრა და შიგნით დაგროვილი კალიუმის ციანიდი გარემოში გადმოიღვარა. მიმდებარე ტერიტორიიდან მთელი სოფლები გაასახლეს, ხალხი რომ არ დახოცილიყო, ბუნებასა და გარემოზე აღარაა საუბარი, ყველაფერი ამოწყდა. ეს იყო ტრაგედია, გლობალური ეკოკატასტროფა, რომელიც მარტო რუმინეთს კი არ შეეხო, მდინარეებმა დანარჩენ ევროპაშიც გადაიტანა. ამიტომაცაა ქვეყანაში აუცილებელი უსაფრთხოების სისტემა, რასაც ისეთი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც მარტო საკუთარ ჯიბეზე კი არა, ქვეყანაზეც იფიქრებს.

ზემოხსენებულ კანონში იმ ცვლილებების შეტანა, რომელიც ფულის გადახდის სანაცვლოდ კომპანიას ყველაფრის უფლებას აძლევს, სპეციალურად ამ რუსული კომპანიისთვის გაკეთდა, რადგან, ჩვენი ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით თებერვალში დაიწყო რუსებთან მოლაპარაკება. როგორც ჩანს, რუსებმა ყველა იმ ცოდვის პატიება მოითხოვეს, რაც ბოლნისის რაიონში აქვთ ჩადენილი. ამიტომ პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ეს ცვლილებები. ჩვენ კატეგორიულად ვითხოვთ ამ შეთანხმების გაუქმებას. ის სუბიექტები აუცილებლად უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან კიდეც ჩადენილი დანაშაულისთვის.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# dauSvebelia imis fiqrad gavlebac ki, rom SeiZleba saakaSvilis cixeSi biZina ivaniSvili ijdes

**27 მაისს თბილისში ბევრი ხალხი იყო.**
**10 ივნისს ქუთაისში ბევრი ხალხი იყო.**
**17 ივნისს ოზურგეთში ბევრი ხალხი იყო.**
**1 ივლისს მცხეთაში ბევრი ხალხი იყო.**

მიუხედავად იმისა, რომ თბილისშიც ბევრი ხალხი იყო, ქუთაისშიც, ოზურგეთშიც და მცხეთაშიც, პარალელურად არ შემწყდარა საუბარი იმის შესახებ, რომ შეიძლება საქმე არჩევნებამდე ვერც მივიდეს, რის საფუძველსაც ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ თამამად განხორციელებული რეპრესიები და მკაცრი სანქციები იძლევა, რითაც სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ღიად და დაუფარავად აცხადებს: თუ გინდათ ასიათასი შეიკრიბეთ, თუ გინდათ ნახევარი მილიონი, სულ ფეხებზე გვკიდიხართ, ჩვენ მაინც იმას გავაკეთებთ, რასაც აქამდე ვაკეთებდით — თქვენს ლიდერს არც მოქალაქეობას დავუბრუნებთ, არც საარჩევნო კამპანიის ნორმალურად ჩატარების საშუალებას მივცემთ — მილიონებს შევაწერთ, ქონებას დავუყადაღებთ, მხარდამჭერებს გავულახავთ, დავუჭერთ, დავუშინებთ და თუ საჭირო გახდება, არც მის დაჭერას ან ქვეყნიდან გაძევებას მოვერიდებით.

აი, ასეთია ხელისუფლების პასუხი — აბუჩად ამგდები, შეურაცხმყოფელი, უდიერი პასუხი.

* * *

რატომ ხდება ასე? ნუთუ ხელისუფლებისთვის არაფერს ნიშნავს უამრავი მოქალაქის ქუჩაში გამოსვლა? არაფერს ნიშნავს მათი სურვილი, მათი მოთხოვნა, მათი პროტესტი, აინუნშიც რომ არ აგდებს მათ და ვითომ ვერც ხედავს ამ ასიათასებს, ვითომ ვერც ამჩნევს?

ჩემი აზრით, მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ეს აქციები, ასე ვთქვათ, დრამატურგიულად არასწორად არის დაგეგმილი.

თუ აქციებს წარმოვიდგენთ, როგორც ღია ცისქვეშ დადგმულ დიდ, გრანდიოზული მასშტაბის სპექტაკლს და მის მსვლელობას თვალს გავადევნებთ, აღმოჩნდება, რომ ამ სპექტაკლში ხალხს მხოლოდ სტატისტის, მხოლოდ მაყურებლის როლი აქვს, რომელიც ტაშს უკრავს სცენაზე გამომსვლელ პოლიტიკურ აქტიორებს, უსმენს მათ გამოსვლებს და „სპექტაკლის“ დამთავრების შემდეგ სახლში მიდის.

არადა, მიტინგი მართლაც თეატრალური სპექტაკლი ხომ არ არის, ის, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური შინაარსის აქციაა, სადაც მთავარი გმირი, მთავარი პერსონაჟი ხალხია.

სამცუხაროდ, არც თბილისში, არც ქუთაისში, არც ოზურგეთში, არც მცხეთაში ტრიბუნა არავის დაუთმია ამ აქციების მონაწილე მოქალაქეებისთვის, არავის მოუსმენია მათი მოსაზრებები.

პოლიტიკური ხასიათის მიტინგი არ არის ერთი „მსახიობის“ თეატრი, არ არის პიესა მხოლოდ ერთი აქტიორისთვის, პოლიტიკური მიტინგი კოლექტიური, საყოველთაო სახალხო „წარმოდგენაა“, რომლის ყველა მონაწილე ამ წარმოდგენის მთავარ მოქმედ გმირად უნდა გრძნობდეს თავს.

ასე იქმნება ერთ ძალად შეკრული კოლექტიური ენერგია, რომელსაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ დაუდგება წინ, თუ ეს ენერგია სწორ კალაპოტში იქნება მიშვებული.

როგორც ვთქვით, მთავარი პოლიტიკური სუბიექტი, მთავარი პოლიტიკური პერსონაჟი არის ხალხი, რომელსაც არ შეიძლება მხოლოდ მუნჯი „მასოვკის“ როლი არგუნო.

ხელისუფლება იმიტომაც არ რეაგირებს ამ მრავალათასიან მიტინგებზე, რომ ამ მიტინგის მონაწილენი არც არაფერს ითხოვენ ხელისუფლებისგან — არ ითხოვენ



თუნდაც ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნებას, არ ითხოვენ ივანიშვილის პოლიტიკური დევნის შეწყვეტას, არ ითხოვენ ამ შიზოიდური ხასიათის ჯარიმების და დაყადაღებების გაუქმებას, არ ითხოვენ დაპატიმრებული ადამიანების გათავისუფლებას, არ ითხოვენ უღირსი მოსამართლეების დასჯას, არ ითხოვენ მოგელაძის კანტორის დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთას და როცა ისინი არაფერს არ ითხოვენ, ხელისუფლებამ რაზე უნდა მოახდინოს რეაგირება და რაზე უნდა გასცეს პასუხი?

**ხელისუფლება დღეს ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, როგორც კერძო პირს, როგორც კერძო სამართლის პირს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ამბავი საერთოდ, არ ეხება იმ ასიათასობით მოქალაქეს, რომლებიც კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ მიტინგებზე დგანან.**

არადა, როგორ არ ეხებათ? სინამდვილეში ხომ ხელისუფლება მხოლოდ ივანიშვილს კი არა, ქართული ხალხის იმ ნაწილს ებრძვის, რომელიც არ ეგუება ამ ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ ძალადობას, უსამართლობას, ავტორიტარიზმს, გენოციდთან მიახლოებულ ქმედებებს, ელიტარულ კორუფციას, რომელიც არის საფუძველთ საფუძველი უამრავი ადამიანის გაღარიბება-გაღატაკებისა, იმ უპასუხისმგებლო ნაბიჯებს, რომლებიც გახდა მიზეზი 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებისა და რომლის შედეგადაც ქართული სახელმწიფოს რღვევის პროცესმა შეიძლება კატასტროფული ხასიათი მიიღოს და ა.შ. და ა.შ.

* * *

**— ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ არჩევნების გზით უნდა მოხდეს!**

— ხშირად „გაიგონებთ ამ ფრაზას, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერისგან, ასევე ამ კოალიციის სხვა წევრებისგანაც.

თავისთავად ცხადია, ეს სწორი და ყველასთვის მისაღები ფორმულაა — ხელისუფლების ცვლა, რა თქმა უნდა, არჩევნებისას უნდა მოხდეს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არჩევნებამდე ხელისუფლებას ყველაფრის უფლება უნდა მივცეთ, ყველაფერზე თავი უნდა დავუხაროთ?

**არავინ ამბობს, ქვებით და ჯოხებით შეიარაღებულნი გამოვცვივდეთ ქუჩაში, შევიჭრათ პარლამენტში, შევიჭრათ კანცელარიაში, შევიჭრათ პრეზიდენტის რეზიდენციაში და ასე, ძალადობრივი გზით დავამხოთ ხელისუფლებაო, მაგრამ ამ მრავალათასიან მიტინგებზე კონკრეტული მოთხოვნების და სამართლიანი პრეტენზიების წამოყენება ვინ აგვიკრძალა?**



— ხელისუფლებას სურს ქუჩაში გამოგვიტყუოს და იქ გაგვისწორდეს. აი, ამის საბაბი არ უნდა მივცეთო, — ამგვარ მოსაზრებასაც ხშირად გაიგონებთ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან.

კი, მაგრამ, რას ნიშნავს ქუჩაში გამოტყუება? ეს გრანდიოზული მიტინგები ქუჩაში არ იმართება?

**რაც შეეხება საბაბს, უფრო დიდი საბაბი რა შეიძლება იყოს, ვიდრე იმის განცხადება, რომ „ქართული ოცნება“ ოქტომბრის არჩევნებში აუცილებლად დაამარცხებს „ნაც. მოძრაობას“ და პარლამენტში უმრავლესობით შევა?**

**ამაზე უფრო დიდი საბაბი რა შეიძლება იყოს ამ ხელისუფლებისთვის, ვიდრე არჩევნებში დამარცხების საშიროება, რაც მისთვის აბსოლუტური კატასტროფაა?**

ელემენტარული ლოგიკაა — თუ ხელისუფლება მივა იმ დასკვნამდე, რომ ოქტომბერში არჩევნებს აგებს, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გზიდან ჩამოიცილოს მთავარი კონკურენტი — ბიძინა ივანიშვილი, ლიდერის გარეშე დარჩენილ კოალიციას კი არჩევნებში ადვილად გაუსწორდება.

— ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ... თუ რაღაც მიზეზების გამო მე ვერ მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში, იქნება კოალიცია, რომელსაც ჩემი სახელი ერქმევა და ეს საკმარისია, რომ ხალხმა ჩვენ მოგვცეს ხმა, — ამბობს ბატონი ბიძინა.

არა მგონია, ეს მოსაზრება დიდი ოპტიმიზმის უფლებას გვაძლევდეს.

საქმეს ის არის, რომ ეს ასიათასობით ადამიანი პერსონალურად ერთ ადამიანს, ბიძინა ივანიშვილს უჭერს მხარს და მის ავტორიტეტს ვერავინ და ვერაფერი ვერ ჩაანაცვლებს.

ესეც არ იყოს, ივანიშვილის ჩამოშორება პოლიტიკური პროცესებიდან უზარმაზარი ფსიქოლოგიური დარტყმა იქნება მისი მხარდამჭერებისთვის, რაც ადვილი შესაძლებელია ნიჰილიზმსა და უიმედობაში გადაიზარდოს და მკვეთრად შეამციროს ივანიშვილის მხარდამჭერთა აქტიურობა არჩევნების პერიოდში.

— ჩვენ უნდა მივიდეთ არჩევნებამდე და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩატარდეს სამართლიანი ობიექტური არჩევნები. თუ ხელისუფლება გააყალბებს არჩევნებს, ჩვენ აუცილებლად დავიცავთ ჩვენს ხმებს — აცხადებენ კოალიციის წარმომადგენლები.

**გაყალბების შემდეგ ხმების დაცვა და წართმეულის უკან დაბრუნება ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნება. ამ ხმების დაცვა ახლაა საჭირო, ისე,როგორც ახლაა საჭირო ბიძინა ივანიშვილის დაცვა ძალმომრეობისა და რეპრესიისგან.**

ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბება უკვე დაიწყო და არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების ყველა ბერკეტი მთელი სიმძლავრით ამუშავა, ისე, როგორც ამუშავა ყველა ბერკეტი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ასპარეზიდან გასაძევებლად, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქციებზე კი კვლავ და კვლავ ჯიუტად არ ეხებიან ამ ყველაზე მწვავე საკითხებს.

**— ყველაზე უარესი, რაც ბიძინა ივანიშვილს ემუქრება ამ ხელისუფლებისგან, დეპორტაციაა... თუ ეს მოხდება, არც ესაა დიდი უბედურება — ჩვენ გავიმარჯვებთ არჩევნებში და ბატონი ბიძინაც დაბრუნდება, — ასეთი არხეინი განცხადებაც მოვისმინე კოალიციის ერთ-ერთი წევრისგან.**

ღმერთმა ქნას, რომ გაიმარჯვოთ, პატივცემულო კოალიციონერებო, თუმცა, ვფიქრობ, ივანიშვილის გარეშე ამის გაკეთება ძალიან გაგიჭირდებათ...

ამასაც რომ თავი დავანებოთ, დეპორტაციის გარშემო საუბარიც შემოგდებული მგონია — რა დეპორტაცია, რის დეპორტაცია — ვერ ხედავთ, რომ ეს ხელისუფლება ივანიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს კერავს და უკვე ისედაც სქელტანიან „საბრალდებო“ ტომს ყოველდღე ახალ ფურცელს უმატებს?

ძნელი მისახვედრია ეს?

**თქვენ რა, ღმერთმა ნუ ქნას და ბიძინა ივანიშვილს კარზე რომ მიუკაკუნებენ, მხოლოდ მაშინ აპირებთ ლაშქრის დაძვრას?**

**გარწმუნებთ, გვიანი იქნება, ვერ მიუსწრებთ და ვერც უშველით.**

— თუ საჭირო გახდება, ციხეშიც ჩავჯდები. ციხეში ჯდომის არ მეშინია, — განაცხადა ბატონმა ბიძინამ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებაში ივანიშვილის შეუპოვარი და უშიშარი ხასიათი კარგად ჩანს, არც ეს განცხადება მომწონს მაინცდამაინც...

დაუშვებელია იმის ფიქრად გავლებაც კი, რომ შეიძლება სააკაშვილის ციხეში ბიძინა ივანიშვილი იჯდეს...

ეს რომ არ მოხდეს, ჩაურთეთ ხალხს მიკროფონი, ბატონებო...

**გიორგი გამეზარდაშვილი**



# ხელისუფლებამ ვერ გაიგო, რომ ბიძინა ივანიშვილი კრიზისული სიტუაციების მართვის მენეჯერია — ეს განსაკუთრებული ფსიქოტიპია, რომელიც მართვის პულტთან მოკვდება, მაგრამ ფეხს არ მოიცვლის...

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე**

**— ბატონო მამუკა, სახელისუფლებო ტელევიზიებმა და ოპოზიციამ ევროპარლამენტში გამართულ დებატებზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები გაავრცელეს. სად არის სიმართლე?**

— სიმართლე როგორც ყოველთვის შუაშია. მინდა ევროპარლამენტში გამართული დებატების სტრუქტურა და ფორმატი გაგაცნოთ. თუმცა, მანამდე უნდა გითხრათ, თუ როგორ მუშაობს ევროპარლამენტი. აქ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური წარმომადგენლობა ერთიანდება, მაგრამ არსებობს რამდენიმე ტრანსევროპული პარტია, რომლებიც ევროპარლამენტშია წარმოდგენილი. მათ რიგს განეკუთვნება, მაგალითად, ევროპის სახალხო პარტია — ესაა რამოდენიმე, სხვადასხვა ტიპის პარტიების კონგლომერატი, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან თავმოყრილნი. სახალხო პარტია ადრე ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი იყო. დღეს ევროპაში რამოდენიმე ასეთი ტიპის ალიანსია: ერთია-სახალხო პარტია, მეორე — სოციალ-დემოკრატიული პარტიების ერთიანობა და მესამე — ევროპის ლიბერალური პარტია. ვიმეორებ, ამ პარტიებში სხვადასხვა ეროვნების, პარტიული კუთვნილების ადამიანები, ერთიანდებიან, რომელთაც ერთნაირი ფასეულობები აქვთ. სოციალ-დემოკრატები — მემარცხენეები არიან, დანარჩენი ზოგი ლიბერალი, ზოგიც მემარჯვენე მიმართულებისაა. სახალხო პარტიაში საქართველოდან „ქრისტიან-დემოკრატები" და „ნაც.მოძრაობაა" გაერთიანებული. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები მუდმივად ლიბერალურ ფასეულობებზე აკეთებენ აქცენტს, ამ დროს, გაერთიანებულნი არიან არა ლიბერალურ კოალიციაში, არამედ სახალხო პარტიაში, რომელსაც უფრო მემარჯვენე პოზიცია აქვს. „თავისუფალი დემოკრატები" და „რესპუბლიკელები" კი ლიბერალურ კოალიციაში არიან. პრაქტიკულად იმ დღეს ევროპარლამენტის სხდომაზე ევროპის სახალხო პარტიის და ლიბერალური გაერთიანების ბრძოლა იყო. ეს იყო სუფთა კონიუნქტურული ბრძოლა, საქართველოს საკითხი უბრალოდ ფონი იყო და მეტი არაფერი. სულ 12 ადამიანი გამოვიდა — 5 სახალხო პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ოპოზიციას აგინებდა და ხელისუფლებას იცავდა, 4 ლიბერალი, რომელიც ოპოზიციას იცავდა და ხელისუფლებას აგინებდა, ხოლო დანარჩენი 3 ნეიტრალური იყო. მაგალითად, როცა რომ პეი თბილისში იმყოფებოდა სხვა რამ თქვა, მისმა მოადგილემ ევროკავშირში კი — აბსოლუტურად სხვა რამ რაც შეეხება იმას, თუ რას ფიქრობენ ამ შეხვედრაზე ჩვენთან — ერთნი ამბობენ, რომ ეს ანტისახელისუფლებო შეკრება იყო, მეორენი კი საპირისპიროს ამტკიცებენ. სიმართლე სადღაც შუაშია.

**— მაგრამ რით არის ოპოზიციისთვის ეს დებატები წარმატებული?**

— ერთი იმით, რომ ეს დებატები შედგა, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ყველაფერი რიგზე რომ იყოს, დებატები არ შედგებოდა. ევროპარლამენტის წევრებმა იციან, რომ საქართველოში არჩევნებამდე მიმავალი გზა ვარდებით მოფენილი არაა. აი, ამის გამო შედგა დებატები. ეს ფაქტი მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ უზრუნველჰყოფს არჩევნების ნორმალურად ჩატარებას და დემოკრატიული ფონის შექმნას. გეტყვით იმასაც, რომ ჩემთვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა ილაპარაკა ევროპარლამენტში დაპირისპირებულმა მხარემ, იმიტომ რომ, ეს არ არის საქართველოზე გულშემატკივარი ადამიანების საუბარი. პირველ რიგში, ეს იყო ურთიერთდაპირისპირებული პარტიების დებატები. ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა დებატები გაემართათ თემაზე — ბალახი მწვანეა თუკი ლურჯი, თუ ეს ევროპული პოლიტიკისთვის აქტუალური იქნებოდა. მთავარია, რომ დებატები გაიმართა, რაც უდავოდ საქართველოს ოპოზიციის აქტივშია და ხელისუფლების პასივში, იმიტომაც იყო ეს უკანასკნელი ამ დებატების წინააღმდეგი — პრეცენდენტის შექმნა არ უნდოდათ.

**— თუმცა, როდესაც ევროპარლამენტის წევრების დებატებს ვუსმენდი, მომეჩვენა, რომ ივანიშვილის მლანძღველების ტექსტები ძალიან წააგავდა „ნაციონალური მოძრაობისას".**

— ასეთი შეგრძნება იმიტომ გაგიჩნდათ, რომ ისინი შესაბამისად იყვნენ დარიგებულნი. მოდით, ამას ტექნიკურად შევხედოთ: საქართველოს ხელისუფლებას დებატების გამართვა არ უნდოდა და შესაბამისად ამისთვის მზად არ იყო. შესაბამისად, ლობისტების მიერ, მათი მხარდამჭერი ევროპელი პოლიტიკოსების მომზადება ფაცი-ფუცით მოხდა. აქედან გამომდინარე, რასაც აქ ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობს, იქ იგივეს ლანდსბერგისი იმეორებდა. საწინააღმდეგო მხარის არგუმენტაცია უფრო მეტი იყო იმიტომ, რომ ევროპელ ლიბერალებს საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე ინფორმაცია მიეწოდება არა მარტო მათი მოკავშირე პარტიებისგან —„თავისუფალი დემოკრატებისა" და „რესპუბლიკელებისგან", არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისგანაც. ამ პათოსით განსხვავდებოდა მათი გამოსვლები. თუ, ვთქვათ, ევროპელი სახალხო პარტიის გამომსვლელები, საქართველოს ხელისუფლების წევრების საუბარს იმეორებდნენ, ლიბერალების შემთხვევებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული ზოგადი შეფასებებიც ჟღერდებოდა. აქ კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსია — ორივე შემთხვევაში ლობისტების მუშაობა ჩანდა. ლობისტური ორგანიზაციები ეფექტურად მუშაობენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები.

როგორ არ ჩანდა. ოპოზიციის მხარდამჭერების გამოსვლები უფრო საქმიანი იყო, ვიდრე ხელისუფლების. სტრასბურგში 12 ლობისტი კომპანია აქტიურობს. ნაწილი — 8 — ხელისუფლებას ჰყავს დაქირავებული, 4 — ოპოზიციას. ამაში გასაკვირი არაფერია. ეს მსოფლიო პოლიტიკაში მიღებული პრაქტიკაა, რაც თავისი არსით შეიძლება ცინიკურია, რეალურ სურათს არ წარმოადგენს, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლის წესია.

**— ხშირად მესმის ოპოზიციიდან — ახლა სულ სხვა მდგომარეობაა და არჩევნებში აუცილებლად გავიმარჯვებთო. თუმცა ახლო წარსულში გვქონდა შემდეგი მოცემულობა — მათიას იორშმა ხელისუფლებას არჩევნები „გაუპრავა", მაილსმა —„ვარდების რევოლუცია" მოგვიწყო, ბასმა — 26 მაისი. რა, სხვა მდგომარეობაა ახლა რა გვაქვს უკეთესი — ის რომ ივანიშვილის მოქალაქეობას არ აძლევენ, ქონებას აუქციონზე ჰყიდიან თუ რა?**

— არაფერი უკეთესი მდგომარეობა არ არის, მათ შორის არც დასავლეთელი, ჩრდილოეთელი მოკავშირეების თუ მტრების მხრიდან. მდგომარეობა ზუსტად ისეთივეა და არც არასოდეს შეიცვლება. რაც უფრო დაჩაჩანაკებულად გამოჩნდები მათ თვალში, მით უარესად მოგეპყრობიან. მაშინ როცა, სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხს და თვითონაც ღირსება დაეკარგა, ამ ფონზე ძალიან რთულია მაღალ მატერიებზე ილაპარაკო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მორალი ჰქონდეს, ერს ჰქონდეს ღირსება. როდესაც სახელმწიფოს მორალი და ერს კი ღირსება აქვს დაკარგული, ძალიან ძნელია პატივისცემით მოგეპყრონ. რაც შეეხება „ქართული ოცნების" ზოგიერთ წარმომადგენელს, რომელიც ამბობს, რომ ახლა ყველაფერი სხვაგვარად და უკეთესადაა, მეც „ქართული ოცნების" წარმომადგენელი ვარ, მაგრამ ასე არ ვლაპარაკობ და არც არასდროს ვიტყვი ამას, იმიტომ რომ ამ კუთხით ბევრი სამუშაოა. რასაკვირველია, მოცემულობა ბევრად უკეთესია. ხელთ დიდი პლუსი გვაქვს — ერის კონსოლიდაცია, რაც ორმა ფაქტორმა განაპირობა — ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ და იმ კატასტროფულმა შეცდომებმა, რაც „ნაც.მოძრაობამ" დაუშვა. ერთ-ერთი შეცდომაა ხალხის აზრის აბსოლუტური იგნორირება. ამ მაკონსოლიდირებელ ენერგიას სწორი წარმართვა სჭირდება და არა — გაფანტვა. აქედან გამომდინარე, სულ სხვა მდგომარეობა არ არის. თუ ჩვენი პარტნიორების, მტრების პატივისცემა არ დავიბრუნეთ, არაფერი გამოგვივა. ხშირ შემთხვევაში, ვერ ვხედავ, რომ კონკრეტული ადამიანები, ვინც ამბობენ, რომ ყველაფერი კარგადაა, ამ კუთხით რაიმეს აკეთებენ, ამაზე ორიენტირებულნი არ არიან. ხშირ შემთხვევაში იმ ადამიანების მიჩქმალვა, გვერდზე გაწევა ხდება, ვისაც ამ კუთხით ამინდის შექმნა შეუძლიათ, ანუ ერის ენერგეტიკის სწორად წარმართვა.

**— ასე თუ გაგრძელდა, აშკარაა ხელისუფლება ივანიშვილის პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოშორებას მარტივად შეძლებს. ფაქტები სახეზეა, დაწყებული მოქალაქეობის დაუბრუნებულობით, დამთავრებული ქონების დაყადაღებით და ა.შ. ამ დროს რა გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს? აშკარაა, ხელისუფლება გადამწყვეტი საფინალო დარტყმისთვის ემზადება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რა იქნება ფინალში?**

— იცით რაშია საქმე? — მე საფინალო დარტყმას არ ველოდები, არამედ საფინალო დარტყმების ციკლს. დღეს ცოტა სხვა ვითარებაა შემდეგი თვალსაზრისით — იანვარ-თებერვალში განუწყვეტლივ თავის მართლების რეჟიმში ვიყავით. ახლა, თავის გასამართლებელი პირიქით ხელისუფლებას აქვს. ბიძინა ივანიშვილმა შექმნა ფონი, როდესაც ხელისუფლება იძულებულია მუდმივად კონტრღონისძიებებზე იფიქროს, ამის გამო, იგი შეცდომებს უშვებს — ქონების დაყადაღებებს და ა.შ. ეს, მათ ძალიან ცუდად მოუბრუნდებათ. ძალიან მიკვირს კონსტიტუციურ სასამართლოში ამ კანონის მიღებისთანავე „ქართული ოცნების" მხრიდან, საჩივარი რატომ არ შევიდა. ამაზე პასუხი დღემდე ვერ მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ პროცესსს ვერ მოვიგებდით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა, რადგან დასავლეთში ყურადღებით ადევნებენ თვალს ნებისმიერი ტიპის ანტიკონსტიტუციურ ქმედებას.

კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო — ხელისუფლებაში როცა ხარ ბიძინა ივანიშვილის ბუნება უნდა იცოდე, რათა ასეთი პირობები არ შეუქმნა მას. რატომ? — ივანიშვილი კრიზისული სიტუაციის მართვის მენეჯერი. ეს მისი სტიქიაა. რაც უფრო მძიმე ვითარებაა, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ივანიშვილმა თქვა, თუ უნდათ გაყიდონ ბანკი-ო. ე.ი. მას აქვს ყოველთვის 3-4-5-6 ვარიანტი იმ შემთხვევაში, როდესაც კრიზისული სიტუაციაა. ამდენად ხელისუფლების მთავარი შეცდომა ისიცაა, რომ არ იციან, როგორ ტიპს ეთამაშებიან და როგორი წესებით. ჩემი მხრიდან შემიძლია ასეთი პოზიცია დავაფიქსირო — არ არის პრობლემა, თუ უნდათ ოფისებიც წაიღონ, სახლში ვიმუშავებთ, მაგრამ ეს აღშფოთებული ადამიანის ნათქვამი იქნება. ივანიშვილი სერიოზულად ფიქრობს ასეთ შემთხვევებზეც და უკვე გათვლილი აქვს სამომავლო ნაბიჯები, ანუ ივანიშვილმა ხელისუფლებას თამაშის გარკვეული წესები შესთავაზა, ხელისუფლება ამ ველში მოძრაობს და შეცდომებს უშვებს. აქედან გამომდინარე, ივანიშვილი კონტრღონისძიებებს აწარმოებს, ოღონდ მის მიერ შეთავაზებული თამაშის წესების მიხედვით.



**— ბატონო მამუკა, ეს გასაგებია, მაგრამ ძალიან ხშირად მესმის კოალიციის წევრებისგან, რომ ივანიშვილზე ტერორისტული აქტი მზადდება. ეს თუ ასეა, შესაბამის ზომებს რატომ არ იღებთ?**

— ასეთი ტიპის განცხადება შეიძლება ორ შემთხვევაში გაკეთდეს: ერთი — როცა მართლა გაქვს ინფორმაცია და მეორე — როცა პრევენციას ახდენ. უნდა გითხრათ, პირადად მქონდა ინფორმაცია, რომ ასეთი ტიპის ქმედება — ივანიშვილის ლიკვიდაცია მზადდებოდა და არ იქნებოდა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ სხვა ტიპის იარაღი, რომლის შინაარსს ვერ გავამჟღავნებ. არ ვიცი, რა ხარისხის დაცვა აქვს ივანიშვილს, მაგრამ ვიცი, რომ ეს გარემოებები გათვალისწინებული აქვს. მნიშვნელოვანი სხვა რამაა — ივანიშვილის თამაშის წესებით მოთამაშე ხელისუფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გამორიცხული არაა უკიდურეს ზომებზე წავიდეს და სისხლი დაღვაროს. მერეთის ეპიზოდი ამას მოწმობს. ასეთი ტიპის მსხვერპლი მოსალოდნელია ხელისუფლებისგან, ეს ღიად ჩანს. ეს მაშინებს, თორემ დანარჩენი ევროპარლამენტის წევრების მოსაზრებანი, ქონების დაყადაღება, თუნდაც თავდასხმა ივანიშვილზე, რომელიც უშედეგოდ დასრულდება, დეპორტაციაც კი, ვერ შეცვლის საერთო სურათს. ამ საკანონმდებლო ფორმატში დეპორტაცია გამორიცხულია. თუმცა, შეიძლება ასეც მოხდეს, რომ კანონი შეცვალონ, ასეც რომ მოხდეს დეპორტირებული ადამიანი ათჯერ უფრო გმირი ხდებოდა, ვიდრე ადგილზე დარჩენილი. ბევრი დეპორტირებული ადამიანი ვიცი, ვისაც უცხოეთიდან მოუწყვია რევოლუცია, სწორედ იმიტომ, რომ ნაციონალური გმირის ტოლფასი გამხდარა. წეღან გითხარით, რომ ივანიშვილი კრიზისული სიტუაციების მართვის მენეჯერია. ეს განსაკუთრებული ფსიქოტიპია, რომელიც მართვის პულტთან მოკვდება, მაგრამ ფეხს არ მოიცვლის. ეს არის ადამიანი, რომელიც ბოლომდე იბრძვის, ასეთი ბუნება არგუნა მას გამჩენმა.

**— საკადრო ცვლილებებზეც მინდა გკითხოთ. ბევრი თვლის, რომ ბაჩო ახალაიას დანიშვნა შსს მინისტრად ბიძინა ივანიშვილის ფაქტორითაა განპირობებული.**

— ახალაიასნაირი პიროვნება წამსვლელია ივანიშვილის დაჭერაზე, მაგრამ რას მოიტანს ეს ვერ ვხედავ, რომ ამ დაჭერით შეიძლება პროცესის ლიკვიდაცია მოხდეს. თუ ხელისუფლება ივანიშვილის დაჭერის ფონზე ჩაატარებს არჩევნებს, ეს არჩევნები აპრიორი მიუღებელი იქნება. ერევანში ხალხი დახოცეს, ბაქოში მიტინგი დაარბიეს, მაგრამ ეს ყველაფერი არჩევნების შემდეგ მოხდა. არჩევნებამდე ამის გაკეთება ხელისუფლებას გაუჭირდება, რადგან ეს პოლიტიკური პროცესის გაჩერებას ნიშნავს.

**— დასაწყისში ახსენეთ ასეთი მუშაობით პროცენტი ვერ გაიზრდებაო. როგორც ჩანს, ბოლომდე კმაყოფილი არ ხართ მუშაობით. ბევრი თქვენი კოლეგა აცხადებს, გამარჯვებულები ვართო.**

— რაც შეეხება იმას, რომ მორჩა, გამარჯვებულები ვართ — ეს ტყუილია. არაფერი გამარჯვებულები არ ვართ ჯერ, მაგრამ არც წაგებულები ვართ. ვიმეორებ, 50-50-ის დონეზე ვართ გაჩერებული, როცა ვამბობ, მეტი მუშაობაა საჭირო, ამას გულისტკივილი, მალაპარაკებს, არ მინდა, რატომ მოვატყუო თქვენი მკითხველი, თვითონ ვერ ხედავენ თუ რა?! მაგრამ ამ ფონზე აქციები სულ სხვა დატვირთვის მატარებელია. ანუ, უცნაური რამ მოხდა — რეგიონის შიდა კონსოლიდაცია, რაც საქართველოსთვის ამ ფორმით უცხო ხილია, თორემ კუთხურობა ყოველთვის იყო. რეგიონის შიდა კონსოლიდაციას ძალიან შეუწყო ხელი ამ აქციებმა. ახლა რეგიონები ერთმანეთს ეჯიბრებიან, პროცენტული თვალსაზრისით ვისთან უფრო მეტი ხალხი მივა. გურიაში კითხულობდნენ — მიტინგზე მოდიხარ? პასუხი იყო — მაგაზე უკეთეს ადგილზე სად წავალთო. მთავარია — ეს რესურსი არ დავკარგოთ. ზოგიერთ შტაბში მხართეძოზე არიან წამოწოლილნი, არადა იმაზე უნდა ფიქრობდნენ რესურსი არ დაიკარგოს, დაგროვილი ენერგიის რეალიზაცია სწორად მოხდეს. ასე რომ გამარჯვების შანსი უზარმაზარია, უბრალოდ, პროცესის სწორედ წარმართვაა საჭირო, რათა შედეგი მივიღოთ.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




**გოგა ხაინდრავა:** გატარებული საკადრო ცვლილებები გამოიწვევს რუსეთის ფაქტორის (როლის) გაძლიერებას საქართველოში. რადგან მერაბიშვილი რომ რუსეთის კაცია, ეჭვი აღარავის არ უნდა ეპარებოდეს. მთელი რიგი წარმატებები, რაც რუსეთს გააჩნია საქართველოს ტერიტორიების მითვისებაში, კოდორის ხეობასა თუ ცხინვალში, უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მონაწილეობით ხორციელდებოდა. გარდა ამისა, მერაბიშვილს ისეთი პიარი საქართველოში არ ჰქონია, როგორც რუსულ პრესაში. ეს არ არის მხოლოდ ინტერვიუები, ეს არის პოლიტიკოსების წითელი შეფერილობის შეფასებები მისი რეფორმატრული ნიჭის შესახებ. ხოლო თუ რეფორმის პოპულარიზაციას ახდენდა, როგორც თავად ამბობს, რაღა რუსეთში ახდენდა, მაინცდამაინც რუსეთი რატომ იყო დაინტერესებული ამ მიღწევების გაშუქებით?! ჯგუფმა, რომელიც რუსული ინტერესების გამტარებელი იყო საქართველოში, პირდაპირ მიიღო დავალება და ეს დავალება შეასრულა სააკაშვილმა.



რაც შეეხება შიდა დაპირისპირებას, ბუნებრივია, ახალაია არ შეასრულებს მერაბიშვილის ბრძანებებს. ახალაია იმდენად გადიდკაცდა, ეს ბოგანოებს ხშირად მოსდით ხოლმე, სულაც არ თვლის აუცილებლად, თავისი გადაწყვეტილებები შეუთანხმოს მერაბიშვილს. მერაბიშვილი მართავდა ყველაფერს, ნებისმიერი მინისტრი იყო მისი ხელის ბიჭი. ახალაიას შემთხვევაში ეს ესე არ იქნება. ახალაიას პირდაპირი ურთიერობა აქვს სააკაშვილთან და მას მერაბიშვილი არ სჭირდება.

ძალიან მნიშვნელოვანია მეორე ახალიას დანიშვნა თავდაცვის სამინისტროში. ორი ძალოვანი სტურქტურა, რომლის იმედზეა დარჩენილი სააკაშვილი და, მე ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ამ საკადრო ცვლილებით საკუთარი ხელქვეითების დაქვემდებარებაში მოაქცია. ჯარში არც არასოდეს ჰქონია სააკაშვილს დასაყრდენი, მით უფრო 2008 წლის აგვისტოს მერე. ხოლო შსს-ში ყოველთვის იყო მერაბიშვილის კულტი, მისი ხალხი და არა სააკაშვილის კულტი.

ეს არ არის შეგნებული გადაწყვეტილება, ეს არის მანიაკალური გადაწყვეტილება, რადგან სააკაშვილი დიდი ხანია უკვე აბსოლუტურად დეგრადირებულ მდგომარეობაშია. უბრალოდ მერაბიშვილის არსებობა იმედს აძლევს სააკაშვილს, რომ იგი თუნდაც პოლიტიკურ გვამად ქცეული გააგრძელებს ამ ქვეყნის მართვას რაღაც ფორმებში. ამავდროულად, მანიაკალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არავის აღარ ენდობა. ყველაზე დიდი საფრთხე პოლიტიკური თვალსაზრისით, მისთვის სწორედ მერაბიშვილია. მას ესმის, რომ

**ერთადერთი გადარჩენის შანსი მერაბიშვილისთვის არის სააკაშვილის ჩაშვება, უფრო სწორად ჩარეცხვა, რასაც ის აუცილებლად განახორციელებს.**

**სააკაშვილმა კარგად იცის, რომ გაპრემიერება არის ვანოს უძლეველობის მითის დანგრევა. მერაბიშვილს არანაირად არ სჭირდებოდა პრემიერის პოსტი, ისედაც პრემიერი იყო, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. დღეს კი ის იძულებულია ტელევიზიაში იაროს. მისი პირველივე გამოსვლა პარლამენტში იყო იმის დასტური, რომ ეს ადამიანი არის სრული უვიცი, წერაკითხვის უცოდინარი.**

ახალაია შეეცდება გააძლიეროს თავისი ხალხი შსს-ში. მართალია, ის პრეზიდენტის ნდობით სარგებლობს, მაგრამ დამოუკიდებელ თამაშს ვერ ითამაშებს. ის გადაბმულია სააკაშვილთან ცალსახად და მხოლოდ სააკაშვილთან ერთად წარმოუდგენია თავისი არსებობა საერთოდ; პოლიტიკაში მაგას არაფერი ესაქმება, რადგან არ იცის, არ არის პოლიტიკოსი.

...მაისის და ივნისის აქციებმა აჩვენა, რომ ხალხს ვანოსი აღარ ეშინია, ამიტომ სააკაშვილმა იფიქრა, უფრო ცოფიან ძაღლს მოვიყვანოო. ყველამ იცის, რომ ახალაია სისხლისმსმელია, იგი საკუთარი ხელით აწამებდა პატიმრებს. ეს არის სააკაშვილის პირდაპირი მესიჯი ხალხისადმი, ვანო ხომ იყო სასტიკი, ახლა სასტიკი კი არა, პირდაპირ კაციჭამია მოვიდა და გატოკება არ გაბედოთო.

მერაბიშვილის პრემიერად დანიშვნა იმის მანიშნებელია, რომ მმართველ გუნდში დიდი დაპირისპირებაა. მათ იციან, რომ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია, მაგრამ ნაცმოძრაობას სადავეების ხელიდან გაშვება ნამდვილად არ უნდა.

**კახი კალაძე:** მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მოსახლეობას, რომელმაც მიუხედავად ამდენი დაშინებისა, მაინც მოახერხა „ქართული ოცნების“ აქციებზე მოსვლა. გამგებლები, რწმუნებულები დადიან სოფლებში და აშინებენ ხალხს, ზოგს დახმარების მოხსნით, ზოგს სამსახურიდან გაშვებით. ასეთი ხალხის 99% ამბობს, რომ შეიძლება ახლა ვერ გამოვიდეთ აქციაზე, მაგრამ ოქტომბერში ჩვენს აზრს დავაფიქსირებთ.

საინფორმაციო შეტევა ჩემზე, მგონი ჩაცხრა, არ ვიცი, აწი რას დამაბრალებენ. მე არასოდეს მქონია საქმე ქურდულ სამყაროსთან. ამის დამადასტურებელი არანაირი ფაქტი არ არსებობს,

ჩემი დისკრედიტაციის მცდელობა გამოწვეული იყო ჩემი ბოლო განცხადებებით, პოლიტიკაში მოსვლის სურვილით და ბიძინა ივანიშვილის გუნდში ყოფნით. არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ უკან მოხედვის ნამდვილად არ მრცხვენია, ჩემთვის მორალი, ადამიანობა, კაცობა, ყველაფერზე მაღლა დგას.

მიშა ნამდვილად არ მინახავს მილანში, ბატონმა ბიძინამ უბრალოდ იხუმრა. არც ის ფოტოები გადამიღია. ეს ადამიანი ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელია. მან ჩამოაყალიბა პოლიციური სახელმწიფო. უფრო სწორად ზონდერ-პოლიცია. თორემ თავად პოლიცია სახელმწიფოსთვის მართლაც მნიშვნელოვანია. არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო მათ, ვინც პოლიციის მუნდირს ატარებს, მაგრამ არიან ზონდერ-პოლიციელები, რომლებიც უკანონო დავალებებს ასრულებენ.

**არ ვიცი, რა დავარქვა მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას - დაწინაურება თუ დაქვეითება. ახალაიას დანიშვნით კი მივიღებთ ზონდერ-პოლიციას. თუმცა ეს ცვლილებები და გადაადგილებები ნამდვილად ვერ შეაჩერებს იმას, რაც დაწყებულია. მინდა ვუთხრა საქართველოს მოსახლეობას, რომ ჩვენ აუცილებლად ვიზეიმებთ და ერთად ავიხდენთ „ქართულ ოცნებას“.**

პოლიტიკაში მოსვლამდეც, როცა მე ჩემი პოზიცია დავაფიქსირე თუნდაც დემესთან დაკავშირებით, ჩემი ნაცნობები ნაცმოძრაობიდან უცებ გაიფანტნენ. კარგად მესმის მათი. ჩვეულებრივ მოსახლეობასაც ეშინია ოპოზიციონერებთან შეხვედრა, ეშინიათ, არ დაინახოს უბნის რწმუნებელმა თუ გამგებელმა.

გიორგი რომ დაიჭირეს, მე დამიკავშირდა ერთ-ერთ მაღალჩინოსანი და მითხრა, ადვოკატებმა კარგად იციან, რა უნდა გაკეთდეს, რომ გიორგი გარეთ იყოსო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ ადამიანს უნდა ეღიარებინა დანაშაული და შემდგარიყო საპროცესო გარიგება. მაგრამ დემე სასტიკ უარზე იყო. ვიცი, რამდენად ძნელია იქ ყოფნა, მაგრამ უფრო ძნელია აღიარო ის, რაც არ ჩაგიდენია.

რა თქმა უნდა, მე მისაუბრია ჩვენს თანაგუნდელებთან, ბიჭები დარწმუნებული არიან გიორგის უდანაშაულობაში, მაგრამ ვალდებულს ვერავის გავხდი, ხმამაღლა დააფიქსიროს თავისი აზრი. დღეს ქვეყანაში ყველაფერი პოლიტიზირებულია. როდესაც ნაკრებს ვტოვებდი, ის წერილი, რომელიც ფედერაცი-



ამ გამოაქვეყნა, როგორ ფიქრობთ, ფედერაციის პრეზიდენტის დაწერილია?! ეს იყო ზემოდან მოტანილი წერილი და ფედერაციას დაავალეს, ხელი მოეწერათ.

შემდეგი აქცია იქნება გორში. კარგად ვიცი, რა განწყობაა სოფლებში, რაიონებში. თავად რომ არ ვხედავდე რა გაჭირვებაში ცხოვრობს ხალხი, შეიძლება სხვისი ნაამბობი არც დამეჯერებინა. სოფლებში ფაქტიურად ახალგაზრდა აღარაა დარჩენილი და ეს ბუნებრივიაცაა. რადგან იქ არანაირი პერსპექტივა არაა მუშაობისთვის. დღითი დღე იზრდება ემიგრანტთა რიცხვი. ოჯახები ინგრევა. ოთხი წელი რომ ქალი ოჯახიდან იქნება წასული, ის ოჯახი დანგრეულია, აბა რა არის?!

მოამზადა **ხათუნა თოდუამ**




## xa l xis az r iT

სააკაშვილმა უკვე აღარ იცის, რა ქნას და, ფაქტობრივად, ახლა თავს იმშვიდებს ამ ჩანაცვლებებით; ხან ვანო შეცვლის ვიღაცას, ხან — ბაჩო და ჰგონია, რომ ამით რამეს მიაღწევს, მაგრამ წასულია ამათი საქმე. ერთი კი არა, ათი ვანო რომ დანიშნონ იმ თანამდებობაზე, განწირულია ეს ხალხი საბოლოოდ..

დედამიწას ორ თვეში უცხოპლანეტელები შემოესევიან, ვიკილიკსი და თუ საქართველოს ტერიტორიაზე დაჯდნენ, მოგელაძე ‘‘ქართულ ოცნებასთან’’ თვალთმაქცურ გარიგებაში დადებს ბრალს და ისეთ ჯარიმას გამოუწერს, რომ უკან დასაბრუნებლად ბენზინის ფული აღარ დარჩებათ და შიმშილით ამოწყდებიან! :)))))

ვაიმე უტიაშვილი-კვესიტაძისა ჩამოაანალიტიკურეს?

მე მგონი ვანო ბიძინასთან გადმოსასვლელად ან მისთვის ხელისუფლების გადასაცემად ემზადება :)))

ჩემი უჭკუო გამოთვლით, ვიდრე ჩემი თემო საშუალო სკოლას დაამთავრებს, ბარე 7 განათლების მინისტრი ეყოლება გამოცვლილი... ისე, ლამაზი ციფრია 7.:)))

თვით უტიფრობის ეტალონი ბუმბერაზი მიშისტებიც კი ვერ ’’აპრავებენ’’ ამ პოპულიზმს...ბენდუქიძე დაასამარეს ამ პროგრამით :))) ლეგენდარულმა მიშმადიდებულებმა აღიარეს, რომ ეს მხოლოდ დაპირებაა წინასაარჩევნო, არარეალური და ივანიშვილის საპასუხოდ შეთითხნილი.

რატომღაც ვფიქრობ, რომ გიგა ბოკერია მიშას საწინააღმდეგოდ და ბიძინაზე და ‘‘ქართულ ოცნებაზე’’ მუშაობს... აბა როგორ დავიჯერო, რომ ასე უხმოდ დათანხმდა ბაჩო ახალაიას შსს მინისტრად დანიშვნას? ეს ხომ მიშას გარდაუვალ მარცხსა და დასამარებას ნიშნავს? ნუთუ გიგას, რომელსაც უკიდეგანო ამბიციები აწუხებს, მოსწონს ვანოს მიერ ბიძინას დაპირებების ერთი-ერთში გამეორება და თანაც გაოთხმაგებულ ვარიანტში? მე მგონი, ციხე შიგნიდან ირევა, ჩვენი დახმარების გარეშე :))) ყოჩაღ გიგა, მიდი, დაგვეხმარე ... ეს თუ ასეა, მართლა ჭკვიანი კაცი ყოფილხარ :)))

არანაირი კონკრეტიკა, უბრალოდ ალალად მაინტერესებს, რატომაა ქართული ოცნების გახმოვანებული 1 მლრდ. სოფლის მეურნეობაში ჩადება პოპულიზმი და ნაც. მოძრ. 4 მლრდ. რეალობა?





# vTvli, rom evroparlamentSi gamarTuli debatebi saqarTvelos gamarjveba iyo

გვესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს წევრი **ალექსი პეტრიაშვილი**

**— ბატონო ალექსი, ევროპარლამენტში გამართულ დებატებს პირადად ესწრებოდით. როგორია თქვენი თვალით დანახული რეალობა?**

— პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებატები ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მის მნიშვნელოვნებას ის ფაქტიც ამძაფრებს, რომ საქართველოს საკითხი ეგვიპტის და სირიის საკითხებთან ერთად განიხილეს. ჩვენი — „თავისუფალი დემოკრატებისა" და „რესპუბლიკელების" მიწვევა ევროპის ლიბერალ-დემოკრატიული ალიანსის მიერ მოხდა. ამ დებატების გამართვას ნაციონალური მოძრაობა — ევროპის სახალხო პარტია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კომუნისტებიც ამ დებატების წინააღმდეგნი იყვნენ და მხარს მიხეილ სააკაშვილის პოზიციას უჭერდნენ. ვთვლი, რომ ევროპარლამენტში გამართული დებატები საქართველოს და არა „ქართული ოცნების" ან „ნაც. მოძრაობის" გამარჯვება იყო. საქართველო სერიოზული ყურადღების ცენტრში მოექცა. ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტის ეშტონის სახელით გაკეთებული განცხადება მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები — ოპონენტების პოლიტიკური დევნა და ა.შ. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიუღებელია.

მინდა აღვნიშნო, ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროშიც თავისი პოლიტიკური ძალის ინტერესების გატარებას ცდილობს და შედეგად საელჩოების, მისიების ხელმძღვანელები დაკავებულნი არიან არა ქვეყნის იმიჯზე, კეთილდღეობაზე ზრუნვით, არამედ ერთი პოლიტიკური ძალის —„ნაციონალური მოძრაობის" კარგად წარმოჩინებით და მეორის — „ქართული ოცნების" დაკნინებით, შეურაცხყოფით. მაგრამ ეს რეალურად არ მუშაობს. ევროპარლამენტში პირდაპირ გაჟღერდა, რომ დღეს არავის აქვს უფლება კონკრეტული პოლიტიკური ძალის ფინანსურ შესაძლებლობებს, მის საქმიანობას ადმინისტრაციული რესურსით და პოლიტიკური დევნით ხელი შეუშალოს. ამ მოწოდებებით გამოვიდნენ „მწვანეები", „სოციალ-დემოკრატები". მომავალ კვირას ევროპის სახალხო პარტიის ინიციატივით ევროკავშირის წარმომადგენელთა ვიზიტია დაგეგმილი.

**— დებატებისას, თითქმის ყველა გამომსვლელმა, ივანიშვილის რუსულ ფულზე გააკეთა აქცენტი.**

— სამწუხაროდ, ევროპარლამენტარები ინფორმაციას ცალმხრივად იღებენ. არადა, როცა საუბარი რუსეთზეა, ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილმა ეკონომიკის დიდი ნაწილი სწორედ მათ მისცა. „რაოესი" შეიძლება იმავე რანგში ავიყვანოთ, როგორც „გაზპრომი". იგი იმავე რანგის კრემლის მიერ კონტროლირებადი კომპანიაა. ასევე, „ბილაინი", „ვი-თი-ბი" ბანკი. „თბილისის წყალი" თავიდან ბოლომდე რუსული კომპანიის კუთვნილებაა და იგი განსაზღვრავს ჩვენს გადასახადებსაც, საკუთარ მოგებასაც და შესაბამისად, ხელისუფლების წარმომადგენლების მოგებასაც. რუსეთის მიმართულებით ძალიან აქტიურად მუშაობს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, რომელიც მოსკოვის ხშირი სტუმარია. მას ალბათ, უკვე გადაუარა იმ განცდებმა, გულისწყრომამ 2008 წლის ომის პერიოდში და შემდგომ რომ ჰქონდა. ევროპარლამენტარებს, ვინც ამით აპელირებდნენ, ვუთხარით რა განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, რომ მას, პრაქტიკულად, რუსეთში ბიზნესი აღარ გააჩნია. არიან ადამიანები, ვისაც „ნაც.მოძრაობის" ხელისუფლების წარმომადგენლებთან რაღაც ვალდებულებები აქვთ და როგორც ჩანს, მათ ბოლომდე უერთგულებენ. მაგრამ მთავარი, ეს არაა. მთავარია ქართველი ხალხის ნება. ვერავითარი გარედან მოხდენილი ზეწოლა, განცხადება თუ გზავნილი და საერთოდ ვერაფერი შეცვლის ქართველი ხალხის ნებას. წინ ვერავინ აღუდგება და ვერავინ მოახერხებს ქართველი ხალხის ნება სათავისოდ მოიხმაროს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ევროპარლამენტში, კულუარულ საუბრებში, საქართველოში ბოლოს განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. არავისთვის უცხო, სიახლე არ არის რას წარმოადგენს ახალაიების კლანი, უბრალოდ, მათ აინტერესებდათ, რას ნიშნავდა ეს გადაადგილება — ერთი კონკრეტული ძალის გაძლიერებას თუ შიდა პოლიტიკურ თამაშებს. თუნდაც ჩვენს მიმართ სკეპტიკურად განწყობილ ევროპარლამენტარებშიც კი იმის ხსენება, რომ ერთი ძმა შსს-ს მინისტრია, მეორე — თავდაცვის მინისტრის მოადგილე და მამა — სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორი, ეს მათ სახეზე თავდაპირველად ღიმილს, მერე კი გაოგნებას, გაოცებას იწვევდა. ამასთან დაკავშირებით, ძალიან დიდი შეშფოთება გამოხატა ევროკომისარმა — ფულემ. მან ასევე, პრინციპულად, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური ზეწოლები, დაპატიმრებები, პროვოკაციები, მერეთის ინციდენტის მსგავსი მოვლენები, დაუშვებელია. ევროპელები ამით შეშფოთებულნი არიან და ამ ფაქტებს საგანგაშოდ მიიჩნევენ.

**— მთავარი ალბათ, მაინც ის იყო, რომ ევროპარლამენტარები ისე საუბრობდნენ, როგორც „ნაც. მოძრაობა". ორი წყარო ახსენეთ, ვინც მათ ინფორმაცია მიაწოდა, მაგრამ თქვენ იქ იმყოფებოდით და რა ინფორმაცია მიაწოდეთ თავად მათ?**

— ჩვენ მუდმივად ვაგზავნით ინფორმაციებს. ისინი საქმის კურსში ჩავაყენეთ იმ უკანონო, დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, რასაც ხელისუფლება უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით აქტიურად ახორციელებს — ძალადობას აქტივისტების და კერძო სექტორის მიმართ. ამას ვითომ კანონის სახელით აკეთებს. ევროპული ქვეყნის ვერცერთ კანონში ამის მსგავსს ვერაფერს ნახავთ. ავიღოთ მეორე ფაქტი — საღამოს ლეგალური დოკუმენტების 700 გვერდი მოგვიტანეს და მეორე დილით, 10 საათზე სასამართლოში დაგვიბარეს. საქმე არც მეტი, არც ნაკლები, 150 მილიონს ეხება. ევროპარლამენტარებმა გვითხრეს — ბუნებრივია, მოსამართლე სულ მცირე ერთთვიან პაუზას იღებს ამ შემთხვევაშიო. რომ გაიგეს 11 საათზე გადაწყვეტილება უკვე გამოტანილი იყო, გაოგდნენ. ეს აბსურდია — ასე შეაფასა ეს ქმედება ევროპარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც სხვათაშორის „ნაც. მოძრაობის" მხარდამჭერი ბანაკიდანაა. ასევე ჩვენი პრიორიტეტების განმსაზღვრელი დოკუმენტი მივაწოდეთ. მათ კარგად იციან, რომ ივანიშვილის მიერ გაჟღერებული ინიციატივები ჰაერში ნასროლი სიტყვები არაა. იქ ვიხილეთ ბევრი დეზინფორმაცია. საკუთარი თვალით ვიხილეთ გამონათქვამების კომპილაცია. საბჭოთა კავშირის დროინდელი ბროშურები იყო მომზადებული. მოვა დრო და ვიტაუტას ლანდსბერგისს ძალიან შერცხვება თავისი სიტყვების თითქოს „ქართული ოცნების" რიგებში ნაცისტური, ფაშისტური განწყობის პოლიტიკოსები არიან და ბიძინა ივანიშვილი ამგვარი კოალიციის ლიდერია. მას რაც ხელისუფლების მხარდამჭერი ერთ-ერთი ევროპარლამენტარი გვეკითხებოდა — როგორ, ამ მოსაწვევზე არ წერია, რომ 1000 ლარის ფარგლებში მოსახლეობას ოცნებას უსრულებთო. ეს უკვე ჩვენთვისაც ღიმილის მომგვრელი იყო. საინტერესოა, რომ პრესცენტრში, ევროპარლამენტარების მისაღებ ოთახებში ჩვენი მოსაწვევები აქტიურად ვრცელდებოდა.

**— ეს თუ აუხსენით, მაინც რატომ გაკეთდა მოსყიდვაზე მინიშნებები, ხომ გაიგეს, რომ მოსაწვევზე მსგავსი არაფერი ეწერა?**

— რა თქმა უნდა, ავუხსენით, მაგრამ მოსაწვევი ქართულ ენაზეა, ჩვენ მას ფრანგულ და ინგლისურ ენაზე არ ვბეჭდავთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ევროპარლამენტში ყველა პოლიტიკური ძალის მხრიდან ძალიან სწორი, ჯანსაღი შეფასება გაკეთდა. მათ არ უთქვამთ, რომ რა კარგია ივანიშვილი რომ მოდის „ქართულ ოცნებასთან" ერთადო, მაგრამ ითქვა, რომ გამოჩნდა ადამიანი, რომლის გარშემო დღეს არსებული ხელისუფლების საპირწონედ ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ალტერნატივა გაერთიანდა. ასევე აღინიშნა, ხელისუფლება ბარიერებს უქმნის პირადად ბიძინა ივანიშვილს, რათა მან ვერ აწარმოოს თავისი პოლიტიკური საქმიანობა, რაც აქტივისტების დევნაში, დაპა-



დაუბეჭდეს და მიაწოდეს, ის წაიკითხა. რაც მან თქვა, ეს რომ სიმართლე იყოს, გარწმუნებთ ახლა თქვენთან ნამდვილად ვეღარ ვისაუბრებდი, უფრო, ალბათ, ჰააგის ტრიბუნალის ჩარჩოებში მოგვიწევდა ამის განხილვა.

**— რა რეაგირება მოჰყვა ევროკავშირში თქვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს, რაზეც ახლა ისაუბრეთ. სამწუხაროდ, მოსახლეობამ მხოლოდ ცალი მხარე — დეპუტატების მხრიდან ივანიშვილის ლანძღვა მოისმინა და ის რომ თითქოს მოსაწვევებს არიგებდით, რითაც ხალხის ტელევიზორებით და სხვა ტექნიკით მოსყიდვა ხდებოდა. რით გააქარწყლეთ ეს მოსაზრებანი?**

— ჩვენ, მათთან ერთად სიტყვა-სიტყვით განვიხილეთ, თუ რა წერია „ქართული ოცნების" მოსაწვევზე. ხე-

ტიმრებაში, პროვოცირებებში, თეფშების დაყადაღებაში და ა.შ. გამოიხატება. ჩვენ ვხვდებოდით ევროკავშირის უმაღლესი კომისიის წარმომადგენლებს და ამ ადამიანების ზედმიწევნითმა ცოდნამ საქართველოში არსებული ვითარების შესახებ სასიამოვნოდ გამაოცა. იქ იყვნენ კონკრეტული ადამიანები, ვინც საქართველოზე პასუხისმგებელნი არიან და მაშინვე რეაგირებენ აქ მომხდარ ფაქტებზე. ინფორმირებულობა ძალიან მაღალი დონისაა. სამწუხაროა, რომ ეს არ გამოჩნდა სახელისუფლებო ტელევიზიების წყალობით, მაგრამ აქ ჩავატარეთ კონფერენციები და კონკრეტული ადამიანები ტყუილის ტირაჟირებაში ვამხილეთ.

**— ცნობილია, რომ იმ პერიოდში, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენს არჩევნებს აკვირდებოდნენ, გაყალბების ფაქტები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა შემთხვევებში. თანაც იმ ფონზე, როცა ხელისუფლება უკან არაფერზე იხევს დაწყებული ივანიშვილის მოქალაქეობის არმინიჭებით, ქონების დაყადაღებით, ჯარიმებით დამთავრებული, რა გაძლევთ ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს, თუნდაც იმ კუთხით, რომ არჩევნებამდე მივაღწევთ?**

— ძალიან კარგი შეკითხვაა. ხელისუფლება, როგორც ჩანს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა არჩევნებამდე მაქსიმალურად დაგვასუსტოს. რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების ყველა მცდელობა წარუმატებელი იქნება და კრახით დასრულდება, მაგრამ თქვენ ძალიან ლეგიტიმური შეკითხვა დასვით. კოალიციის სახელით შემიძლია გითხრათ — სწორედ ჩვენი სვლა არჩევნების დღისკენ განაპირობებს ხელისუფლების პანიკურ, ისტერიულ ქმედებებს. არჩევნების დღეს, როდესაც ყველაზე მთავარი არბიტრის — ქართველი ხალხის წინაშე დავდგებით, დარწმუნებული ვარ ერი სწორ არჩევანს გააკეთებს. ხელისუფლებამ იცის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობაში არჩევანის გაკეთების არნახული მზაობაა. ამიტომ, ბუნებრივია, ხელისუფლება ცდილობს „ქართული ოცნება" სხვა სათამაშო მოედანზე გადაიყვანოს. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა — შევატყობინო მას — ყველა მათი მცდელობა წარუმატებელი იქნება, არჩევნების გზიდან ვერავინ გადაგვახვევინებს და ყველაფერს ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანთ.

**— ბატონო ალექსი, მაინც მინდა გკითხოთ, ევროპარლამენტში ვიზიტისას რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, ევროკავშირი უჭერს მხარს ქართველ ხალხს?**

— საქართველოს სახელისუფლებო ტელევიზიების მიერ შექმნილმა პროპაგანდამ ისეთი სურათი დახატა, თითქოს ევროპარლამენტარები მწკრივში იდგნენ და ევროპარლამენტი იმ დღეს მეტს არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რომ პეტრიაშვილს, ხიდაშელს, უსუფაშვილს გადაუარეს და ტალახში აგორავებდნენ. რეალობა ასეთი არ ყოფილა. ნებისმიერ ჟურნალისტს შეუძლია სრული ჩანაწერი ამოიღოს და ნახოს. რეალობა ასეთია — ევროკავშირი შეშფოთებულია დღეს არსებული მდგომარეობით, ხელისუფლებას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევისგან თავის არიდებას მოუწოდებს. ძალთა ბალანსი ასეთი იყო, 12 გამომსვლელიდან — 5 გამოვიდა ივანიშვილის წინააღმდეგ, დანარჩენები საქართველოს სასარგებლოდ საქმიანად საუბრობდნენ. ეს დებატები ევროპარლამენტში ზუსტად იმიტომ გაიმართა, რომ საქართველოში მოვლენები არანორმალურად ვითარდება, ტემპერატურა არანორმალურად იზრდება.

**— ხელისუფლებას არ უნდოდა ამ დებატების გამართვა, თუმცა შედეგი მოსახლეობას ისე მიაწოდეს, როგორც თავად სურდათ. როგორ ფიქრობთ, ამის მერე კიდევ უფრო ხომ არ „აიწყვეტს" ხელისუფლება?**

— ახლა სცენაზე ახალაიების პერფორმანსის დროა. ამაზე მეტი „აწყვეტა" წარმოუდგენელია. ამას, ერთადერთი შეიძლება დაემატოს პოლიტიკური ლიდერების, აქტივისტების მასიური დაჭერები, დაპატიმრებები. ანგარიშები უკვე დააყადაღეს. ალბათ, შეეცდებიან ცოცხალი ადამიანებიც „დააყადაღონ", თუმცა ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას აჩვენა, რაც არ უნდა ძალადობა იხმაროს, ყადაღა დაადოს კოალიციაში შემავალ პარტიებს, ამ პროცესს ვეღარაფერი შეაჩერებს, ეს შეუქცევადი პროცესია. სოფლებში საუბარი მიდის არა ქვეყნის პრიორიტეტებზე, არამედ გადარჩენაზე, შიმშილის და წყურვილის მოკვლაზე. ხელისუფლება სპეკულიანტობს, როცა იძახის, რომ მათთვის 1000 ლარიან ვაუჩერს დაარიგებს. ამიხსნას ვინმემ არის თუ არა ეს ამომრჩევლის მოსყიდვა?! ადამიანები არჩევანს თვითონ გააკეთებენ.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# biZina ivaniSvil Tan Cvens Sexvedras is Zalebi blokaven, romlebic ivaniSvils nel-nela amzadeben dasamarcxeblad

**შეიძლება, ხელისუფლებამ დაიწყოს გეგმის შემოგდება, თითქოს, მიშა, ვანო ან კოდუები და სხვები ერთმანეთს უპირისპირდებიან, რომ ამით ოპოზიცია მიიტყუონ მოსალაპარაკებლად. მოვუწოდებ ოპოზიციას: არ გადადგას არც ერთი ნაბიჯი ამათკენ.**

*გვესაუბრება ადვოკატი, მოძრაობა „ეროვნულების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი* **ШАЛВА** ***შალვა ხაჭაპურიძე***



**— ბატონო შალვა, ახლახან ევროპარლამენტის სხდომაზე საქართველოს საკითხებს მწვავე დებატები მოჰყვა. როგორ შეაფასებთ იმას, რაც მოხდა სტრასბურგში?**

— მეეჭვება, ზუსტად გადმოეცა სახელისუფლებო ტელევიზიებს ის, რაც მოხდა სტრასბურგში. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როდესაც ევროპარლამენტის სხდომაზე ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის საქმე მსჯელობის საგანი ხდება, ეს არაა უბრალო შემთხვევა. სხვათა შორის, ერთმა დეპუტატმა კიდევაც თქვა — რა ხდება, რატომ ვიხილავთ საქართველოს საკითხსო. საკითხავი მართლაც იყო, რადგან, როგორც ჩანს, ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი რამ ხდება, რაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე უფრო მნიშვნელოვანია. 2008 წლის საკითხი ევროპარლამენტს არ განუხილავს.

ევროსაბჭოს ყველა დეპუტატს ჰააგის სარჩელი სათითაოდ ყველას აქვს დისკებზე და შესანიშნავად იციან, ვინც არის სააკაშვილი, ამიტომ, საინტერესოა, თუ ვინ იყო იქ მივლენილი ივანიშვილის მხრიდან, ასეთი საქმე რომ გააკეთა.

ისე, კი, მინდა გითხრათ, რომ ესენი არიან კორუმპირებული მოხელეები, რომლებიც უნდა მოგახსენოთ, რომ ხშირად სუნამოებზეც კი იყიდებიან. ამიტომ ამ დღეებში მოძრაობა „ეროვნულები“ ვაპირებთ მივმართოთ „ევროპარლამენტს“, რომ ყველაზე ცუდი, რაც იქ მოხდა, ამაზე გაკეთდეს რეაგირება. ჩვენ ეჭვქვეშ ვაყენებთ ამ დეპუტატების კორუმპირებულების საკითხს.

**— რა იყო ყველაზე ცუდი, რაც იქ მოხდა?**

— ყველას გვახსოვს ე.წ. „მოდელირებული ქრონიკა“, რუსული ტანკები და ა.შ. მერე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა და ძახილი — „გაზპრომის“ ფული, „გაზპრომის“ ფულიო. ამას მხოლოდ ჭკუანაღრძობი სააკაშვილი კი არ გაჰყვიროდა, ევროპარლამენტის დეპუტატებმაც გაიმეორეს, ანუ გამზადდა ნიადაგი შემდეგი ქმედებებისთვის.

**— კერძოდ?**

— ნაციონალურ მოძრაობას აქვს სამპუნქტიანი სამოქმედო გეგმა და ამას სრული პასუხისმგებლობით,



სანდო წყაროებზე დაყრდნობით ვამბობ. ეს გეგმა გულისხმობს ოპოზიციის და ხალხის დამარცხებას. გეგმის I პუნქტი ითვალისწინებს, რამენაირად მოაგროვონ ხმების 15-20 პროცენტით გააყალბონ 60 პროცენტი. ოღონდ ისე კი არა, დამკვირვებელმა ან ვინმემ შენიშნოს, შემუშავებულია ახალი ტექნოლოგიები, დამკვირვებელიც რომ დაადგეს თავზე, მაინც ვერ შენიშნავს, რა გააკეთეს — აქვთ სპეციალური ფანქრები, რომელსაც ფრჩხილში იმაგრებენ, გადახაზავენ ბიულეტენს, გააფუჭებენ, ან მოსახლეობის აღწერის დროს ამატებენ ამომრჩევლის რაოდენობას და რაც მეტია ამომრჩევლის რაოდენობა, მეტია გაყალბების შესაძლებლობა და ა.შ.

მერე თუ ოპოზიცია დაიწყებს პროტესტს გაყალბებასთან დაკავშირებით, ამოქმედებას დაიწყებენ ნაცმოძრაობის სატელიტი პარტიები, რომლებიც განაცხადებენ, რომ არჩევნები ჩატარდა პატიოსნად, ხოლო ისინი, ვინც პროტესტს გამოხატავენ, არიან რუსული ძალა და მათ უნდა უფრთხილდეს ხალხი. ამიტომაც შევლენ პარლამენტში და როგორც კი შევლენ, მაშინვე ხდება ოპოზიციის ლიდერების დაუყოვნებლივ დაპატიმრება. დასაპატიმრებელთა სპეციალური სია უკვე არის შედგენილი და იქ ჩემი გვარიც არის მოხსენიებული.

ევროპარლამენტის სხდომის შემდეგ შეფასებებში ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ „იწყება გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ — ეს მათი სიტყვებია და თუ გადამწყვეტ ბრძოლაზეა საუბარი, იქ თოფ-იარაღზეც არის ლაპარაკი და ბომბიც და ზარბაზანიც არის ნაგულისხმევი.

ბატონებო, ნაციონალურმა მოძრაობამ ომი გამოუცხადა ქართველ ხალხს და უთხრა: ან ჩვენ ვიქნებით, ან საკუთარ სისხლში გაბანავებთო. რუსეთის აგენტურა ხართ და აგენტურა უნდა გავიყვანოთ და დავხვრიტოთო. ეს განაცხადეს ევროპარლამენტის შეფასებების მოსმენის შემდეგ და თუ მართლა ასე მოხდა, პასუხისმგებლობა ევროპარლამენტსაც დაეკისრება ამაში.

**— ბატონო შალვა, აშშ-ის ელჩმა ე.წ. მწვანე შუქი რომ აუნთო ხელისუფლებას ხალხის დასარბევად, ამაზე პასუხისმგებლობა მასაც არ აუღია, ის კი არა, ამას წინათ საარჩევნო გარემოც კი მოიწონა საქართველოში.**

— იბადება ლოგიკური კითხვა: რას ვერჩით ამერიკის ელჩს, მაშინ, როცა არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას საქართველოში განგაში არ აუტეხავს იმაზე, რომ საარჩევნო გარემო საქართველოში უვარგისია.

მაგრამ, რადგან მიდიხარ არჩევნებზე, ნიშნავს, რომ თანხმდები ხელისუფლებას იმ თამაშში, რასაც გთავაზობს. აშშ-მაც განაცხადა, რომ თუკი მნიშვნელოვანი პრეტენზიები არ გაქვთ, არჩევნები, წესით, ნორმალურად უნდა ჩატარდესო. ამერიკის ელჩმა რაც თქვა, ეს იყო დიპლომატიური განცხადება. სინამდვილეში კი იგულისხმა: არ გინდათ სააკაშვილი? მაგრამ თქვენ მასზე უარესები ხართ, რადგან მიჰყვებით იმ თამაშში, რასაც თვითონ გთავაზობთ. დღეს მთავარია დიდი სახალხო ერთობის ჩამოყალიბება.

ჩვენ ამ წინადადებით ერთხელ შევხვდით ბიძინა ივანიშვილს და მას შემდეგ შეხვედრა ველარ მოვახერხეთ. როგორც ჩანს, გარკვეული ძალები ხელს უშლიან ჩვენს დაახლოებას.

**—„ეროვნულები“ არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?**

— ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მაგრამ უახლოეს ერთ-ორ კვირაში ამას გადავწყვეტთ. თუ ვერ მოხერხდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა და კვლავაც დაგვბლოკეს, ჩვენ თვითონ დავიწყებთ რეგიონებში ოფისების გახსნას და დავასახელებთ ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატებს.

მაგრამ, ფაქტობრივად, გამარჯვება შეუძლებელი იქნება, თუ ერი არ გაჰყვა ერთ ფორმულას: იყავი კოალიციაში ვისთანაც გინდა, მაგრამ შევქმნათ სახალხო ერთობა.

პოლიტიკოსები ავცდით ხალხის მოთხოვნებს. ხალხი არ გვთხოვს დაიყავითო.

**— ამას გულისხმობდა „სახალხო კრებაც“.**

— ჰო, მაგრამ, მაშინ თუ ვერ მოახერხე და რომ ვერ მოახერხე, ანუ უვარგისები რომ ვიყავით, ყოველთვის ასე ხომ არ უნდა გაგრძელდეს?! ყველა ერთად უნდა დავდგეთ, თორემ დავმარცხდებით, სასტიკად დავმარცხდებით ამ არჩევნებში. ხალხმა უნდა აიღოს ინიციატივა, თორემ ესენი განახორციელებენ გეგმას, რომელიც რუსეთის აგენტურამ დადგა საქართველოსთვის.

როგორც ბატონმა ბიძინამ ბრძანა, ერთ მუშტად უნდა შეიკრას საქართველო.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ არიან ძალები, რომლებიც ხელს უშლიან თქვენს დაკავშირებას „ქართული ოცნების“ კოალიციასთან. ვინ არიან ეს ძალები, გაუმხილეთ საზოგადოებას. პოლიტიკოსები მუდამ გვპირდებით, რომ რაღაცას იტყვით. გადის დრო და არაფერს ამბობთ.**

— ჯერ ვერ ვიტყვი, რადგან ახლა მიმდინარეობს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გადამოწმების პროცესი. ჩვენ ჯერ ვამოწმებთ, როცა ყველაფერი გაირკვევა, იცით, ჩემი ხასიათი, არავის მოვერიდები, გამოვალ და ვიტყვი ვინ ვინ არის.

**— მაშინ ის მითხარით, კოალიციასთან მიახლოებას რატომ შეიძლება გიშლიდნენ, რა მიზეზი შეიძლება იყოს?**



— პირველ რიგში, ეს შეიძლება მოხდეს იმ მიზნით, რომ ნელ-ნელა ბიძინა ივანიშვილს ამზადებენ დასამარცხებლად. ანუ ჩვენი დამარცხება კი არ აინტერესებთ, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მოქმედებენ. იმიტომ, რომ ჩვენთან კავშირი ნიშნავს სამეგრელოს მოგებას. სამეგრელოს მოგება კი არჩევნების მოგებას.

**— თქვენ ლაპარაკობდით, ახალაიას ხელშია სამეგრელოო და ახალაიებზე მეტი ძალა თქვენ გაქვთ?**

— ჩვენ კი არ გვაქვს ძალა, ზვიად გამსახურდიას სახელს აქვს ძალა და მასზე მეტად იმ იდეას აქვს ძალა, რასაც გამსახურდია ქადაგებდა. დღესაც ამით ცოცხლობს სამეგრელო. ამიტომ, ამ იდეასთან ჩამოცილება ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის გაწირვას დასამარცხებლად.

**— სხვათა შორის, ზოგიერთი ზვიადისტი ამბობს: ძალიან კარგი, თუ ივანიშვილი დამარცხდება, მაინც რუსული, აგრესიული ძალააო.**

— ჯერ ერთი, ეს არის აბსურდი და მეორეც, ტყუილად ცდილობს რუსეთი ახალ პოლიტიკურ ძალებს საკუთარი იარლიყი მიაკეროს, ამერიკა არაფრის დიდებით არ დათმობს საქართველოს. ეს არ მოხდება. ზოგმა შეიძლება არ დაიჯეროს, მაგრამ ახლა ვიტყვი პირველად: გახსოვთ პარტია „სამართლიანობის“ წევრები რომ დაიჭირეს? ახლაც ციხეშია იმ ხალხის ნაწილი. დასაპატიმრებელთა სია, სხვათა შორის, რუსეთიდან ჩამოვიდა. ისინი რუსეთის აგენტობის ბრალდებით დაიჭირეს. მე მათი ადვოკატი ვიყავი და ვიცი, ეს ამბები. ვიღაცა იტყვის, ეს ამბავი მოძველდა, მას შემდეგ დაჭერებს დაჭერები მოჰყვაო, მაგრამ დღეს რაც ხდება „გუშინდელის“ გაგრძელებაა.

**— ანუ ოქტომბრამდე დაჭერები იქნება?**

— ოქტომბრამდე თუ მიგვიყვანეს, კარგი იქნება. თუ სააკაშვილმა შეატყო, რომ არჩევნების საქმე მის სასარგებლოდ არ მიდის, არჩევნებს აღარ დაუცდის, სექტემბერში, სავარაუდოდ, რეპრესიებს დაიწყებს.

პოლიციელი მერაბიშვილი — პრემიერ-მინისტრად, პოლიციელი ახალაია შსს-ში, პოლიციელი შაშკინი, პოლიციელი დეკანოიძე, პოლიცია მართავს ამ ქვეყანას. მერაბიშვილის დანიშვნით, ფაქტობრივად, ქვეყანაში უკვე მერამდენედ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და სათავეში მოვიდნენ პოლიციელები.

იცოდეთ, ხელისუფლება ემზადება სისხლისღვრისთვის და მასობრივი რეპრესიებისთვის.

**— მერაბიშვილის გადაყვანა პრემიერ-მინისტრად რას შეიძლება დავუკავშიროთ, იმას, რომ აღარ ჰქონდა სააკაშვილს მერაბიშვილის იმედი?**

— აქ სულ სხვა ამბავია. სააკაშვილი იმდენადაა გაშავებული, ახლა სურთ წინა პლანზე წამოსწიონ პირი, ვისი მოღვაწეობაც ასე თუ ისე, წარმატებული იყო. ეს, ცხადია, მთლად ასე არაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მერაბიშვილი კარგი მენეჯერია, მისმა რეიტინგმა აიწია. ფაქტი ისაა, რომ აშშ-ი ამიერიდან, აღარ დაუშვებს იმას, რომ სააკაშვილი კვლავ მოვიდეს ხელისუფლებაში. მიზეზი მარტივია, მაკიაველის პრინციპით: დავიშალოთ იმისთვის, რომ ხელახლა გავერთიანდეთ! ახლა ნაციონალური მოძრაობის ნაწილს ჩამოიშორებენ, გაცხრილავენ შემადგენლობას, შეიძლება სახელიც კი შეიცვალონ. 2013 წლამდე აქ ამბები დატრიალდება, ჯერ ჟურნალია, კინოს მერე ვიხილავთ. ვინც უნდოდა და ვისაც ენდობა, დაიახლოვა სააკაშვილმა, დანარჩენი მისთვის არავინ არაფერს არ წარმოადგენს. მაგრამ, შეიძლება, სწორედ ვანო მერაბიშვილმა გამოუტანოს მაგას განაჩენი.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ის ჩანაწერი, რაც გვაჩვენეს — მიშას და ვანოს ფამილარული დიალოგი, შესაძლებელია რეალობას შეესაბამებოდეს და დადგმული სცენა იყოს?**

— ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ, მაგრამ,

**შეიძლება, ხელისუფლებამ დაიწყოს გეგმის შემოგდება, თითქოს, მიშა, ვანო ან კოდუები და სხვები ერთმანეთს უპირისპირდებიან, რომ ამით ოპოზიცია მიიტყუონ მოსალაპარაკებლად. მოვუწოდებ ოპოზიციას: არ გადადგას არც ერთი ნაბიჯი ამათკენ.**

ეს იქნება დიდი უზნეობა, რადგან ნაცმოძრაობას ელოდება ნიურნბერგის პროცესის მაგვარი რამე, ალბათ, ქუთაისში და ნუ მიიღებენ მონაწილეობას ამ ამბებში.

**ირანდა კალანდაძე**

# vano merabiSvils gadarCenis erTaderTi gza aqvs _ unda gadadges da aqedan gaiqces...



*გვესაუბრება მწერალი*
***მერაბ შათირიშვილი:***

**— ბატონო მერაბ, ხელისუფლებამ საზოგადოებას საკადრო ცვლილება შესთავაზა. რას ფიქრობთ მერაბიშვილის დაწინაურებაზე, რაზეა ეს გათვლილი?**

— მერაბიშვილი, როგორც შსს მინისტრი, დღემდე სახელმწიფო მოხელის სტატუსს ინარჩუნებდა. იგი მონაწილეობას იღებდა ,,ნაც. მოძრაობის" ბინძურ გადაწყვეტილებებში, მაგრამ ეს აშკარად არ ჩანდა. იგი არ აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური ფიგურა, სახელმწიფო მოხელე იყო. სახელმწიფო მოხელეს, რომელიც საკუთარ საქმეს ემსახურება, უკან დასახევი გზა ყოველთვის აქვს. მაგალითად, ადეიშვილი საზოგადოებისთვის, როგორც სახელმწიფო მოხელე, ისე აღიქმება, მას უკან დასახევი გზა აქვს. ასე, რომ მიუხედავად იმისა, მერაბიშვილის მისამართით რიგი ბრალდებები გაისმოდა, მას უკანდასახევი გზა შსს მინისტრობის პერიოდში მაინც ჰქონდა. ახლა, მისი წინ წამოწევა მხოლოდ და მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ მერაბიშვილს ყველა უკან დასახევი გზა გადაუჭრეს. იგი არის იმ სიბინძურის მამამთავარი, რასაც პოლიტიკური ორგანიზაცია ,,ნაც. მოძრაობის" სახით სჩადიოდა. კიდევ ვის აქვს უკანდასახევი გზა მოჭრილი?! — ესენია ახალაიები. ერთი ძმა შსს-ს სათავეშია, მეორე — სამხედრო უწყებაში შაშკინისაც. ყველა გზა მოუჭრეს. სააკაშვილმა ამ ხალხს უთხრა — თქვენ გგონიათ, მარტო მე მომეკითხება ყველაფერი, თითოეულ თქვენგანს თქვენი წილი პასუხისმგებლობა გაქვთ, ყველას უკანდასახევი გზა მოჭრილი გაქვთ და ყველაზე მკაცრი, არაორდინალური ქმედება უნდა ჩაიდინოთო. ანუ, პრეზიდენტის პათოსი ასეთია: — თუ საჭიროა, უნდა მოკლა, დაიჭირო, გაძარცვო.

**— ანუ, მერაბიშვილი ამ მოთხოვნას ვერ ასრულებდა და ახალაია იმისთვის დანიშნეს, რომ ამ ყველაფერზე ხელისმომწერია?**

— რა თქმა უნდა, მერაბიშვილი სოფელში აღზრდილი კაცია და ჰყოფნიდა იმდენი გონიერება, რომ უკან დასახევ გზას ყოველთვის იტოვებდა. სააკაშვილმა ახალაია შეაქო, ძალიან კარგი წმენდა ჩაატარე ის ადამიანები გაყარე, ვინც ორჭოფობდნენო. რაზე ორჭოფობდნენ ისინი? — ,,ნაციონალების" სკამი გავაძლიეროთ თუ სამშობლოს ვემსახუროთო. მისთვის ელექტორატი მთავარი არ არის. მან თქვა, რომ პოლიტიკას ვინც მეთამაშებით, სულელი ხართო, რადგან მას ჰყავს ყაჩაღების ბანდა, რომელთა მეშვეობითაც სისხლს დაღვრის, მაგრამ სკამს არ დათმობს. დააკვირდით, როგორი ინტენსივობით ახორციელებს ხელისუფლება ივანიშვილის უკანონო დაჯარიმებებს, ხომ შეიძლება ერთხელაც მან ეს დაჯარიმებების ციკლი შეწყვიტოს და სისხლის სამართლის საქმე აღძრას. საქმე სწორედ აქეთკენ მიდის. ხელისუფლებას უკვე აღარ აინტერესებს ელექტორატი, მისი აზრი.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ამ საკადრო ცვლილებებით შესაძლო სისხლისღვრას მოაწერა ხელი?**

— რა თქმა უნდა. სააკაშვილმა ამით გადაჭრით თქვა, რომ მისი პარტია წასვლას არსად არ აპირებს. ტყუილია, ვინც ამბობს, რომ თითქოს ხელისუფლებას მაინც



არაფერი გამოუვა. ხელისუფლებას მართლაც არაფერი გამოუვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებამდე მიღწევას შევძლებთ. უკვე 250 ათასი ადამიანი გამოვიდა ივანიშვილის აქციაზე. დარწმუნებული ვარ, ,,ქართული ოცნების" მიერ დაწყებული საარჩევნო კამპანიის პერიოდში მილიონ ნახევარი ამომრჩეველი და ,,ქართული ოცნების" მხარდამჭერი გამოვა. ამ ფონზე, საარჩევნო ყუთთან თუ ,,ნაციონალების" მოგება დაფიქსირდა, ეს ხომ აბსურდი იქნება. პირადად მე, ვხედავ ტენდენციას, რომ ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს სამშობლო წამართვას, ფაქტობრივად, პოლიტიკური ნიშნით პედაგოგიური უფლებების განხორციელება ამეკრძალა, ჩემი მწერლობა არავის უნდა, იმიტომ რომ, ასპარეზი იმ მწერლებს ეთმობათ, ვინც მათი მომხრეები არიან. ჩვენ კი სამშობლოს გვართმევენ, სამაჩაბლო წაგვართვეს, ენას, სარწმუნოებას გვირყვნიან, გვაიძულებენ აქ აღარ დაგვედგომებოდეს. ათასობით ქართველს საკუთარ ქვეყანაში ართმევენ სამშობლოს. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანები არ გამოვლენ ქუჩაში?! ძალიან მიკვირს, რატომ ხარჯავს ოპოზიცია ამდენ ენერგიას აშშ-ში, ევროპაში გასვლებზე. არ ჯობს, ეს ენერგია საკუთარ ხალხზე დაიხარჯოს?! როცა ხალხი სათანადო სიმაღლეზე დადგება და საკუთარ სამშობლოს დაიცავს, ბანდიტებს ქვეყნის საბოლოოდ ხელში ჩაგდების უფლებას არ მისცემს, მაშინ გვექნება შანსი, გადავრჩეთ. ხელისუფლება ქვემო ქართლში უამრავ აზერბაიჯანელს მოქალაქეობას ანიჭებს, რათა საარჩევნო ხმები განიმტკიცონ. ამან შეიძლება გამოიწვიოს აზერბაიჯანელების მოზღვავება, რომლებიც ორმაგი მოქალაქეობის წყალობით ხმას მისცემენ ამ ხელისუფლებას. აჭარაში 40 ათასი თურქის პასპორტიზაცია რატომ ხდება, როგორ გგონიათ? — ეს საარჩევნო ხმებზეა გათვლილი. ხელისუფლება, რომელიც მუსულმანებზე ჰყიდის საარჩევნო ხმების გამო საქართველოს, ამას ისევ და ისევ ქართველი ერი უნდა აღუდგეს წინ. ამიტომ მეტი ძალისხმევაა საჭირო. არ არის საკმარისი წინასაარჩევნოდ მიტინგებზე ხალხის მოყვანა. უნდა დაფიქსირდეს პროტესტი. ხელისუფლების მზაკვრული გეგმის წინააღმდეგ გამოსვლები უნდა დაიწყოს. ხალხმა მკაფიო მესიჯი უნდა გაუგზავნოს ხელისუფლებას. სხვა შემთხვევაში, სამშობლოს ვკარგავთ.

**— ბატონო მერაბ, ბოლოს ისევ საკადრო ცვლილებებს მინდა დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, მერაბიშვილს ,,გადარჩენის" რა შანსები აქვს?**

— რადგანაც მერაბიშვილმა იცის, რომ მას უკან დასახევი გზა მოუჭრეს, მას ეს სახეზეც ეტყობა, კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, მას აქვს შანსი, უკან დაიხიოს. მან იცის, რაში იღებს მონაწილეობას, რა ჯგუფის ტორპედოს როლს თამაშობს. იგი გადარჩება, მას ქართველი ხალხი გაუგებს, თუ ამ მკვლელების პოლიტიკას გაემიჯნა. თუ ასე არ მოიქცა, იგი იყო და დარჩება მთელი ამ უბედურების თანამონაწილე, რასაც ნაციონალური ბოროტება ჰქვია. იგი ამ გუნდთან ერთად იწვნევს სისხლიან ,,გამარჯვებასაც", დამარცხებასაც და ხალხის რისხვას.

**თამარ შველიძე**

# `kardakaris~ aqciiT naTelixdeba, romxalxi xelisuflebas ar endoba

მთელი საქართველოს მასშტაბით ,,კარდაკარის აქცია" დაიწყო ,,ოცნებამ" 24 ივნისს, ხოლო ,,ამომრჩეველთა ლიგამ" თბილისსა და ზუგდიდში — 21 ივნისს.

ამომრჩეველი გვეხმარება სიების დაზუსტებაში — სურთ, რომ ეხლა მაინც დაიდოს სამართლიანი საარჩევნო სიები, გვაწვდიან ინფორმაციებს ეზოდან, თუ ვინ არის წასული საქართველოდან უცხოეთში, ვინ არის მიწერილი ეზოში და ვინ არ არის სიაში.

მარჯანიშვილის ქ.№59-ში ეზოს თავმჯდომარემ აღმოაჩინა, რომ მისი თანხმობის გარეშე, ეზოში ჩაწერილი იყო 5 ჩინელი, მათ ამოსაწერად ბევრჯერ მივიდა რეესტრში და ძლივს მიაღწია მიზანს — ამოწერა ისინი.

მინდა ვთქვა, რომ თბილისის ამომრჩეველი ჩუღურეთის რაიონის მე-6, მე-7 და 28-ე უბანზე საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული. მათ იციან ვინ არის კაციტაძის კომისია, ვინ არის, ,,ამომრჩეველთა ლიგა" და ,,ქართული ოცნება". ბენაშვილის ქუჩის ერთ-ერთ ნომერში როცა მივედით, ოჯახის პატრონები მიდიოდნენ ეკლესიაში, მათ თავდაპირველად ვეგონეთ ,,ნაცების" წარმომადგენლები და არ ჰქონდათ სურვილი, ჩვენთვის მოეცათ რაიმე ინფორმაცია, როცა გაიგეს, რომ ვიყავით ამომრჩეველთა ლიგიდან, შებრუნდნენ ბინაში, სახლშიც მიგვიპატიჟეს და ყველა საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდეს. ახალციხის ქუჩის ერთ-ერთ ნომერში ბინის მეპატრონე ახალგაზრდა მამაკაცმა გვითხრა: —თუ ,,ნაცები" ხართ სახლში არ შემოგიშვებთო. ახალციხის ქუჩის №20 დანგრეულია და ,,მისამართი არ იძებნება" — იქ ჩაწერილი ხალხი არავინ არ იცის ვინ არის. ასევე ბენაშვილის ქ.№3 ბ. საერთოდ არ არსებობს, შესაბამისად იქ მაცხოვრებელი ორი ადამიანი მეზობლებმა არ იციან, ვინ არის. შეგვხვდნენ სიაში მოქალაქეები, რომელთაც 10-15 წლის წინათ გაყიდული აქვთ ბინები, მაგრამ მაინც ფიგურირებენ ძველი მისამართის სიებში. ასეთია მაგ. ერისთავის ქ.№14 ჩაწერილი პარლამენტის თავმჯრის მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი და მისი მამა დავით თაქთაქიშვილი. ისინი აღნიშნული მისამართიდან გადავიდნენ 15 წლის წინათ, რაც დაადასტურა მეზობელმა რომ ცხოვრობენ ვაკეში. მეზობლის მიერ მოცემული ტელეფონი 2.22.05.14 არ პასუხობს არც დილით და არც ღამით. საარჩევნო სიებში უხვად არიან წარმოდგენილნი პირები, რომლებიც არ ცხოვრობენ ამ მისამართზე, მათ არავინ არ იცნობს — ე.წ. ,,მიწერილების" — ჩაწერა კი აქვთ.



გორკის ქ.№27-ში ჩაწერილი ნანა გოგინაშვილი-ერისთავი რამდენიმე წლის გარდაცვლილია, მის მეუღლეს, გივი ერისთავს ჰყავს მე-2 მეუღლე. გარდაცვლილი ფიგურირებს ცოცხლების სიაში. ასევე ბენაშვილის ქ.№12-ში სიაში მყოფი ვახტანგ მკერვალიშვილიც გარდაცვლილია.

**ასევე გარდაცვლილები არიან ცოცხლების სიებში:**

სპიცინა ტატიანა — ბენ.აშვილის ქ.№9-ბ.; მეგენეიშვილი შოთა — მარჯანიშვილის ქ.№65; კობერიძე სიმონი — ზ.ქვლივის ქ.№23; ტატიშვილი თეიმურაზი — ზ.ქვლივის ქ.№28; ძიძიგური ლია — ზ.ქვლიძის ქ.№28

**შეგხვდა სიებში ჩაწერილი მოქალაქე ორი სხვადასხვა გვარით.**

გუბაევი თამარი; ელყანაშვილი თამარი — დიღომბაძის ქ.№4 (28 უბანი, ჩუღურეთის რ-ნი)

**ასევე უხვად არიან მოქალაქეები, რომლებიც არ არიან სიებში, სინამდვილეში, ისინი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ.**

მიხეილ შაფათავა — მამარდაშვილის ქ.№12; ნუნუ მჭედლიძე — ,, — " ტელ: 95.05.87; ლელა ჭუმბერიძე— ბენაშვილის ქ№9, ტელ: 94.04.48.; თეა ჭუმბერიძე — ბენაშვილის ქ.№9 ტელ: 94.04.48.

ახალციხის ქუჩიდან ამომრჩეველმა გვითხრა, რომ ,,ნაცების" მაჟორიტარობის კანდიდატ ანდრო ალავიძეს — მისმა კოორდინატორმა შეხვედრა ვერ მოუწყო, ასევე ვერ მოუგროვა 10 ამომრჩევლის მხარდამჭერის ხელმოწერა. ამავე ანდრო ალავიძემ 17 ივნისს, ე.წ. ,,ლონდონის" ბაღში ამომრჩეველთა ბავშვებისთვის ამღერა ანსამბლი ,,გვირილა", ხოლო შემდეგ ბავშვებს დაურიგეს ნაყინი, ნაყინი მიირთვეს ,,ოცნების" მხარდამჭერთა შვილებმაც. შემდეგ კი ჩუღურეთის მიკრო-რაიონის თანამშრომელმა ხიზანიშვილმა ბავშვებს აყვირა ,,მადლობა ნაციონალურ მოძრაობასო". მინდა ვუთხრა ქ-ნ ნათია მოგელაძეს: — ეს არ არის ამომრჩეველთა მოსყიდვა?

**საარჩევნო სიებში უხვად არიან მოქალაქეები, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ. მაგ:**

ჩუგუაშვილი ლია — ახალციხის ქ.№23; ჩოქური შორენა — ახალციხის ქ.№13; აფხაზავა არჩილი — ერისთავის ქ.№12; ბაშირიანა ელინა — მამარდაშვილის ქ.№17

ყველას ხომ არ ჩამოვთვლი, ჩუღურეთის რაიონის №10 უბანზე საზღვარგარეთ წასული არის 65 მოქალაქე, ,,მიწერილი" არის 41 მოქალაქე, გარდაცვლილი 7 მოქალაქე, სიებში არის აგრეთვე უცხოეთში მცხოვრები, მოქალაქეობა, მიღებულნი ადამიანებიც.

ამომრჩევლებმა გვითხრეს: საგადასახადოს თანამშრომელი, ვინმე დათო გურგენიძე, აშინებს წვრილი საქონლით მოვაჭრე პენსიონერებს, რომ დააჯარიმებს 500 ლარითო.

,,კარდაკარის" აქციით ნათელი გახდა, რომ ხალხი აღარ ენდობა ხელისუფლებას, ხალხს იმედი აქვს და ოცნებობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება შეიცვლება და ცხოვრება გაუმჯობესდება. ,,კარდაკარის" აქციით შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნებში ხმას 10 პროცენტამდე თუ აიღებს.

**რუსუდან პატარაია**

# ganaTlebis sferos policia, kudi da sodi akontrolebs



ვესაუბრებით კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს ქალბატონ **ნინო გოგუაძეს**

**— ქალბატონო ნინო, საგანმანათლებლო სისტემაში რომ პოლიციური რეჟიმი დამკვიდრდა, ეს უკვე თვალნათელია, რას უქადის ეს მომავალ თაობებს? ან ასეთი ღია „თამაში“ არ აზარალებს ხელისუფლებას?**

— მანდატურებს ვჩიოდით და თურმე უარესი წინ გველოდა, დღეს უკვე პოლიცია და კუდია ოფიციალურად შესული განათლების სფეროში და ისინი განაგებენ იქ ყველაფერს. ეს გახლავთ პოლიტიკური ლოიალიზმის მიხედვით აწყობილი სისტემა, რომელიც უკვე ტოტალიტარულ რეჟიმს ემსგავსება იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულ სისტემას აკონტროლებენ ტოტალურად ის ადამიანები, რომლებიც მმართველ პარტიაში მუშაობენ. თუმცა, მათი კომპეტენცია ნაკლებად აწუხებს ხელისუფლებას.

2000 წლიდან 2003 წლამდე იქნა შემუშავებული ის საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც შემდგომ განხორციელდა და „მიიწერა“ ამ ხელისუფლებამ. ცხადია, ეს მათი შემუშავებული არ იყო.

**— თქვენი აზრით, რატომ მოხდა მაია მიმინოშვილის განთავისუფლება, ხელისუფლება ხომ მას ენდობოდა წლების მანძილზე?**

— საკითხი კოკა სეფერთელაძემაც და გიგი თევზაძემაც ისე წარმოადგინეს, თითქოს ხელმძღვანელობასა და მას შორის იყო კონცეფტუალური შეუთავსებლობა და ჭიდილი და ამ „დიად რეფორმებს“ მიმინოშვილი ხელს უშლიდა. ეს არის შეუძლებელი. ეს რომ მართალი ყოფილიყო, ის გამოცდების დაწყებამდე უნდა მოეხსნათ დაკავებული თანამდებობიდან. მე ვფიქრობ, რომ ის პოლიტიკური ნიშნით გახდა მათთვის მიუღებელი.

ნებისმიერ შემთხვევაში გამოაცხადებენ, რომ გამოცდებმა კარგად ჩაიარა, რაც შეიძლება ბევრი აბიტურიენტი ჩაირიცხება იმიტომ, რომ არ დაიწყოს გასაჩივრებისა და პროტესტის პროცესები, არჩევნების წინ არ დაგროვდეს უკმაყოფილო ადამიანები, წინასწარ შემიძლია დავამშვიდო. აბიტურიენტის მშობლები, რომ მათ შვილებს ჩაჭრა არ ემუქრებათ. ეს ყველაფერი კი მოხდება იმის ხარჯზე, რომ ეროვნული საგამოცდო ცენტრის ახალი თანამშრომლების არაკომპეტენტურობა არ გამჟღავნდეს. ის, რომ ნამუშევართა გასწორების მხრივაც ტოტალური არაკომპეტენტურობა იქნება, დარწმუნებული ვარ. ნამუშევართა გასწორებას — ცოდნა უნდა, რომელიც მათ არ გააჩნიათ. ეტყობა ამას გულისხმობდა კოკა სეფერთელაძე, როცა აბიტურიენტთათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე საუბრობდა.

**— ქალბატონო ნინო, თქვენც აღნიშნეთ და ყველამ იცის, რომ მისაღები გამოცდები უმაღლესი სასწავლებლების გარეთ გამოტანილ იქნა იმისათვის, რომ კორუფცია მოესპოთ ამ სისტემაში, მომავალი წლიდან კი მისაღები გამოცდები კვლავ სკოლებში ჩატარდება, ეს ხომ არ შეუწყობს ხელს კორუფციული გარემოს შექმნას?**

— უცხოეთშიც ხდება ისე, რომ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ იქ უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ ავტონომია, და საკუთარ წესებს განავითარებენ. ცხადია, რომ სკოლის დამთავრებისას რვა გამოცდის უცებ შემოღება მოუმზადებლად, სრული ნონსენსი იყო, რამაც კოლაფსურ მდგომარეობაში ჩააყენა სწავლის პროცესი.

დღეს რას ზომავს ეს გამოცდები არავინ არ იცის. იმისათვის რომ სისტემა გაიმართოს, ამას სჭირდება თავდაუზოგავი შრომა, რეფორმის გატარება ამ სფეროში ნებისმიერი კუთხით, ძალიან რთულია. გიგი თევზაძემ ღიად განაცხადა, რომ უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლა ცოდნას ვერ იძლევაო, ამიტომ უნდა გადავიდეთ ისეთ სისტემაზე, რომ უფრო ადვილი იყოს უმაღლეს სასწავლებელში მოწყობაო. ე.ი. უნდა მივიღოთ აპრიორი, რომ სკოლა განათლებას ვერ აძლევს მოსწავლესო.

რას ნიშნავს, ის, რომ სკოლა არ ან ვერ იძლევა ცოდნას? განათლების სამინისტრო



იმისთვის არსებობს, რომ სკოლამ მისცეს ცოდნა მოსწავლეს, თორემ სხვა რა დანიშნულება აქვს ამ სამინისტროს?

გიგი თევზაძის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ხომ არ ჯობია, საერთოდ გავაუქმოთ სკოლა და საბავშვო ბაღიდან პირდაპირ უმაღლეს სასწავლებელში მივიღოთ პატარები? აბა, სხვას რას ნიშნავს ეს?

სკოლის საგამოცდო ტესტები ისეა შედგენილი, რომ იმით მოსწავლის ცოდნა ვერ გაიზომება, ისინი უმარტივესია. თუ ეს საქმე ასე გაგრძელდება, ქვეყანაში განათლების სისტემას მომავალი არ უწერია! წინა წლებში 3-4 საგანში მაინც ემზადებოდნენ მოსწავლეები, რომელთაც მერე უმაღლესში აბარებდნენ, ამჟამად ესეც ისპობა. სამწუხაროდ, დღეს უმაღლეს სასწავლებლებს არანაირი ავტონომია არ გააჩნიათ და არანაირ კრიტერიუმებს ისინი არ თხოულობენ უმაღლესში ჩასარიცხად, ამას რა ჰქვია?

დღემდე ვერ გავიგე, რა საჭიროა იმ ერთი ზოგადი უნარების გამოცდა, რომელიც დღემდე ამ ხელისუფლებისა და განათლების სამინისტროს მთავარი პრიორიტეტია. ამდენი წელია ამ საგანში ეს გამოცდა ტარდება და მისი აუცილებლობა რითია გამოწვეული — ყველასათვის გაუგებარია.

პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში, ამ დარგს სჭირდება სრულიად შეცვლა, ორგანიზებული მუშაობა, რათა აღდგეს სკოლის ფუნქციაც და უმაღლესი სასწავლებლის როლიც.

**ეთერ კასრელიშვილი**

# `netav, erTi romelime politikosi gagvacilebina operis Teatridan madlobebis TqmiT~...

***ინტერვიუ 1968 წლის ოლიმპიურ, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონთან რომან რურუასთან.***

**— ბატონო რომან, რა არის სპორტი ზოგადად და რა არის ის თქვენთვის?**

— ზოგიერთვის სპორტი და ფიზკულტურა შეიძლება იყოს გასართობი, მაგრამ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ეკუთვნის ხალხს და საზოგადოებას. მისი დამსახურება, და თუ რამეს მიიღწია ეკუთვნის ხალხს და საზოგადოებას, ქვეყანას. სწორედ ეს გახლავთ პატრიოტიზმი. თუ ეს არ ექნება, იგი დიდი სპორტსმენი ვერ იქნება.

**— სამწუხაროდ, ზოგიერთმა სპორტსმენმა გადაუხვია ამ გზას, პირდაპირ ვთქვათ, ხელი აწია თავის საკუთარ ხალხზე, შეურაცხყოფა მიაყენა საკუთარ გულშემატკივრებს. რას იტყვით ამაზე?**

— სამხედრო არმია ქვეყანაში რისთვის არსებობს, არმია საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ არსად არ მიდის. ღირსეული მოქალაქე არ შეიძლება გავიდეს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. არმია ქვეყნებში იმიტომ არსებობს, რომ დაიცვას ქვეყანა მტრებისგან. სპორტსმენიც ასევეა, მას, უბრალოდ, არ აქვს უფლება იყოს მიკერძოებული. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მიკვირს, რომელიც ამბობს: „ვინც არ არის ჩვენი პარტიის წევრი...“ რა გამოდის, თუ არ ვარ იმ პარტიის წევრი, პრეზიდენტი და მთავრობა არა მყავს? გამოდის, რომ პრეზიდენტს და მთავრობის წევრებს თავიანთი პარტიის წევრები ჰყავთ ქვეყანაში? დღეს არის ვინმე ოპოზიციიდან ქვეყნის მმართველობაში? არა, რადგან ყველა ერთი პარტიიდან არიან. ნუთუ ყველა ჭკვიანი და საქმის გამკეთებელი ადამიანი მხოლოდ ერთ პარტიაშია? სხვები სად არიან? არ ჰყავთ პრეზიდენტი და მთავრობა? არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში? ან არ უყვართ თავიანთი ქვეყანა? ადამიანი პოლიტიკოსი მაშინ ხარ, როდესაც დროზე მოხვალ და დროზე წახვალ. თუ ზომიერების გრძნობა არ გაქვს, მაშინ დიდ შეცდომებს დაუშვებ, რომელიც შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს.

ამის შეგრძნება უნდა ჰქონდეს ადამიანს. როდესაც მოვა დრო და ველარაფერს აკეთებ, დროზე უნდა გაეცალო და წახვიდე. ხედავთ, როგორ ჰგავს ერთმანეთს სპორტი და პოლიტიკა. მოდით ერთხელ მაინც გავაცილოთ რომელიმე პოლიტიკოსი ოპერის თეატრიდან, დარბაზიდან მადლობით. ერთი ვინმე მაინც გავაცილოთ ასე ღირსეულად, თორემ ზოგი გააგდეს, ზოგი — მოკლეს... ცუდია, როდესაც ისტორიის გაკვეთილებით ჭკუას ვერ ვსწავლობთ. დღეს რაც აკლია ჩვენს საზოგადოებას, სწორედ ინტელექტია. დღეს ბევრს საუბრობენ დემოკრატიაზე, მაგრამ რა არის ჭეშმარიტი დემოკრატია, ჯერაც ვერ გაგვიგია.

ყველაფერი დამოკიდებულია თავად იმ ადამიანის ნიჭზე და უნარზე. მას შეუძლია გაიგოს დღევანდელი მდგომარეობა გაიგოს კარგიც, ცუდიც, ან როგორ



იცხოვროს იმ ადამიანმა ამას საკმაო ჭკუა-გონება, უნდა. ოჯახს თუ კარგად მართავს ადამიანი, მას ბევრის გაკეთება შეუძლია. კაი ბიჭის და გოგოს სახელით არ უნდა ინიშნებოდნენ თანამდებობებზე ხალხი. ჩვენ გვჭირდება სპეციალისტები.

**— თქვენ დიდი სკოლა გაიარეთ როგორც სპორტში, ასევე ცხოვრებაში. თქვენი უკმაყოფილო არავინ ყოფილა. როგორ ახერხებდით ამას?**

— საბჭოთა ნაკრებში მოულოდნელად მოვხვდი, პირველთანრიგოსანი ვიყავი, ასეთი რამ იშვიათობა იყო. მომდევნო წელს კი კაპიტნადაც ამირჩიეს. ფარულ არჩევნებში 40 ხმა დავაგროვე, მეტოქეებმა 29-29, სხვათა შორის, ესენი იყვნენ ტიტულოვანი მოჭიდავეები — საპუნოვი და იგუმინოვი. წლების შემდეგ იგუმინოვმა თქვა: „რურუა ჩვენი გუნდის სინდისი და პატიოსნება იყო“-ო. ექვსნი ვიყავით ნაკრების წევრები ჩემს წონით კატეგორიაში, მაგრამ როგორც კაპიტანი, ყველასთან სამართლიანი ვიყავი, ამით დავიმსახურე პატივისცემა.

**— ახლა თუ ვარჯიშობთ?**

— არა, ვარჯიშებმა დამღალა. ფიზიკურად ვშრომობ. არანაირ შრომას არ ვთაკილობ. ნებისმიერ ჩემი ასაკის კაცს დღესაც დავამარცხებ.

**გია ბურდული**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `nebayof l obiTi~ warwymeda

## ვის მხარესაა ეკლესია — ხალხისკენ თუ ხელისუფლებისკენ?

ამ წერილს რომ საპატრიარქოს წარმომადგენლები წაიკითხავენ, ვვარაუდობ, ან ცხვირს აიბზუებენ, ან უფრო რადიკალურნი კიდევ ერთხელ მომაყრიან ქოქოლას, ისე, როგორც შარშან, ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკურ კანონზე საპატრიარქოს ხელის მოწერისას მოიქცნენ ჩემი წერილების სერიის შემდეგ, სადაც საპატრიარქოში გამეფებულ უსამართლობებზე ვწერდი და თვით მეუფე ილარიონ სამხარაძის ამჟამინდელი მდგომარეობაც დავუხატე ყველას. რამდენიმე დღეში კვლავ ვაპირებ მეუფის მონახულებას და მინდა იცოდეთ, მიუხედავად ჩემს მიერ მეუფის მდგომარეობის თვალნათლივ აღწერისა, საპატრიარქოს არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა განდეგილ მეუფესთან და ერთი ხელი ტანისამოსიც არავის მიუტანია ღვთის ანაბარად მიტოვებული 70 წელს გადაცილებული მოხუცისთვის.

სამაგიეროდ, საპატრიარქოში მოკალათებული უმაღლესი სამღვდელო პირები ჯიპებში არიან ჩასკუპებულნი და სააქაო ცხოვრებაში ცდილობენ სასუფეველი დაიმკვიდრონ, რადგან, ვეჭვობ, საიქიო ცხოვრების სწამდეთ...

მაგრამ ეს სხვა თემაა. გეთანხმებით. პირადული, დელიკატური, უფრო ფრთხილად სალაპარაკო. კი, ბატონო, გავჩუმდები, სხვის რწმენა-ურწმუნოებაზე არ ვილაპარაკებ, მაგრამ, როცა ურწმუნოების ეშმაკეული სუფევა მძვინვარებს, ხოცავენ ადამიანებს, შეურაცხყოფენ, ციხეებში ადამიანების სისხლით და ხორცით ძღებიან, მათი წამებით ტკბებიან, დაჩეხილი ცხედრები გამოაქვთ საპატიმროებიდან, როცა ქვეყანაში კუდიანების ალლუმი იმართება — გეი და ლესბი ჯგუფები კარებს უმტვრევენ ახალგაზრდების ცნობიერებას, სკოლებში რომ ბავშვების ტვინების აღრევა ხდება, ხოლო ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტი" ეშმაკეულთა თავშესაფრად არის ქცეული, სამღვდელოება კონფორმისტულ, შემრიგებლურ, დიპლომატიურ პოზიციებს რომ იჭერს, ამაზე მაქვს ლაპარაკი. რამდენიმე დღის წინ წმინდა სინოდი შეიკრიბა და განაჩინა — ელექტრონული პასპორტები ნებაყოფლობითი უნდა იყოსო...



„აუცილებელია სიფხიზლე. გვმართებს, ვიყოთ ინფორმირებულნი და სხვებსაც მივაწოდოთ ინფორმაცია. თუკი გავჩუმდებით, მაშინ ელექტრონული მონათმფლობელობა ძალიან მალე იქნება შემოღებული. უნდა ვიყოთ საკუთარი ქვეყნის აქტიური და არა პასიური მოქალაქენი. მოძღვრებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მრევლს, იქადაგონ, გააფრთხილონ თავიანთი სამწყსო მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. ამგვარად შევძლებთ წინ აღვუდგეთ მომავალ ბოროტ ძალას, რომელიც გეგმაზომიერად და ეტაპობრივად ამზადებს ანტიქრისტეს მსოფლიო დიქტატურას".

მთაწმინდელთა ხმა

(ათონის წმინდა მთა. „ეკლესიური სწავლებანი ბოლო ჟამის შესახებ")

დიდი სჯულის კანონი გვამცნობს, რომ სამღვდელო პირი არ



უნდა ჩაეროს პოლიტიკურ ცხოვრებაში, გარდა განსაკუთრებული მდგომარეობისა და სინოდის ამასწინანდელი განცხადებაც — სამღვდელოება პოლიტიკაში არ ჩაერიოსო, როგორც ჩანს, სწორედ ამ კანონიდან გამომდინარეობდა, მაგრამ ახლა საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა თუ არ აქვს, აბა, ამაზე განსაკუთრებული, ნეტავი, როდის ჰქონდა??

2004 წლის თებერვალში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ „საქართველოს მოქალაქის პლასტიკური მოწმობების" შესახებ დაიწყო საუბარი, მოწმობებისა, რომელიც შეიცავს ჩიპსა და შესაბამისად, რიცხვს 666. გაზაფხულზე სიამაყით გვამცნეს, რომ ბიომეტრიული პასპორტების გაცემა უკვე დაიწყო, თან აცხადებდნენ, ამ პასპორტებით ევროკავშირის ქვეყნებში ქართველთა გასვლა უფრო მარტივი გახდებაო. თვით ევროპის სახელმწიფოებმა: საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიამ, უკრაინამ, რუსეთმა, მართლმადიდებელმა საბერძნეთმა უარი თქვეს ID ბარათებზე.

საპატრიარქოს წარმომადგენლებმა და წმინდა სინოდმა, რომლებიც ადამიანისადმი სიყვარულით უნდა იყვნენ სავსე, გაამპარტავნებულნი დადიან და ზოგიერთი თვალ და ყურდაფსებული ბრმად რომ უვარდება კალთაში მათ და გაკერპებული რომ ჰყავთ უმაღლესი სამღვდელო იერარქები, იმას ვერ ხვდებიან, საქართველოში მოსახლეობას, უბრალო მოქალაქეს ხელისუფლება ყელში ხელს რომ უჭერს, გადასახადებით რომ ახრჩობს, ეროვნულობას რომ უბოჭავს, ქართველები უფრო დაჩაგრულნი რომ არიან თავიანთ ქვეყანაში, ვიდრე სომხები, აზერბაიჯანელები, ჩინელები, ზანგები და ზნედაცემული, გარყვნილი იანკები, ახლა ელექტრონული ბარათებით უნდათ ამ ხალხის დაყოფა, დაკაბალება, დახარისხება გასაყიდი ხორცივით და ისედაც ლიმიტირებული თავისუფლების შეზღუდვა. ახლა ჩიპიანი პასპორტით უნდა შემამოწმონ სად ვსუნთქავ მე, დილომში თუ ამერიკული პეპლით შეჭმული ბახმაროს ნაძვის ძირში?! რადგან ID ბარათის მიღებისას იხსნება გრაფა, სადაც აღირიცხება — 80 წელი იცოცხლებ თუ 100, ყოველ დღეს, წუთსა და წამს რა გააკეთე, სად იყავი ტერიტორიულად, ყველაფერი აღინუსხება.

საფრანგეთის პროფკავშირების გენერალური მდივანი კომ ჟაკმენი ამბობს: „ამ პროექტის ამოქმედება საზოგადოებაზე პოლიციური ზედამხედველობის გაძლიერებას გულისხმობს. ელექტრონული პირადობის მოწმობების შემოღების შემდეგ პოლიციას ექნება ადამიანების პირადი მონაცემები".

სააკაშვილი კი აცხადებს, რომ საქართველომ ID ბარათების შემოღებით გაუსწრო ევროპის ქვეყნებს და ისინი ამ საკითხში ჩამოგვრჩნენ (!).

რა გამოდის? სამღვდელოება და ქვეყნის ხელმძღვანელობა, ასე ვთქვათ, ერთ ხმაში მღერიან? ხოლო ის სამღვდელო პირები, ვინც სიმართლეს ამბობენ, იატაკქვეშურ მოღვაწეობას ეწევიან? მაგალითად, მამა ბასილ მკალავიშვილი, ვინც იეღოვური ლიტერატურის გავრცელებაში ამხილა სინოდის წევრები, ციხეში გამოკეტეს, მის მიერ აგებული სალოცავი რომ მერაბიშვილის, ადეიშვილის, ბოკერიას და ბარამიძის ხელმძღვანელობით შელეწეს და იქიდან მამა ბასილი წვერით რომ გამოათრიეს, მაშინ არ ამოუღია ხმა საპატრიარქოს. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის წევრი — სანდრო გირგვლიანი რომ ტყეში გატიტვლებული აწამეს, დაჩეხეს და მკვდარი დატოვეს, ამ მხეცობაზეც სდუმდა ეკლესია. გურამ შარაძეს ქართული საეკლესიო და საერო სიწმინდეების დაცვისთვის რომ ქუჩაში თავი გაუხვრიტეს, არც ამაზე ამოუღია ხმა. რომელი ერთი ჩამოვთვალო?

გასაგებია, დიდი სჯულის კანონი პოლიტიკაში სამღვდელოების ჩართვას კრძალავს...

ადამიანების კვლა პოლიტიკის ნაწილი ყოფილა, ეს მე არ ვიცოდი!..

* * *

მღვდელი ვახტანგ მარგიანის ინტერვიუში, რომელიც მან 1999 წლის 13 აპრილს „ახალ თაობას" მისცა, ვკითხულობთ:

*„ — რაც ვთქვი, იმაზე შემიძლია, იურიდიულად ვაგო პასუხი...*

*„7 იანვარს ილია II-მ დამპატიჟა ბანკეტზე საეკლესიო დღესასწაულის დღეებში. თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბანკეტი ჩატარდა, მაგრამ მათთვის სულ არ იყო შობა მნიშვნელოვანი დღესასწაული. ყველაზე კარგი თამადები იყვნენ ჩემს მიერ ხსენებული დიაკონი ლევან სხილაძე და ამჟამად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელ დათუაშვილი. მაშინ ის არქიმანდრიტი იყო. ილია II-ს ყველა ულოცავდა გამარჯვებას, ვინაიდან... ვაგებ პასუხს, მარტო ხომ არ ვიჯექი იმ სუფრასთან, თუ სინდისი შეაწუხებს ვინმეს — ულოცავდნენ ილია II-ს, ვინაიდან ილია II-ის ლოცვით იყო, რომ...*

*— ლოცვით რომ იყო, რა?*

*— რომ განიდევნა გამსახურდია საქართველოდან და რას არ უწოდებდა თვითონ სამღვდელოება. ვინც იქ ისხდნენ. აი, კონსტანტინე მელიქიძე, მაგალითად. ერთი სიტყვით, ილია II-ს გამარჯვებას ულოცავდნენ, ულოცავდნენ გამსახურდიას დამხობას, გინდა თუ არა გაოგნებული ვიყავი, გაოგნებული, რადგან არ მოველოდი, რომ მე კათალიკოსის სა-*

„...1977 წელს 25 დეკემბერს ანდერძის საფუძველზე ილია II პატრიარქად აკურთხეს. ამის შემდეგ ეკლესიაში დაპირისპირება დაიწყო. მეუფე ილარიონი (სამხარაძე) სიმართლის დადგენას მოითხოვდა, ხოლო მიტროპოლიტი გაიოზი პატრიარქობისთვის იბრძოდა, რადგან ის იყო ქორეპისკოპოსი, ე.ი. პირველი პირი პატრიარქის

შემდეგ ჯერ კიდევ ეფრემ II-ის დროს. დავით V-ის გარდაცვალების მერე კერატიშვილი ხატების ქურდობის ბრალდებით ციხეში გაუშვეს, ხოლო ილარიონ სამხარაძე გაურკვეველ ვითარებაში მოწამლეს..."

საერთო გაზეთი, №37, 2011 წ.



მეუფე ილარიონი

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



**ამბროსი ხელაია:** „...ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს მას ფიზიკური გადაშენების და სულიერად გაველურებისა და გახრწნის კარამდე! ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწა-ტყეს, რომელსაც უცხოეთიდან შემოხიზნულთ ურიგებენ: მათი წყალობით ისედაც გალატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით ისევ უცხოეთში მიეზიდებიან. ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ მამა-პაპურ ეროვნულ კულტურას...”

*1922 წელი, 7თებერვალი*

*ხით ამ პიროვნებას დავინახავდი — აღვსილს ზიზღით.*

*რა თქმა უნდა, ერთმანეთს ეცილებოდნენ მისალოცი სადღეგრძელოების თქმაში არქიმანდრიტი დანიელი და დიაკონი ლევან სხილაძე, რომლებიც ულოცავდნენ გამარჯვებას ილია II-ს.*

*— მამაო, შეიძლებოდა თუ არა გამოსულიყო სინოდი და დამდგარიყო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგარ ქართველთა შორის*



*და სისხლისღვრა შეწყვეტილიყო?*

*— ვალდებულები იყვნენ. არ გამომივიდეს გამსახურდიას დაცვად, მაგრამ ნუ გავაკეთებთ ისე, რომ ყველაფერში რაღაც გვიშლის ხელს. ვიღაცას გამსახურდიას მეგრელობა უშლიდა ხელს.*

*ერთმანეთს პირნათლად შევხედოთ თვალებში. მე რანაირ პასუხისგებაშიც არ უნდა ჩავვარდე, თუ კაცი მქვია, არ მაქვს უფლება გამსახურდიას არ ვუწოდო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, მორწმუნე. იმიტომ, რომ, რასაც გამსახურდია ებრძოდა, იქნებოდა ეს არალეგალურად თუ ლეგალურად და, საერთოდ, ყველა ის პრეტენზია, ყველა ის ბრალდება, რასაც იგი მარქსისტულ საზოგადოებას უყენებდა, ამ ყველაფრის გაკეთება ეკლესიის პრეროგატივა იყო. ეკლესიას უნდა დაესვა ეს ბრალდება ამ ურწმუნო საზოგადოებისათვის. შეუიარაღებელი თვალითაც რომ გადავხედოთ, ამას ყველა მიხვდება; მოხდა კი პირიქით. ავიღოთ 70-იანი წლები და ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტობის პერიოდი. გამსახურდიას პრეტენზიების მოგერიების ერთ-ერთი საშუალება, სახელდობრ, ეკლესია იყო. მე დავეხმარები მათ და არქივში მოვძებნოთ მაშინდელი გაზეთი „კომუნისტი“. დააპატიმრეს თუ არა გამსახურდია და კოსტავა, გაზეთი სავსე იყო გამსახურდიასადმი ეკლესიის მხრიდან ცრუ მონაჭორითა და ცრუ ბრალდებებით. ეკლესია აჭარბებდა ცენტრალურ კომიტეტს, მინისტრთა საბჭოს, პრეზიდიუმს, პროკურატურას, საშინელ სუკს და ძირითადი ბრალმდებელი თვითონ იყო. თვითონ ეკლესია გამსახურდიას უწოდებდა ერთა შორის შუღლის ჩამომგდებს და ა.შ.*

*— ვინ იყვნენ ესენი?*

*— ახლავე გეტყვით: მიტროპოლიტი მაჟუგა, ნეველის ეკლესიის წინამძღვარი, მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი — ქორეპისკოპოსი, წილკნელი ეპისკოპოსი, სემინარიის რექტორი. თანამდებობები ღმერთმა მოგცეს!*

*— ვინ არის მესამე?*

*— ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლ ცერცვაძე და ა.შ. ხომ ხედავთ, რა ხდება? ნაცვლად იმისა, რომ ეკლესიას დაეჭირა მხარი ამ პიროვნებისათვის და, საერთოდ, მისი იდეებისთვის, პირიქით მოხდა. ეკლესია გახდა გამსახურდიას იდეების მოგერიების ერთ-ერთი საშუალება. რაც შეეხება იმ ცნობილ, ტრაგიკულ მოვლენებს. ეკლესია ვალდებული იყო ჩარეულიყო.*

*მარხვაო.*

*მარხვაში მარტო ის ხომ არ შედის, რომ კარაქი და რძე არ შევჭამოთ, მოვერიდოთ ავსიტყვაობას, შფოთს და ა.შ. ვალდებულნი იყვნენ მისულიყვნენ და უკანასკნელი ძალ-ღონე ეხმარათ, რათა სისხლისღვრა არ მომხდარიყო, მაგრამ პირადად ილია II-მ ხომ არჩია დუმილი? ამ დუმილში რა იმალება, თქვენ ამას უნდა მიხვდეთ.*

*— მამა ზაქარიამ თქვა, ის ავად იყოო?*

*— ტყუილია. რა შუაშია ავადმყოფობა. თუ ავად იყო, ქორეპისკოპოსიც ავად იყო? მთელი სამღვდელოება ავად იყო? ერთ-ერთი მაინც უნდა გაეგზავნა ვინმე. ანდა, რა შუაშია, მე ხომ არ ვამბობ, გინდა თუ არა, გასულიყო ილია II და იქ თოფით ხელში დამდგარიყო-მეთქი? იქ სინოდი ან მღვდელი მაინც გაეშვა?“ („ახალი თაობა“, 1999 წ.).*

არ ვიცი, თქვენ აქედან სამღვდელოების პოზიციები გეცნოთ თუ არა, მაგრამ პირადად მე, ეკლესიის დიპლომატიური ხელწერა ძალიან მენიშნა. ზუსტად იგივე ხდება ახლა, რაც ხდებოდა 10 და ცოტა მეტი წლის წინათ.

რაც შეეხება გამსახურდიას, მასზე დღესაც, მისი ოპონენტებიც კი ვერ იტყვიან იმას, რომ მორწმუნე არ იყო და ეროვნულ სახელმწიფოს არ აშენებდა. თუმცა არ დასცალდა, მაგრამ ქვეყნის და ღვთის სიყვარულით რომ იღვწოდა მთელი ცხოვრება, ზვიადის მოსისხლე მტრებიც დამეთანხმებიან ამაში. მაშ, რატომ აირჩია სამღვდელოებამ ბოლშევიკური გზა და რატომ დაუჭირა მხარი ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს? რატომ განუდგა ზვიად გამსახურდიას, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ბალავარის ჩამყრელს?

1993 წლის 14 სექტემბერს დიდ მიტინგზე ილია II ედუარდ შევარდნაძეს მიმართავს: „მთელი საქართველო ღელავს. ამიტომ უფლება მაქვს, როგორც საქართველოს სულიერ მამას და პირადად თქვენს სულიერ მამას (მიმართავს შევარდნაძეს — ი.კ.) მოგცეთ ლოცვა-კურთხევა, რომ მთელ საქართველოს განუცხადოთ, რომ თქვენ ბრძანდებით საქართველოს მეთაური“. რაზეც ედუარდ შევარდნაძე შეკრებილ ათასობით (!) მომიტინგეს ნიშნისმოგებით გადასძახებს მთავრობის სახლის ფანჯრიდან: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“.

მაშინ სამღვდელოება მხარს შევარდნაძეს რომ უჭერდა, ახლა მეუფე კალისტრატე გულში რომ იხუტებს სააკაშვილს და შვილად რომ ჰყავს აღიარებული, საპატრიარქოს საიდუმლო ვიზიტებით ხან უგულავა რომ სტუმრობს, ხან სოსო თოფურიძე და ხან სხვა თანამდებობის პირები, სააკაშვილს რომ ამოიყენებენ ხოლმე გვერდში ივანიშვილის აშენებულ სამების საკათედრო ტაძარში და ისე რომ ატარებენ წირვა-ლოცვას, ზვიად გამსახურდია ქრისტიანობის მტერი იყო და მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე ქრისტესმოყვარენი არიან? დაკარგულ „ცხვარს“ პატრონობენ? ამასობაში რამდენი „ცხვარი“ დაეკარგა საქართველოს ეკლესიას, დათვალა ვინმემ?..



**ირანდა კალანდაძე**

# miSa yovelgvar istoriuls daerovnuls gvispobs

მე-19 მე-20 საუკუნის მოღვაწე და დიდი მამულიშვილი ნიკო ნიკოლაძე წერდა: „დესპოტიას სძულს წარსული. წინაპართა ნაშრომ-ნაღვაწი. ყველა დიქტატორი ისტორიას თავიდან იწყებს. მას მიაჩნია, რომ ყველაფერი მისგან იწყება. რაც მანამდის იყო, ყველაფერი უარყოფითი და დასაგმობია...” ყველა მკითხველი დაუფიქრებლად მიხვდება, რომ ეს ფენომენი უჯიშო — მიშა სააკაშვილია. ჩემი წერილის ეს პრეამბულა ლიტონი სიტყვები რომ არაა და ეს სრული ჭეშმარიტებაა, თქვენ დარწმუნდებით აქ მოყვანილი საკითხებით:

როგორ აუმოძრავდა ქართველ კაცს ხელები, და როგორ შეასრულა მიშა სააკაშვილის ისეთი ვერაგული ბრძანება, როგორიც იყო ქუთაისში შინმოუსვლელთა ძეგლის აფეთქება, დანგრევა და ამოძირკვა. ასეთ ვერაგულ ქმედებებს ხომ საქართველოს დაუძინებელი მტერი, აღა-მაჰმად-ხანი აკეთებდა! მაშინ რაღა სხვაობაა მიშა სააკაშვილსა და აღა-მაჰმად-ხანს შორის?!

ის ძეგლი ხომ სიმბოლო იყო ჩვენი, იმ 300 000 მებრძოლისა, რომლებიც გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე დიდი სამამულო ომის დროს, რისთვისაც ჩვენმა მადლიერმა ხალხმა მათდამი დიდი პატივისცემის გამოსახატავად, ის ძეგლი დაუდგა მათ.

ჩვენმა მადლიანმა ხალხმა 300 000 შინმოუსვლელ-გმირულად დაღუპულ ჯარისკაცებს, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად ძეგლი რომ დაუდგა და 60 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი რუდუნებით რომ ელოლიავებოდა, უვლიდა და ინახავდა, უჯიშო სააკაშვილმა ხუთი მილიონი მოსახლეობა ფეხებზე დაიკიდა და ვერაგული გადაწყვეტილებით ძეგლი ააფეთქებინა და სრულიად უდანაშაულო დედა-შვილი — ჯინჭარაძეების სიცოცხლეც ზედ მიაყოლა. ჩვენ რომ ხალხი ვიყოთ, ერთი უჯიშო სააკაშვილი ამდენს ვერ გაგვიბედავდა. ალბათ, მეტის ღირსები ვართ, მისგან ასე აბუჩად აგდებას ყეყეჩებივით რომ შევყურებთ და მის ყოველ ბოროტ საქციელს რომ ვყლაპავთ. მის ამ ვერაგულ საქციელს ჩვენს მეტი არც ერთი ერი არ მოითმენდა.

ჩემთვის გაუგებარი და გამაოგნებელია აგრეთვე ის, რომ მიშას გარემოცვაში ერთი ჭკვიანი მოხელე მაინც რომ არ აღმოჩნდა, რომელიც ეტყოდა მას: ძეგლის დანგრევა არა მარტო ბოროტებაა, არამედ უდიდესი დანაშაულიც, იმ 300 000 შინმოუსვლელი თანამემამულის წინაშე, რომლებიც გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე. მოვა დრო, ჩვენს საქციელს მთელი ერი დაჰგმობს, დასწყევლის და ჩვენს გვარებს ყველაზე სამარცხვინო ბოძზე გააკრავენო. მის გარემოცვაში რაკი ასეთი მრჩეველი არ აღმოჩნდა, მაშინ ვაი, ჩვენს ხალხს! ასეთ ხელისუფლებას თუ სიმხდალის გამო ვერ გაუბედა შეწინააღმდეგება, მიშას ეწყინება და მომიცილებსო, მაშინ კიდევ უარესი ვაი და ვუი ჩვენ, ასეთი ლაჩარი სახელმწიფო მოხელეების ხელში, სადაც ერთი ვაჟკაცი არ მოიძებნა.

მიშამ ძეგლის აფეთქებას დედა-შვილ ჯინჭარაძეების სიცოცხლეც რომ შესწირა. მას რომ კაცობა ჰქონოდა, მისი ბრძანებით, მათი ტრაგიკულად დაღუპვის გამო ტყვია უნდა ეკრა შუბლში, მაგრამ სადა აქვს მიშას იმდენი ზნეობა და კაცობა, მათ წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაული ასე ვაჟკაცურად გამოესყიდა! როგორც ეს გააკეთა — ჯუმბერ პატიაშვილმა, როდესაც ვერაგი შევარდნაძის მიერ მოსკოვიდან გაცემული განკარგულებით შემოსულმა რუსმა სალდათებმა ჩვენი ხალხი რომ დახოცეს. პატიაშვილმა მაშინვე დაწერა განცხადება და გადადგა, რადგან მან ვერ დაიცვა თავისი ხალხი, რომელთა დაცვა მას ევალებოდა, იმ უდანაშაულო დედა-შვილის ტრაგიკულად დაღუპვა მიშას ბოროტმა სულმა უნდა ზღოს.

ჩვენს პარლამენტარებს ზნეობა და კაცობა თუ გააჩნიათ, უჯიშო სააკაშვილის მიერ დედა — შვილ ჯინჭარაძეების სისხლდათხეულ, ცოდვიან პარლამენტში არც უნდა შევიდნენ, არ უნდა შევიდნენ აგრეთვე იმიტომ, რომ მან ეს პარლამენტი ააშენა იმ 300 000 შინმოუსვლელთა ძეგლის ადგილზე, რომლებიც გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე დიდი სამამულო ომის დროს.

მიშა, სტალინის ძეგლს, ჩვენი მადლიანი ხალხი ისევ კი დადგამს თავის ადგილზე, მაგრამ შენი სახსენებელი კი აღიგვება მიწისაგან პირისა მთელ საქართველოში, რადგან ძალიან ბევრ ბოროტებას სთესავ. ალბათ შენიანებში ბევრს ბაქიბუქობ: — ხომ ხედავთ, რა ძლიერი ვარ! იმ ვეშაპი სსრკ-ს თავკაცმა — ნიკიტამ სტალინს, ვერაფერი მოუხერხა, მე კი ის გენერალისიმუსი, სანაგვეზე მოვისროლეო. შენი ტიტულის კაცმა უნდა იცოდეს: მკვდარი კაცის მორევა, ეს არაკაცობაა.

მიშა, მიტინგების დარბევისას მშვიდობიანი ხალხის დახოცვასაც კი შეიძლება გამართლება მოუძებნო და თქვა: — მე ხალხის დახოცვა არ მიბრძანებიაო, მაგრამ ამ უდიდეს ბოროტებას ვერაფერს ვერ მოუხერხებ, რადგან სტალინის ძეგლის გადაგდება, შენი უშუალო ბრძანებით შესრულდა, ამიტომ შენ ხარ ძალიან ბოროტი, რასაც ჩვენი ხალხი არასოდეს არ გაპატიებს!

ვინ მისცა მიშა სააკაშვილს იმის უფლება, პრესის გამსაღებელი ჯიხურები აელო და ის გაჭირვებული ხალხი, რომელიც იმ ჯიხურების საშუალებით ირჩენდა თავს, ულუკმაპუროდ დაეტოვებინა და პრესის მუშაკებისათვის შეეკვეცა ის ციცქნა ხელფასები, რასაც ისინი დიდი შრომით იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მთელი ჟურნალისტური საზოგადოება ჯიხურების აღების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მიშამ ყველა მათგანი ფეხებზე დაიკიდა და თავისი ბოროტი განზრახვა მაინც შეასრულა. გაჭირვებული ხალხის ჯიხურების ადგილებზე თავიანთი 20 ათასებად გაყიდული ჯიხურები ჩაამწკრივეს. ალბათ, ეს 20-ათასიანი ჯიხურები, მათ ჩადგეს, ვინც თავის დროზე ხალხის მიერ შექმნილი სახალხო ქონება, გათახსირებულმა და ვერაგმა შევარდნაძემ ამ ქონების შემქმნელებს კუთვნილებისამებრ კი არ მისცა, არამედ წაართვა და ყოვლად უკანონოდ თავის ახლობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს დაურიგა. ასევე ელმავალმშენებელი ქარხნის იქ მომუშავე 2594 აქციონერს, რომელთაც ეს 300 მილიონად ღირებული ქარხანა, ეკუთვნოდა, წაართვა და თავისი ვერაგული - №594 განკარგულებით, აჩუქა ვინმე ზურაბ ცინცაძეს. გათახსირებულმა შევარდნაძემ ამ ვერაგული განკარგულებით, ის გაამილიონერა და 2594 ქარხნის აშშენებელი აქციონერი კი ფეხებზე დაიკიდა და მათხოვრად აქცია.

ვინ მისცა მიშა სააკაშვილს იმის უფლება, საქართველოს მთელი ინტელიგენციის მოთხოვნისათვის ანგარიში არ გაეწია და ქართველი ხალხის უსაყვარლესი რეჟისორი — რობიკო სტურუა, თავისი კაპრიზების გამო თეატრიდან გაენთავისუფლებინა?!

ვფიქრობ, მკითხველი ძველ მენტალობაში არ ჩამომართმევს, თუ ვიტყვი: სააკაშვილის მიერ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნალანძღი კომუნისტები უფრო ჰუმანურები და დემოკრატები იყვნენ, ვიდრე სააკაშვილი თავისი ნაცებით.

ვინ მისცა მიშა სააკაშვილს იმის უფლება, საზოგადოების ნების გარეშე ქალაქისთვის ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ტრანსპორტი — ტრამვაი და ტროლეიბუსი, რომლებიც ჩემმა და ჩემზე უფროსმა თაობებმა დიდი გარჯით, შრომით და ოფლით ნაშოვნი ფულით შექმნეს მიშას უვარგის ტრანსპორტად ჩაეთვალა და ერთი ხელის მოსმით, ათასობით ტონა ეს ტრანსპორტი, ასობით ტონა სპილენძის საკონტაქტო ხაზები, ელექტრული წევის ქვესადგურები, ათიათასობით ტონა ლიანდაგები, საკონტაქტო ანძები, ზოგიერთების ასიათასობით ფულის გასაკეთებლად დაეჭრა და ჯართში ჩაებარებინა?

ვინ მისცა უჯიშო სააკაშვილს იმის უფლება, საქართველოში დაბადებულ და გაზრდილ ქართველ, კაცს, საქართველოს მოქალაქეობას ართმევდეს, მერე იძულებულს ხდიდეს, თხოვნით მიმართავდეს რომ ჩემს მიწა-წყალზე, საქართველოს მოქალაქეობა აღმიდგინეო და ამაზეც უარს ეუბნებოდეს, ისეთ ქველმოქმედ, მეცენატ და ალტრუისტ ერის კაცს, როგორიც ბიძინა ივანიშვილია კაცმა, რომელმაც საქართველოს აღორძინებას და ქართველი ხალხის ფიზიკურ გადარჩენას, სრულიად უანგაროდ, მილიარდ ორასი მილიონი რომ დაახარჯა. შეიძლებოდა ასეთი უდიდესი მამულიშვილისთვის მიშას თავისი „კრესლოს” შესანარჩუნებლად და თავისი მზაკვრული ამბიციების დასაკმაყოფილებლად მისთვის მოქალაქეობა რომ წაერთმია?! ეს ხომ უდიდესი ცინიზმი, აბუჩად აგდება და მთელი ერის ფეხით გათელვაა?! მას რომ მოსახლეობის 70%-მა სთხოვა, რომ ივანიშვილისათვის მოქალაქეობა აღედგინა, მაგრამ ამდენი ხალხის თხოვნაც, ფეხებზე დაიკიდა და ივანიშვილს მოქალაქეობა არ აღუდგინა. მისი ასეთი თავხედური დამოკიდებულება ჩვენი ხალხისადმი და მისი ღვარძლიანობა, მის სომხურ წარმოშობაში ვეძებო.

ვინ მისცა სააკაშვილს იმის უფლება, რომ ხალხი თავისი ნება-სურვილების მიხედვით აცხოვროს? მან, კონსტიტუციაში ცვლილებები ისე შეიტანა, რომ ხალხი ფეხებზე დაიკიდებენ. წესით, თავისი აზრები ჯერ პრესაში უნდა გამოექვეყნებინა პროექტის სახით და მერე ხალხს ჯერ, შენიშვნები უნდა შეეტანა, ვინაიდან ამ კანონებით უნდა ვიცხოვროთ, მის შექმნაში ჩვენც უნდა მიგვეღო მონაწილეობა, როგორც ეს ხდებოდა მიშასგან ნალანძღი კომუნისტების დროს.

ვინ მისცა მიშა სააკაშვილს იმის უფლება, რომ ის, პერმანენტულად გვისპობდეს განათლებასა და მეცნიერების სისტემას საქართველოში?!

და ბოლოს: მიშას უსაქმური პარლამენტარები, ისე მიეჩვივნენ პარლამენტში კვირაში ერთხელ გასეირნებას სავარძლებში, საჯდომების ცვეთას და — მხოლოდ „კნოპკაზე” ხელის დაჭერაში 5 და 10 ათასების მიღებას, რომ ახლა მათ იქიდან ავტომატის მიშვერითაც ვეღარ გამოჰყრი.

გაიღვიძეთ ხალხო, გონს მოდით და მათ უმსგავსობაზე ხმა ამოიღეთ!!! რამ დაგაბეჩავათ და რატომ უყურებთ მათ ავკაცობას ასე გაშტერებულები?!

**ავთანდილ ქურხული —**

ინჟინერი

ვახტანგ ხარჩილავა



# ცოცხალთა და მიცვალებულთათვის ანუ ვიხსნათ ევროკავშირი!

***ლექსი ეძღვნება ფილმის „გადაეცი ჩემს მეგობარს, რომ ცოცხალი ვარ“ ჩვენება-განხილვის მონაწილეებს და ფილმის რეჟისორს.*** (საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი რეჟისორის **ნინო კირთაძის** დოკუმენტური ფილმი: „გადაეცი ჩემს მეგობარს, რომ ცოცხალი ვარ“, მოგვითხრობს მიცვალებულის გასვენებისა და დაკრძალვის ქართულ ადათ-წესებზე. ფილმი გადაღებულია სამეგრელოს რეგიონში).

— ისინი გამოდიან ჭაობიდან და ნისლიდან,
რომ სხეული შეიძინონ,
მერე კი ისევე უკან ბრუნდებიან —
ამბობდა სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია,
რომელიც სინამდვილეში პოეტი იყო,
მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა,
„ისინი გამოდიან ჭაობიდან და ნისლიდან“ —
მეგრელებზე ამბობდა ჯგერენაია,
თავადაც მეგრელი,
რომელიც ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან
ასაცილებლად,
ხშირ-ხშირად ხაზს უსვამდა,
რომ მეგრელი კი არის,
მაგრამ, რა თქმა უნდა, ქართველია.
ეს დაახლოებით ისე ჟღერდა,
როგორც ზურაბ ჟვანიას სიტყვები:
— მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი!
— მე ვარ მეგრელი, მაშასადამე, მე ვარ ქართველი!
— ბრძანებდა
ჯგერენაია,
რომლის გვარიც შეიძლება სიტყვა ჯგირს
უკავშირდებოდეს,
შეიძლება ჯგრაგს...
ასეა თუ ისეა,
მეორე მეგრელის, გიორგი გვახარიას მიერ
გადაცემა „ფსიქო“-ში
მიწვეული ჯგირი კოჩი ჯგერენაია
მიცვალებულების გასვენების და დაკრძალვის
იმ რიტუალებზე საუბრობდა,
რომლებიც, მავანთა და მავანთა აზრით,
ეპოქის კონტექსტიდანაა ამოვარდნილი
და ცივილიზებული ერის პრესტიჟს
არ შეესაბამება.
— მიგვიღებენ კი ჩვენ, ასეთებს, ევროკავშირში? —
იკითხა გოგი გვახარიამ.
(ჯგერენაია თუ მეგრელიც არის
და იმავე დროს არის ქართველი,
გვახარია მხოლოდ ქართველია,
რომელიც ისე ლაპარაკობს სამეგრელოზე,
როგორც ათასობით კილომეტრით
დაშორებულ ისტორიულ სამშობლოზე,
რომელთანაც არაფერი აკავშირებს, გარდა გვარისა)
ჰოდა, ამ გვახარიამ იკითხა:
— მიგვიღებენ კი ჩვენ, ასეთებს, ევროკავშირში?
ფილმის რეჟისორმა დაგვაიმედა,
რომ მიგვიღებენ,
რადგან ევროპელებს არაფერი აქვთ
საწინააღმდეგო
ჩვენი მიცვალებული
თუნდაც ერთი კვირა გვესვენოს სახლში.
არც იმის წინააღმდეგნი არიან
ისინი
მიცვალებულს პირსახოცი, საპონი,
პირსაპარსი,
ჯაგრისები (კბილის, ტანსაცმლის)
სუნამოები და სხვა პირადი მოხმარების
საგნები ჩავატანოთ კუბოში.
ევროპელებს არც ის აშფოთებთ,
მიცვალებულის კუბოსთან
ქალები რომ ხმამაღლა მოსთქვამენ,
კივიან,
ლოყებს იხოკენ,
მამაკაცები კი შუბლში იშენენ ხელებს.
ევროპელები მშვიდად უყურებენ თურმე
მიცვალებულისთვის საიქიოში
მყოფი ახლობლების სახელზე
წერილების გატანების თუ
ზეპირი ინფორმაციების
დაბარების ტრადიციასაც,
ევროპელები არც იმას აპროტესტებენ,
რომ ჩვეულებრივი გლეხის,
ვინმე ბონდოს თუ ძაბულის გასვენებაზე,
იმდენი ხალხი იკრიბება,
გეგონება, ცნობილი მსახიობი
ან პოლიტიკოსი გარდაიცვალაო.
ევროპელების შეშფოთებას მხოლოდ
ერთადერთი საკითხი იწვევს:
— ეს არის დროის პრობლემა!
— საიდან და რატომ გვაქვს ჩვენ
იმდენი დრო,
რომ მიცვალებულის სასთუმალთან
შვიდი (ხანდახან მეტი...)
დღე-ღამე ვათენოთ? გაფლანგული დრო...
უაზროდ გახარჯული დრო...
როცა ყანა გაქვს გასათოხნი, ჩაი მოსაკრეფი,
შენ კი მიცვალებულს დასტრიალებ თავზე
შვიდი დღე-ღამე,
მიცვალებულს, რომელსაც ვერც მოთქმით და
ლოყების ხოკვით
გააცოცხლებ,
ვერც შუბლზე ხელების წაშენით.

* * *

„ჩქიმი სქვამი ოდაბადე,
სქანდა ბრელი მიღუ ორაგადე“ —
საიდანღაც ჩამესმოდა ეს მელოდია,
რომელიც გადაცემაში
არ ჟღერდა,
მაგრამ ის იგულისხმებოდა
და ნელ-ნელა მისრუტავდა,
როგორც თბილი ნისლი,
ეს ნისლი იყო ახლა ჩემი სხეული,
ხოლო ჭაობი — სამშობლო,
ფეხისგულებზე რომ აგკვრია
და არსად არ გიშვებს.

* * *

„ვაი შური, საყვარელი,
ღურა მუში მამარდე რე,
რინაში ნება ქორდასნი
ქიანაში მუში მაფართა რე.
ვაი, შური საყვარელი...
შური მეგრულად სულს ნიშნავს,
შურისძიებაო რომ ვამბობთ,
სულის ძიებას ვგულისხმობთ,
მშობლიური სახლის გარეთ
გარდაცვლილის
სულის ძიებას,
რომელსაც შინ უნდა დაბრუნება
და გზა ვერ გამოუგნია.

* * *

ის ქარაფიდან გადაიჩეხა...
ნისლის ბრალი იყო ყველაფერი —
იმის ნაცვლად რომ მოეხვია,
პირდაპირ წავიდა და ნისლში შეცურა.
მიჰქროდა ახლა სიკვდილისკენ
და გვერდით დედის კივილი მოსდევდა:
— ხვიჩა, ნანა სქუა...
— ხვიჩა, ნანა სქუა...
ის მიცურავდა ნისლში, სიკვდილისკენ
და კიდევ მამისკენ,
რომლის გადიდებული სურათი,
მთვარეში ჩადგმული,
ენგურს გაღმა, მთის წვერზე იდგა
და თითქოს თავისკენ უხმობდა.
... მეორე დღეს ჯერ მისი სხეული წაასვენეს,
ხოლო შემდეგ მისი სული
წაიყვანეს
სულის მაძიებლებმა —
ძაფი მანქანის საჭეს მიაბეს,
ის ძაფს გამოჰყვა
და კვლავ დაიწყო გზა შინისკენ.

* * *

ევროპისაგან განსხვავებით
სამეგრელოში ფიქრობენ,
რომ მიცვალებულის პატივისცემა
საკუთარი თავის პატივისცემაა.
რადგან შენც მომავალი
მიცვალებული ხარ
და როგორც ახლა მას მოექცევი,
ისე მოგექცევიან შენც,
როცა გარდაიცვლები.
ეს შენი
გასვენებაცაა.
რეპეტიცია შენი მომავალი გასვენებისთვის,
სადაც შენს
როლს სხვა ასრულებს.
შენს ნაცვლად სხვა წევს კუბოში,
მაგრამ მის გვერდით შენც ხარ,
შენც მის გვერდით იგულისხმები.
მიცვალებულისთვის კი არა,
შენთვის იდგმება
ეს დრამატული სპექტაკლი.
ეს შენ გარწმუნებენ,
ხომ ხორცის უბრალო ნაჭერი
კი არ ხარ,
არამედ ხატი ღვთისა,
რომელიც კი არ კვდება,
არამედ გარდაიცვლება
და აქიდან, დროებითი
მიწერის ადგილიდან,
ახლა იქ გადადის,
სამუდამო საცხოვრებელში.
შენთვის, ცოცხლისათვის
მღერიან ამ სიმღერებს.
შენ გარწმუნებენ,
რომ მაშინაც არ მოკვდები,
როცა მოკვდები.
უბრალოდ, სხვაგან მიემგზავრები.
ამიერიდან შენ აქაც ხარ და იქაც,
შენ ხარ მეკავშირე,
ცასა და მიწას შუა,
ზემო და ქვემო დასახლებას შუა,
მარადიული მეკავშირე,
მარადიული ინფორმატორი...

* * *

როგორც ვთქვით,
ევროპელებს უკვირთ
რატომ ვფლანგავთ
ასე უაზროდ დროს,
რატომ ვხარჯავთ
ასე უაზროდ და უმიზნოდ.
მაგრამ ევროპელებისგან განსხვავებით
სამეგრელოში ფიქრობენ,
რომ სიყვარულისთვის
გახარჯული დრო
არ შეიძლება უმიზნო და უაზრო იყოს.
მართალია,
ის არც ევროებში გამოიხატება,
არც დოლარებში,
არც ლარებში,
მაგრამ, სამაგიეროდ,
ისეთ აუწონავ სიმდიდრეს ქმნის,
როგორიც გახლავთ სიყვარული.
ეს ისეთი სიმდიდრეა,
რასაც მეტს გასცემ,
მით უფრო ბევრდება,
რაც მეტს დახარჯავ,
მით უფრო მეტი გიბრუნდება უკან
ესეც ბიზნესია,
სიყვარულის დიდი ბიზნესი,
სადაც ჩადებული
თითოეული წუთი
მარადისობად გიბრუნდება.

* * *

— მიგვიღებენ ჩვენ, ასეთებს,
ევროკავშირში? —
კითხულობდა გვახარია
მოდით, ჩვენ თვითონ მივიღოთ
ეს ევროკავშირი ჩვენთან,
სამეგრელოს რომელიმე
მივარდნილ სოფელში
გავხსნათ სიყვარულის
ბიზნესაკადემია
და შევასწავლოთ
სიყვარულის მარკეტინგი
და მენეჯმენტი
ამათ ჰგონიათ,
დოლარს პლუს დოლარი
უფრო მეტია,
ვიდრე სიყვარულს
პლუს სიყვარული.
მოდით, გავხსნათ სამეგრელოს
რომელიმე სოფელში სიყვარულის
ბიზნესაკადემია და ვიხსნათ
ევროკავშირი!
ვიხსნათ ევროკავშირი!
დავეხმაროთ მას,
ხელახლა აღმოაჩინოს თავისი თავი
და თავისი მომავალი აქ,
სამეგრელოში...

* * *

როდის მიხვდებიან ისინი,
რომ საავადმყოფოს
პალატაში მიტოვებული დედა
მიტოვებული ღმერთია,
რომელიც უმადურმა შვილებმა
მარტოობისთვის გასწირეს.
ხელნაკრავი ღმერთი,
შეურაცხყოფილი ღმერთი,
უნუგეშებელი ღმერთი,
რომელიც კიდევ ერთხელ რწმუნდება
თუ რა საშინელია ადამიანი,
რომელიც ფულის მკეთებელ
რობოტად იქცევა
ისინი დალუპავენ დედამიწას
და თუ ვინმეს შეუძლია
მათი გადარჩენა შეუძლია
ძაბულის, ლებარდედან,
ან თუნდაც მზექალას, ბარისახოდან,
გნებავთ, ნათელას მულახიდან.

2004 წ.

# saakaSvili xalxis ndobas ver daayadaRebs



*აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2012 წლის 20 ივნისს გაცემული საღსრულებო ფურცლების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, ბიძინა ივანიშვილის აქციების 100%-ს სს "ქართუ ჯგუფში", აქციების 100%-ს სს "ქართუ ბანკში", აგრეთვე აქციების 21.7%-ს სს "პროგრეს ბანკში" ყადაღა 26 ივნისს დაადო. თუმცა, როგორც საქართველოში მყოფმა უცხოელი აქციონერების ადვოკატებმა განაცხადეს, ბიძინა ივანიშვილი არ არის "ქართუ ჯგუფის" აქციონერი და "ქართუ ჯგუფის" აქციების გაყიდვა უცხოური ინვესტიციების ექსპროპრიაციად შეფასდება. შეგახსენებთ, რომ "ქართუ ჯგუფს" 16 აქციონერი ჰყავს, აქედან 14 უცხოური კომპანიაა, 2 – ქართული. "ქართუ ჯგუფში" აქციების ფლობას თავად ივანიშვილიც უარყოფს. ვესუბრებით ლაშა ნაცვლიშვილს.*

**— ბატონო ლაშა, როგორ იმოქმედებს მოსახლეობის განწყობაზე ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება?**

— რეაქცია უნდა იყოს მშვიდი, გაწონასწორებული. აქ არის ერთი საფრთხე - ჩვენ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს საკაშვილმა - რომ თითქოს ჩვენ უნდა ვრეაგირებდეთ მის გამოწვევებზე, თითქოს ის



განაპირობებს დღის წესრიგს. ეს ასე არაა. ამის ილუზიის შექმნის შესაძლებლობა მას არ უნდა მივცეთ.

ყველაფერი, რასაც ის აკეთებს - დაყადაღებიდან დაწყებული აუქციონის ჩათვლით, თავისთავად არის რეაგირება იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" იმდენად დაწინაურდა პოლიტიკურ პროცესში, რომ სააკაშვილს კრიმინალური ქმედებებით რეაგირების გარდა, არაფერი დარჩენია. ის რეაგირებს ბიძინა ივანიშვილის აშკარა უპირატესობაზე, უპირატესობის ფლანგი თვისობრივად კი სხვაგან არის. ეს არის სასიკვდილოდ განწირული სხეულის კონვულსიები. ჩვენ გვმართებს მხოლოდ სიმშვიდე, მიზანდასახულობა, პროვოკაციებს არ აყოლა, მოვლენათა ანალიზი არა ემოციის, არამედ ინტელექტის ხარჯზე. ჩვენ ჩვენი დღის წესრიგი გვაქვს - საჯარო და მაჟორიტარებთან შეხვედრები, საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობა. გამარჯვებისათვის "განწირული" ბიძინა ივანიშვილის ინაუგურაციის დღე ახლოვდება, რომლის ჩაშლასაც ცდილობს მარგინალური, დესტრუქციული ოპოზიცია სააკაშვილის სახით. ჩვენ, ქართველ ხალხს, ხელისუფლების წყაროს, უკვე გვყავს ფაქტობრივი ხელისუფალი. შესაბამისად, ხელისუფლებაში მყოფ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას" მეტი თმენის ვალდებულება მართებს ამ მავნებლების პროვოკაციულ ქმედებებზე. ჩვენ თუ იმავე რეგისტრში ვუპასუხეთ, ისინი უფრო მეტს ავნებენ ქვეყანას.

**— ბიძინა ივანიშვილი სამართლებრივ სივრცეს არ გასცდენია, თუმცა ქართული სამართლით, მას დღეისათვის არ აქვს მოქალაქეობა, მისი, ისევე, როგორც კოალიციის წევრი პარტიების ფინანსური წყაროები გადაკეტილია...**

— კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით, იმაში, რომ მას მოქალაქეობა არ აქვს. მოქალაქეობა, რომაული გაგებით, ქვეყნის მსახურებაა, ასე, რომ, ინატროს ასეთი მოქალაქეობა სააკაშვილმა. ფინანსებთან დაკავშირებით საუბარიც უბრალოდ არაადეკვატურია, რადგან ივანიშვილი ელექტორალური ტრილიონერია. გაჯიუტებული სააკაშვილი ხალხის ნდობას ვერ დააყადაღებს, ეს აქტივი ხუთი სხვადასხვა ხელისუფლების შეცვლას ეყოფა. რა მატერიალური რესურსი დასჭირდება, ტექნიკურად რომ გავაფორმოთ ივანიშვილის ხელისუფლება, ამის საშუალებას საქართველოს მოქალაქეები ჩვენ თვითონ მოვძებნით.

**— ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გაგრძელების შესახებ ჯერ შს მინისტრის მოადგილემ, შემდეგ თავად პრეზიდენტმა ისაუბრა. ამ განცხადებას ძალიან მალე მოჰყვა სამთავრობო ცვლილებები. როგორ შეძლებს ხელისუფლება ამ პოლიტიკის განხორციელებას?**

— 1945 წლის მარტ-აპრილში, ჰიტლერის ბუნკერში იგეგმებოდა მოსკოვის აღება. „ნეტარ არიან...", — ვერ ვიტყვი, უფრო - გიჟი თავისუფალია. მათ შეუძლიათ ავნონ ქვეყანას, გაზარდონ ხელისუფლებიდან წასვლის ფასი, — ვგულისხმობ მოქალაქეების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, რა ფასს გადავიხდით, ეს ჩვენს გონიერებაზეა დამოკიდებული.

სამთავრობო კონფიგურაციას - ვინ დაწინაურდა, ვინ დაქვეითდა, შესაძლოა ჟურნალისტებისათვის ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ პოლიტიკური პროცესისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ხომალდი დაღუპვისთვისაა განწირული, პროცესი დასრულებულია. არ არსებობს ძალა, რომელიც ერევა ხალხს. საზოგადოების დაცულობის რეცეპტი - სოლიდარობაა.

**— იმ შემთხვევაში თუ ბიძინა ივანიშვილი იტყვის, რომ არჩევნები გაყალბდება და მოსახლეობას აქციისკენ მოუწოდებს, კვლევის მიხედვით დადებითი პასუხი 27%-მა გასცა, 53-მა უარყოფითი, 19%-მა კი არ იცის", - განაცხადა ლუის ნავარომ. რამდენად მიზანშეწონილია NDI-ს პირველ კვლევაში შეკითხვის ამგვარი ფორმულირება?**

— საზოგადოებრივი აზრის კვლევა და მისი მრავალმხრივი ანალიზი, უკანასკნელ წლებში, ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობად იქცა, როგორც იტყვიან: "Âñå ëÿäè äåëàþ ò ýòî". სოციოლოგია ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოებრივი აზრის კვლევიდან, საზოგადოებრივ აზრზე ზოგჯერ უხეში, რიგ შემთხვევებში კი ფილიგრანული ზემოქმედების იარაღად გადაიქცა. ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ გამრუდებული სარკის პრინციპი ძალაშია და ამის ბევრი მაგალითი არსებობს, თუნდაც იმავე ენდეაი-ს მიერ გამოცხადებული 10%-იანი მხარდაჭერის მქონე, ქართული ოცნების გრანდიოზული აქციები დედაქალაქსა და რეგიონებში.

თუ შედგა საზოგადოებრივი კონსესუსი იმის თაობაზე, რომ არჩევნები გაყალბდა და ამოიწურა ყველა ლეგალური საშუალება ამ გაყალბებული შედეგების კორექტირებისა, მაშინ როგორ მოიქცევა მოქალაქე, რომელსაც არჩევანი მოჰპარეს? შეიძლება, ამ შემთხვევაში ნორდიკული ტემპერამენტის ადამიანმა თქვას, შემდგომ არჩევნებს დაველოდებიო, მაგრამ საქართველოში, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა გამოვა ქუჩაში, რათა დაიცვას საკუთარი არჩევანი და თუ საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობის შეგრძნებები დაემთხვევა პოლიტიკური ლიდერის, ამ შემთხვევაში ივანიშვილის განწყობებს, დარწმუნებული ვარ 27%-ით ეს აღარ შემოიფარგლება. დათა თუთაშხიას პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, ვერავინ გააყალბებს ისე არჩევნებს, რომ ეს მოქალაქეებმა არ იგრძნონ... რაც შეეხება რევოლუციას, ყველგან და ყველა დროს, რევოლუციის ავტორი და შემოქმედი ხელისუფლებაა და არა ოპოზიცია... რევოლუციონერები მუდამ ვერსალში სხედან.

**ნინო ფირცხალავა**

# `faSistur-nacionaluri~ saqarTvelo da branwi `paTologiis muzeumidan~

რამდენიმე დღის წინ, ალბათ, ყველამ მოვისმინეთ, დიდი ხნის მეგობრების მიშა სააკაშვილის და ვანო მერაბიშვილის „კადრს მიღმა“ პრივატული საუბარი, როცა პრეზიდენტად წოდებული ადამიანი პრემიერ-მინისტრს ეუბნება: „ბოლომდე მიაწვნენ, აი, „იმენნა“ ბოლომდე შესცეს დებატებში“-ო! მაგრამ, როდესაც ევროპარლამენტში გამართული დებატების შინაარსი თითოეული მოქალაქისთვის საჯარო გახადა ქართულმა ნაციონალურმა თუ „ნაციონალურად“ კომერციულმა, ე.წ. ოპოზიციურმა არხებმა — ძალიან, ძალიან შევწუხდი და მოგახსენებთ, რატომ: როგორც გაირკვა, თურმე ევროპარლამენტარები საქართველოში არჩევნებისწინა ვითარების განხილვას საერთოდ არ აპირებდნენ, მაგრამ „მადამ კოლონტაის“ და „ჰერცოგი ტალეირანის“ დაჟინებული მოთხოვნით, დებატები იძულებით მაინც დაუწყიათ! კი, ბატონო, დაიწყეს, მაგრამ იქამდე კოალიციის „დიპლომატიური“ მისიები აღმა-დაღმა რომ დაფრინავდნენ, ხარჯავდნენ სერიოზულ თანხებს და მთელ საქართველოს და საკუთრივ ივანიშვილს რომ აიმედებდნენ — „სააკაშვილის მხარდამჭერი დასავლეთში აღარავინ დარჩაო“ — რაშია საქმე? ანუ,

**ევროპარლამენტში გამართული იძულებითი დებატების დროს, კოალიციის ლობისტური კომპანიის მისი დელეგაციისა და თვითონ ლობისტების „წარმატებული გარჯა“ რომელი ევროპარლამენტარის გამოსვლაში დააფიქსირეთ? რა გამოდის — მათ მიერ ძალისძალად**



**მოპოვებულმა დებატებმა „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ შედეგი რატომ მოიტანა?!**

თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითია?! ჩემი ღრმა რწმენით, არ არის შემთხვევითი, რადგან ასეთი „გადაცდომები“ ამ ემისრების ჩვეული „ტრიუკია“! მართალი გითხრათ, სრულიადაც არ არის საგანგაშო, რას იტყვიან ევროპარლამენტარები არჩევნების წინა დებატებში, მაგრამ პირადად ჩემთვის ძალიან საგანგაშო, იყო ლიტვის ყოფილი პრეზიდენტის, საბჭოთა „კგბ“-სთან საეჭვოდ დაახლოებული ჩინოვნიკის, ვიტაუტას ლანდსბერგისის, რამდენიმე მინიშნება, რომელიც მან ზოგადად თქვენი მხარდამჭერების, ესე იგი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების მისამართით გამოთქვა — ამ ადამიანების მხრიდან თავისუფლების შეზღუდვაზე საუბარი წარმოადგენს ნაცისტურ და ფაშისტურ თავდასხმებს, ანუ, როგორც ისინი უწოდებენ, არაქართულ, არამართლმადიდებლურ და უმცირესობების ინტერესების დამცველ მთავრობაზე! უცნაურია, მაგრამ ასეთი სიძულვილის ტექსტებს დადებითად ხვდება არათუ რუსული, არამედ ევროპელი ლიბერალების ნაწილიც!

გამოდის, ვიტაუტას ლანდსბერგისისთვის, საქართველოს მოსახლეობაში თუკი ეროვნული, ქართული და მართლმადიდებლური მოწოდებები გაისმის — ეს ფაშიზმი და ნაციზმია!

ანდა, როცა უმცირესობათა შევიწროებაზე საუბრობდა, ამხანაგი ლანდსბერგი ეთნიკურ ჯგუფებს გულისხმობდა თუ მათ, ვისაც რუსთაველის სახელობის გამზირზე უკანალებისა თუ ენების ქნევით „გაცუნცულება“ ეწადათ?!

რასაკვირველია, ლანდსბერგისი სწორედ ამ უკანასკნელებს გულისხმობდა, თორემ საქართველოში ეთნიკური ჯგუფების არათუ შევიწროების, არამედ შეურაცხყოფის ფაქტებიც კი არ გამოვლენილა, თუ არ ჩავთვლით მავანთა მიერ ინსპირირებულ და შემდეგ ხელისუფალთა მიერ მხარდაჭერილ გეგმიურ ომებს აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში!

ევროპარლამენტარების გამოსვლებში სხვა უამრავი ბრალდებაც გაისმოდა, მაგრამ, ამჯერად აბსოლუტურად ხაზგასმული ის იყო, რომ ჩვენი „ფაშისტურ-ნაცისტური“ თავდასხმებია მათთვის ყველაზე საშიში და ჩემი წერილის მთავარი გზავნილიც, სწორედ ამ „საშიშროებით“ არის ნაკარნახევი!

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს „ნაც. მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილი იმიტომ ეზიზღება, რომ იგი მართლმადიდებლობას, ეროვნულ-ტრადიციულ ზნეობრივ დოგმებს და ზოგადად, ქართულ მენტალობას ებრძვის! აგრეთვე ეზიზღება ის ადამიანებიც, რომელთა მონაწილეობით ჯერ გლდანის, შემდეგ კი ფერიის ეკლესიები დაინგრა! ფეხით გაითელა ხატები, საეკლესიო ინვენტარი, ხოლო სასულიერო პირები მრავალი წლით საპყრობილეში აღმოჩნდნენ!

როგორც თავად უყურეთ, ამ ულმერთობის წამხალისებლები ევროპარლამენტის „ავტორიტეტულ“ წარმომადგენლობაშიც მრავლად ყოფილან და ეს ის ევროპელები ბრძანდებიან, რომელნიც „გეი“ მერების, „გეი“ პრეზიდენტების თუ ლესბოსელ-სექტანტების აქტიური მხარდაჭერით იწონებენ თავს და, რა გასაკვირია, ასეთივე თავგამოდებით უკვე დღეს, სააკაშვილის „დემოკრატიულ წინსვლებს“ რომ ლობირებდნენ, არა?!

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე მიმიფურთხებია ასეთი ევროპარლამენტისთვის და ასგზის მიმიფურთხებია იმ „ვერდიქტისათვის“, რომელიც მათ რამდენიმე დღის წინ ქართველ ხალხს გამოუტანეს — მიხეილ სააკაშვილის სასარგებლოდ!

**„ევროპა არ იყიდება!“, — შემოგვითვალეს მათ და ჩვენც დავიჯერეთ, არა? რა სასაცილოა...**

**ევროპა რომ ძალიან დიდი ხნის წინ იყიდებოდა და იყიდება დღესაც, ოღონდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიომ კარგად უწყის!**

ჩემგან შეიძლება არ გესწავლებოდეთ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ნიცშე „ბებერ მეძავს“ უწოდებდა მას!

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ოსვალდ შპენგლერი წერდა: „ევროპა, როგორც იდეა მოკვდა, ეს არის ევროპის დაისი!“



ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი პიკიმირ სორონეცინი კი თანამედროვე დასავლეთზე ასე წერს: „თანამედროვე დასავლეთი ეს არის პათოლოგიის მუზეუმიო“, მაგრამ რა თავში ვიხლით თუნდაც გენიოსი ნიცშეს მოსაზრებას ევროპის შესახებ, თუკი ჩვენს დიდ მოძღვარს, ჩვენივე ნასროლი ტყვიით მოკლულ ილია ჭავჭავაძეს არ გავიხსენებთ?

**ილია ამბობდა: „რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება“! უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძე, ისევე როგორც ქართველების, ევროპელთა ზნის შესახებაც სიღრმისეულ განმარტებას აკეთებს და ამბობს: „რაკი ევროპაზედ მიდგება საქმე, აქ ნაქირალა გრძნობანი ევროპის პოლიტიკისა თავს წამოჰყოფენ!“**

ევროპელების, მით უმეტეს კი ევროპელი პოლიტიკოსების მანკიერი ზნის შესახებ ყველაზე ზუსტად მაინც დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი საუბრობდა: „აკი, ხშირად გვიხდება შეთანხმება ყაჩაღებთანაც და კაცის მკვლელებთან?! ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ კაციჭამიებთანაც გავმართავთ ვაჭრობას!“-ო, და ეს სიტყვები ლოიდ ჯორჯმა მას შემდეგ თქვა, რაც ბოლშევიკური რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა 1920 წელს „ერთა ლიგაში“ არ მიიღო ევროპამ!

ამ „ვერდიქტით“ გულდამძიმებული, სამშობლოსკენ მომავალი ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი ამბობს: „კაციშვილი ჩვენი პატრონი ჩვენივე თავის გარდა დედამიწის ზურგზე არავინ მეგულებაო, ჰოდა, როდესაც ჩვენსა და დასავლეთის საერთო ღირებულებებზე ვსაუბრობთ, გავფრთხილდეთ, რადგან ჩვენი ეთნოსისათვის „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“ არასოდეს არ ყოფილა და მით უმეტეს, არ ყოფილა მაშინ, როცა საქმე ანგარებას ეხებოდა!

ჩვენსა და დასავლეთის ღირებულებებს შორის ის განსხვავებაცაა, რომ: „სხვისი პური, სხვისი ღვინო“ არასოდეს გვყვარებია და არათუ დამპყრობელი ომები არ გვიწარმოებია, არამედ პირიქით, ყოველთვის მტრის მოგერიებაში ვიყავით მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე!

რაც შეეხება ჩვენი და ევროპაამერიკელი ჯარისკაცების ერთობლივ ბრძოლას ერაყ-ავღანეთში, ესეც ისტორიული შეუთავსებლობაა, რადგან ისინი კაცობრიობის გამანადგურებელი „თეთრი სიკვდილისათვის“ არიან იქ და ისე, რომ მათ არჩევნის საშუალებაც არა აქვთ. ზნეობრივი განსხვავება კი ის გახლავთ, რომ ქართველი მეომარი კაცი, იმიტომ რომ ვაჟა-ფშაველას ქვეყანაშია გაზრდილი — „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო“, — ასე ფიქრობს და ამერიკელი ჯარისკაცივით, ვინც მთელი მსოფლიოს დასანახად თავზე არ აშარდავს თავისი სამშობლოს დამცველ ე.წ. მოჯახედ-პატიმრებს!

„ევროპა არ იყიდება!“, — არაერთგზის გაისმა ევროპარლამენტში, მაგრამ კორუფციაში არაერთგზის შემჩნეული მათიას იორში, ნუთუ საქართველოში მხოლოდ „დემოკრატიის“ დასაცავად და მის დასაბანდებლად მოგზაურობდა?!

როგორც არაერთ არჩევნებზე დადასტურდა, „ნაც.მოძრაობის“ ნეობოლშევიკურმა შემადგენლობამ, ევროპელი თუ ამერიკელი დამკვირვებლების ხელშეწყობით, აგერ უკვე 8 წელია სააკაშვილის ხელისუფლებას უძლეველობის შეგრძნება სრულიად ლოგიკურად გაუჩინა, მაგრამ, იმიტომ რომ ევროპა და სრულიად დასავლეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, მას პატარა საქართველოს „დემოკრატიულობა“, „ევროინტეგრაცია“ და ა.შ. სავარაუდოდ, მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით არ უნდა სხდომებოდა, რადგან საქართველო მთელი თავისი რესურსებით, არც ნავთობმომპოვებელი ქვეყანა გახლავთ და არც მსოფლიოს გამოკვება შეუძლია სოფლის მეურნეობის აყვავების შემთხვევაშიც კი!

აბა, მაშ, რატომ უნდა იცავდეს ასე თავგამოდებით სააკაშვილის ხე-



ლისუფლებას იგივე ევროპა და, თუ გნებავთ, ამერიკის შეერთებული შტატები? რატომ უნდა ეშინოდეთ მათ ქართველი „ოლიგარქების“ და „ნაცისტურ-ფაშისტური“ ქართული საზოგადოებისა?

სააკაშვილის ხელისუფლებაში „მოღვაწე“ ჩინოვნიკების შესახებ საზოგადოებამ ბევრი რამ იცის, მაგრამ, ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ 2003 წლის 23 ნოემბრის პოლიტიკური ფარსი, რუსული სპეცსამსახურების და შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ერთობლივი გეგმა გახლდათ და ამდენად, ევროპა, როცა სააკაშვილის ქება-დიდებით იქცევს თავს, თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელი ქვეყნის „თავის მოსაქონად“ იქცევა ასე?!

ამერიკიდან ევროპაში არათუ ელექტროენერგია, არამედ ერთი მილიგრამი ბუნებრივი აირის ექსპორტი არ ხდება და ნეტავ, რომელი ქვეყანაა ის, რომლის „კეთილ ნებაზეცაა“ დამოკიდებული თითოეული ევროპელის გათბობა-განათება?

აკი, წერდა ჯორჯი ლოიდი: „დიახ, ჩვენ კაციჭამიებთანაც გავმართავთ ვაჭრობას ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარეო?!“

**ჰოდა, ახლაც ვაჭრობს ევროპა-ამერიკა რუსეთთან და კბილებით იცავს რუსეთის რჩეულ მკვლელ სააკაშვილს, რათა რუსეთმა გაზის მიწოდება არ შეუწყვიტოს მათ და ერთ მშვენიერ დღეს ევროპის დედაქალაქებში 1 ლერი შეშა, უცებ 6 ევრო არ ღირდეს! (სხვათა შორის, ეს ფაქტი რამდენიმე წლის წინ მთელმა მსოფლიომ ნახა!).**

როგორც იკვეთება, ოქტომბრის არჩევნები მართლაც გადამწყვეტი იქნება საქართველოსთვის და

**თუკი ივანიშვილის პერსონა, მისი ფინანსები და გულისწადილი იქითკენ იქნება მიმართული, აქციოს საქართველო ისევ ქართულ სახელმწიფოდ, მაშინ მისი პოლიტიკური მოკავშირე არა ევროპა-ამერიკა, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობა გახდება და აი, მაშინ გამოჩნდება, ვინ ვის შესც...მს დებატებში!**

უეჭველი გამარჯვება მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება და არა ისე, როგორც ეს ზოგიერთ პოლიტიკოსს ჰგონია. „ერთ სულ და ერთ ხორც“ შერწყმის შემთხვევაში —„მდინარენი აღმა დაიწყებენ დენას“, ხოლო საქართველო, ისევე როგორც უწინ, ჭკვიანი და ქვეყანაზე მოფიქრალი ხელმწიფის დროშის ქვეშ გამარჯვებას გამარჯვებაზე იზეიმებს და თავის სამშობლოს კვლავ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გადასჭიმავს.

**ჩემი ქართული „ოცნება“ ეს გახლავთ, მაგრამ ასევე მეოცნებება, საკუთარი თვალით ვიხილო მოღალატე ბობოლების დასჯაც, რადგან სწორედ მათი გამოისობით არის, რომ ჩემი სამშობლო ამ უკუნეთიდან ვერა და ვერ გამოდის და ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ახალ-ახალ ტერიტორიებს ვკარგავთ!**

**აი, სულ ეს იყო!**

**ირინე გოგოსაშვილი**

## მუხრან მაჭავარიანი

# საბა

ორბელიანი
ლუდოვიკო
მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და...
მეთხუთმეტე
კაცად შევიდა...

ცამეტი ლუდოვიკო
კედლიდან იყურება;
ციცას ეფერება
ლუი მეთოთხმეტე;
ხალხს ხმა დაუკარგა
მეფის სიყრუემა,
მეფეს ხალხზე უფრო
კატა ეცოდება.

ხელმწიფემ
საბას ნაუბარი
მოისმინა რა,
— ოჰ...
ოჰ...
ოჰ...
ოჰო!... —
თქვა და
თითქოს კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი
არაფერი
გამოვიდა რა
(საბას ხმა
როდი წააგავდა
კნავილს კატისას);
რაც შეიტანა,
ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ
ვერსალიდან
ელჩმან ქართლისამ.

— წვიმა არ არი!
საბას კაბა
დაუსველა რამ?!
— თოვლი არ არი!
საბას თავი
გაუთეთრა რამ?!
— ყინვა არ არი!
სულხან-საბას
აკანკალებს რა?!

— რამ დაასველა?!
რამ დათეთრა?!
რა აკანკალებს?!
საქართველოა
მისთვის წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..

...მზე ეთხოვება
ალბათ ახლა
ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა,
სულხან-საბავ,
თუ ფანტაზია?!
დედის ცრემლები
ყაყაჩოს და ბალახებს
აწვიმს,
ალვის ჩეროში
სტირის დედა
შვილს მოტაცებულს,
სტამბოლში
შვილი დედას სტირის, -
ჰყიდიან ყმაწვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ
წმიდა ნინოს —
მუხლზე დაცემულს).



— რამდენს აფასებ
მაგ პატარას? —
ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და
მოუთმენლად
ელოდა პასუხს.
— უი, ქართველი
მეგონა და
სპარსი ყოფილა, -
წარმოსთქვა ბალღმა,
ყური მოჰკრა რა
საბას სპარსულს.

— არა, პატარავ,
ქართველი ვარ,
ქართველი,
გესმის?
— უი, დედასთან
წამიყვანე,
წამიყვან, ძია?.. —
საბას ცრემლები
მოეძალა,
ატირდა კაცი, -
თავის ბალღობა
გაახსენდა,
თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი —
საქართველოც
ასე მცირეა,
საქართველოსაც,
ვით ამ ყმაწვილს,
ასე ჰყიდიან;

საფრანგეთს ვთხოვოთ:
გვიშველისო,
— სასაცილოა!
შენი ვხტანგი
ლუდოვიკოს
ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა
სულხან-საბა
ხელჯოხიანი;
მხარდამხარ საბას
ის პაწია ბიჭი
მოსდევდა...
— მოგწყინდა განა
უნაყოფოდ,
ელჩო, ყიალი?!
— გულს ნუ გაიტეხ!
— მუხა კვლავაც
შეიმოსება!

# svanebo! dumili yovelTvis ar aris oqro

როგორც ქართველობა იყო საამაყო დიდ საბჭოეთში, ასე სვანობა იყო საამაყო კავკასიის მთიანეთში და საქართველოში.

ჩვენ გვესახელება წინაპართა მიერ განვლილი გზა: მტერთან-მტრობა, მოყვარესთან-მოყვრობა, სტუმრის ღირსეულად მიღება-გაცილება, ქვეყნის ერთგულება, საქართველოს მეფეთა სამსახურში ყოფნა.

სვანეთის როლი განუზომლად დიდია საქართველოს ისტორიაში. ამის შესახებ დიდი ქართველი მეისტორიენი უხვად გვაწვდიან მასალებს.

სამშობლოც დამსახურებულად უფასებდა ქვეყნის ამ რეგიონს ერთგულ სამსახურს. განსაკუთრებით ბაგრატიონთა დინასტია.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რამდენჯერმე აუჯანყდნენ სვანები მეფის რუსეთს. კონსტანტინე დადეშქელიანმა გუბერნატორი გაგარინიც კი გამოასალმა სიცოცხლეს მეფეთა ქალაქ ქუთაისში.

არ მინდა გავაზვიადო, სვანები მართლაც სვანობდნენ. არც არავისზე ბატონობდნენ, არც არავის იბატონებდნენ.

რა ხდება დღეს?

ვწუხვარ, მაგრამ ჩვენი დღევანდელი დუმილი, ყველაფრის შეგუება, რაც ჩვენს თავს ხდება, უკვირს ყველას, უკვირს დანარჩენ საქართველოს. გაქრა მითი სვანების ვაჟკაცობის შესახებ, ჩვენც დაგვაშინეს, ხმას ვერ ვიღებთ, ჩავიკეტეთ, ვიმალებით, ვითომ ვერაფერს ვხედავთ, არაფერი გვესმის?

მავანი ენები ამბობენ, სვანები ერთმანეთს არ პატიობენ წყენას, სხვაგან და სხვასთან, დღეს დიდი ვერაფერი რაინდები არიანო.ამის მთქმელნი მწარედ ცდებიან, მარტო კომანის ბრძოლაც საკმარისია სვანთა სიმამაცის დასტურად.

ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს ვაქეზებდე შურისძიებაზე, მაგრამ, როცა ახალგაზრდა კაცს მოგიკლავენ ხელისუფლების წარმომადგენლები და არც მოგიბოდიშებენ, ერთი აქცია მაინც ხომ უნდა გაგვემართა. სანდრო გირგვლიანს მხოლოდ დედამ, ქალბატონმა ირინე ენუქიძემ უპატრონა და დააკვდა კიდევაც უსამართლობას.

სვანები ვდუმდით.

გაუგონარი ვანდალიზმი ჩაიდინა ხელისუფლებამ სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახის მიმართ. „დიდმა სარდალმა“ გიორგი ბარამიძემ, ვისაც ზურგს ორი ათასი პოლიციელი უმაგრებდა, მძიმე არტილერიიდან გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა ევგენი აფრასიძის სახლს, მოკლეს მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები. გოჩა და შმაგი აფრასიძეები პატიმრობაში აიყვანეს. ამ ოპერაციას ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში წარმატებულს უწოდებდა. მოგვიანებით, ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მე-19 საუკუნის საძვალე გათხარეს, ძვლები ტომრებში ჩაყარეს და თბილისში ჩამოიტანეს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ კი ისევ სოფელ ეცერში დააბრუნეს და გამგეობის შენობასთან დაყარეს.

რადგან სვანეთი შეუვალი, მკაცრი ტრადიციების დამცველ მხარედ არის მიჩნეული, უნიჭო ხელისუფლებას ეგონა ამ ოპერაციით ავტორიტეტს აიმაღლებდა და მოსახლეობაში შიშს დანერგავდა. მოგვიანებით, როცა გაირკვა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული ახალგაზრდა ლევან კალაძე არაკაცების მიერ სულ სხვა ადგილას იყო მოკლული, პრეზიდენტს სპეცოპერაციის უნიჭო ავტორები რომ გაეკიცხა, ალბათ, ასე არ გამწვავდებოდა ეს ურთიერთობა.

სვანები არაფრად ჩაგვაგდეს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და პარლამენტს ბოდიში ან სინანულის სიტყვა მაინც დასცდენოდათ ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ქართული (სვანური) ჩვეულებით, მიცვალებულთა საძვალის შეწუხება მკრეხელობის ტოლფასი დანაშაულია. ასეთ დანაშაულს ხანდაზმულობა არა აქვს.

ძნელი სათქმელი არ არის, რა შეფასებას მისცემს ისტორია საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ამ ქმედებების გამო. არც ისაა ძნელი მისახვედრი, თუ რა ბედი ელით იმ ადამიანებს, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს ქართული ტრადიცია. საწყენი ის არის, რომ ამ ბარბაროსობის ჩამდენნი ბოლო ხანებში ხშირად ადიან სვანეთში, იქ კი მათ სვანური კუბდარითა და ხაჭაპურით უმასპინძლდებიან.

სვანებმა არც მაშინ ამოვიღეთ ხმა, როცა ორი სახელოვანი მანდილოსანი მზევინარ ჯაფარიძე და ნელი ნავერიანი, რომლებიც კაცების დუმილის გამო, იძულებულნი გახდნენ, თავად აღემაღლებინათ ხმა ხელისუფლების თავგასულობის გამო, სპეცნაზელებმა დააპატიმრეს.

არ ავტეხო განგაში გმირი ქალბატონის ნორა კვიციანის მიმართ შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებაზე? მას საზოგადოების ნაწილმა დამსახურებულად შეარქვა ქართველი ჟანა დარკი. ქალბატონმა ნორამ და მისმა ოჯახმა ბევრი იბრძოლა დალის ხეობის შესანარჩუნებლად და სასურველ შედეგებსაც მიაღწიეს. მან და მისმა შვილმა – ბაჩუკი არღვლიანმა შეძლეს მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება აფხაზურ მხარესთან. ამან გააღიზიანა არაეროვნული ხელისუფლება. დაიწყეს მათზე ბრალდებების შეთხზვა, ბოლოს, ემზარ კვიციანზე განაწყენებულმა იარაღის უკანონო შენახვა წარუდგინეს ბრალად ქალბატონ ნორას და დააკავეს იმ იარაღის გამო, რომელიც ხელისუფლებამ თვითონ დაურიგა ადგილობრივ მოსახლეობას. ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა: ცხენი ვერ გახედნა და უნაგირი დაამტვრიაო. ნორა კვიციანმა მრავალგზის განაცხადა უარი შეწყალებაზე და დღესაც პატიმარია. ქალებმა კი გვასახელეს სვანები, მგონი ჯერი მამაკაცებზე მიდგა.

ხელისუფლების მხრიდან კიდევ ბევრი ძალადობის ფაქტი ახსოვთ სვანებს, ადამიანთა ფიზიკური შეურაცხყოფის, დაჩაგვრის და ა.შ.

რა გვემართება? ერთმანეთს რომ არაფერს ვპატიობთ?

ამ ხელისუფლებამ ძირძველ ქართულ მიწას, დალის ხეობას, ჯერ სახელი შეუცვალა, – დაარქვა „ზემო აფხაზეთი“, შემდეგ კი ჩვენი ხალხი ძალით გამოიყვანა ხეობიდან და ეს მხარე გაასხვისა. ისტორიული ფაქტია, რომ დალის ხეობაში სვანების გარდა არასდროს არავის არ უცხოვრია. ამ მხარეს აფხაზებიც სვანეთს ეძახდნენ.

ეს ძველი მისიმინიალების მიწაასვანთა წინაპრების, რაზედაც მეტყველებენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები.

ცნობისთვის, აფხაზურმა მხარემ მრავალგზის შემოგვითვალა სვანებს ხეობაში, საკუთარ მიწაზე, დაბრუნება. ბევრი დაბრუნდა კიდეც, მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების კატეგორიული წინააღმდეგობისა (ძალოვნებს გაძლიერებული საგუშაგო აქვთ გახსნილი ჭუბერთან, რათა გადასასვლელი გზა გადაუკეტოს დაბრუნების მსურველთ).

სვანები ერთ გოჯ მიწას არ თმობდნენ. საკარ-მიდამო საზღვრის ოდნავ შეცვლაც ხშირ შემთხვევაში სისხლის დაღვრით მთავრდებოდა. დღეს კი ხელსუფლებამ მთელი ხეობა ჩამოგვართვა და გაასხვისა.

ჩვენ ამაზეც ვდუმვართ.

ჰესების მშენებლობის ბუმს აყოლილნი ხუდონჰესის მშენებლობას აპირებენ. გვეკითხებიან ჩვენ, დატბორვით რომ ემუქრებიან ეკლესიებს, წინაპართა საფლავებს, თავი რომ დავანებოთ ამ ეკოლოგიურ ცვლილებებს, რასაც ეს ჰესები გამოიწვევენ ამ მხარეში?

ახლაც არ უნდა ავიმაღლოთ ხმა?

არც ქვემო ქართლში ჩასახლებული სვანები არიან კარგ დღეში, არ აძლევენ მიწის ფლობის ნებას, იქ ჰოლანდიელები სარგებლობენ პრივილეგიით მიწების შესყიდვისას.

სვანებო! სათქმელი ბევრი გვაქვს, ახლა მოქმედებაა საჭირო, ყველამ ხმა ამოვიღო, შიში დავძლიოთ, ხედავთ, ეს ხელისუფლება ანტიქართულია, მაშასადამე, ანტისვანურიცაა, როგორც იქნა გამოჩნდა ეროვნული ძალა, რომელიც დაუპირისპირდა უკანონობას, უმსგავსობას.

თქვენ კარგად იცით, რომ დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო, ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილია იმ უმსგავსობისა, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ სვანეთს და სვანებს დამართა.



არავინ ხმას არ ვიღებთ, ხომ ხედავთ, არავის არ აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერთი წარმომადგენელიც არ გვყავს.

ალბათ, გსმენიათ, სვანი პარლამენტარები არ მეტყველებენო, უტყვები არიანო, დაგვცინიან. მათ ლაპარაკი კი იციან, მაგრამ რადგან დანიშნული დეპუტატები არიან, ამ ხელისუფლებაზე ძვირს ვერ ამბობენ, პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. გამბედაობა კი მართლა აკლიათ.

მეგობრებო! ჩვენი ცხოვრება ჩვენვე უნდა შევცვალოთ. უპრიანი იქნება, თუ მომავლის შენებაში გამოცდილი, ავტორიტეტული უფროსი თაობის წარმომადგენლები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

სვანეთს უხსოვარი დროიდან უხუცესთა საბჭო განაგებდა და ეს ნათლად ჩანს ქართულ და უცხოურ წყაროებში. უხუცესთა გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ გადადიოდა და ამიტომ მხარეში წესრიგი იყო. სვანმა უხუცესებმა დღესაც უნდა თქვან მართალი სიტყვა. მათი რეკომენდაციით უნდა დაინიშნოს ორივე რაიონში გამგებელიც, პროკურორიც და პოლიციის უფროსიც. უხუცესთა მიერ წარმოდგენილ პიროვნებას არ უნდა დაუპირისპირონ სადეპუტატო კანდიდატი, არც ხელისუფლებამ და არც ოპოზიციამ. მათი აზრი მოსახლეობისათვის მისაღებია, რადგან ისინი ხატზე არიან დაფიცულნიო მიუკერძოებლობაზე. ამ შემთხვევაში მოსახლეობაში სიმშვიდე და წესრიგი იქნება. არც გაყალბებას ექნება ადგილი და მხარეთა შორის ქიშპსა და დამდურებასაც მოეღება ბოლო, რადგან უხუცესები ყოველთვის საუკეთესოდ უწევენ შუამდგომლობას.

ეს წესი უნდა გავრცელდეს საქართველოს ყველა რაიონში (ამაზე იზრუნებს საქართველოს უხუცესთა დარბაზი). ამით ხალხიც კმაყოფილი იქნება და ხელისუფლების მიმართაც ნაკლები ბრალდებები იქნება. რაც მთავარია, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში უტყვნი კი არა, ერის რჩეული შვილები მოხვდებიან.

სვანებო! მამაპაპურად შემოუძახოთ „ლილეო“ და ჩავებათ საერთო ეროვნულ ფერხულში.

**როლანდ ნიჟარაძე**

**საქართველოს უხუცესთა დარბაზის აღმასრულებელი მდივანი**

# gadrekili xerxemali vano da misi kuzi miSa saakaSvili

ხერხემალს ადამიანის ტორსის ცენტრალური ძვლოვანი სისტემის მთავარ ღერძს უწოდებენ. "ხერხემალში გადატეხვას", (გადატანითი ფორმით), მოწინააღმდეგის განადგურებას ნიშნავს. აი, ხერხემლის გამრუდება კი, როგორც გამოცდილებით ვიცით, საბოლოოდ კუზის ამოსვლას იწვევს. "კუზიანს კი სამარე გაასწორებსო", — ნათქვამია. ცნობილი მკურნალისა და სპეციალისტის, მანანა ჭყონიას თეორიას თუ დავეყრდნობით, ხერხემალი ორგანიზმის ის მთავარი ღერძია, რომელზეც ყველა დანარჩენი ორგანოების ჯანმრთელობაცაა დამოკიდებული. დღეს, როცა უკვე თვალნათლივად გამოიკვეთა, რომ სააკაშვილს, "ნაცმოძრაობასა" და მმართველი გუნდის პოლიტიკურ რეიტინგს ივანიშვილის გამოჩენით აღუდგენელი პრობლემები შეექმნა "მაგარ მიშად აღზევებულმა" კაცმაც, მაია ნადირაძისგან "ნაცონალური მოძრაობის" და თავად "მიშას ხერხემალად" შერაცხული ვანო მერაბიშვილის პერსონა გამოწია პოლიტიკურ ასპარეზზე. იმის გათვალისწინებით, რომ "კუზი სამარეში სწორდება", როგორ აპირებს მიშას "კუზების გასწორებას" "გაღლეტილი ვანო"— ძნელი სათქმელია? მითუფრო როცა "ეს კუზი" როგორც ხერხემლისა, "მის პირად კუზს", "გამრუდებული ხერხემლის შედეგად წარმოქმნილ ძვლოვან წანაზარდს" წარმოადგენს. თუმცა "ხერხემალ ვანოს" თავისი "ხერხემლის გამრუდებაცა და კუზებიც" ისე უხვადა ჰყოფნის, რომ უკვე "გაპრემიერებული ხერხემალი და მისი კუზი" (მიშა) ორივე ერთად, "ორკუზიანი ნაციონალური აქლემის" ფუნქციას ასრულებენ. " რვაწლიანი მმართველობის დაპირებების დიდი ხურჯინით" ისევ მოსახლეობის მოსატყუებლად დაძრწიან. "საქართველოს მხსნელად", "მესიის სათაყვანებლად და გასამეფებლად" მისული მოგვებივით, "ოქროს, გუნდრუკსა და მურს" სთავაზობენ ქართველ ხალხს. "ხერხემალ-მესიასაც" და "ქერუბიმად" (უფრო სწორედ ფარშევანგად) ადევნებული მისი "კუზი"(მიშა) ენასა და ბრტყელ-ბრტყელებს არ იშურებენ, რათა "გამრუდებული ხერხემლის ლარივით სისწორეში" დაარწმუნონ ქართველი კაცი!

ნაცმოძრაობის "მოლაპარაკე ნაციონალმა თუთიყუშებმაც" ესაო და ვანო ვითომ "სიტყვის კაციაო". ჰოდა, (თუ სააკაშვილის ტყუილების აღარ გჯერათ), რადგან დანაპირებს ეს კაცი ყოველთვის ასრულებს, ახლაც შეგვისრულებსო! ვისი იდეა და მოფიქრებული იყო ბიძინა ივანიშვილთან "ხერხემალ მერაბიშვილის" ფიგურის დაპირისპირება— ძნელი სათქმელია. ნაკლებსავარაუდოა, რომ სააკაშვილის პირველობის უსაზღვრო ამბიციის პირობებში, მას სხვისი (განსაკუთრებით კი ვანოს) პირველობა თავისით მოესურვებინოს! სახელის გატეხვის შემდეგ, "თავის გატეხვის წინ", მას სხვა გამოსავალი უბრალოდ აღარ ჰქონდა. "ნაციონალური სახეებიდანაც" ვითომ შედარებით რეიტინგული და "სიტყვის კაციც" ამიტომ შეარჩიეს. თორემ "ვანიჩკას საქმენი საგმირონის" მქონე კაცს, ივანიშვილის წინააღმდეგ სხვა შემთხვევაში რომელი ჭკუათმყოფელი წამოაყენებდა? "გაღლეტილი ხერხემალიც" სწორედ ივანიშვილს რომ დაუპირისპირეს, ამაზე "გაღლეტილი ხერხემალისგან" ივანიშვილის წინაარჩევნო პროგრამის სიტყვა-სიტყვით დაპირებების გამეორებაც მიუთითებს. თავის "მჭევრმეტყველურ გამოსვლებშიც" ვანოზე უპირატესობის წარმოსაჩენად თავად მიშასაც ხომ არაერთხელ უღიადავია "გაღლეტილზე"? არც მერაბიშვილის ბოლო საპარლამენტო გამოსვლა: "პოლიციას ნაციონალურ მოძრაობაზე მაღალი რეიტინგი აქვსო" — იქნებოდა ამის მიზეზი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მერაბიშვილის "გაპრემიერ-მინისტრებით" სააკაშვილმა მასზე "მაღალი რეიტინგის გაღლეტილი კონკურენტი მიაჩოჩა", რითაც დაპირებებისა და ტყუილების თქმის "ნაციონალების წინასაარჩევნო უპირატესობაც" ახლა მერაბიშვილს "შეაჩეჩა ხელში". თუ "ხერხემალს გამოუვა" ხომ კარგი, თუ არა და ეს დაპირებები "გამრუდებული ხერხემლის კუზის ტყუილების ხურჯინს" ხომ აღარ მიემატება? ამიტომ "ძლევამოსილი გაღლეტილიც", რომელიც მიშასგან განსხვავებით არცთუ სულელია, დგას ახლა და ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგამის "სუფლირება-დუბლირებით" მოსახლეობისთვის თავის მოწონებას ეწევა. დაახლოებით, "ორი მარინე, ორი გიორგის ასული, ორი ფერაძის მსაგვსად". ვიცით, მიშასი რომ აღარ გჯერათ, მაგრამ ოღონდ ივანიშვილს ნუ მისცემთ ხმას და ათჯერ, ასჯერ მეტს მოგცემთ "გაღლეტილი ხერხემალიო". ჩვენ კი, ვისაც ნაციონალების წინასაარჩევნო ტყუილები არაერთხელ მოგვისმენია, გოგებაშვილის "მატყუარა ვანოს ამბავი" გვახსენდება: "მგელი, მგელიო", ვინ იცის, მერამდენედ რომ მოატყუა თანასოფლელები. ბოლოს კი, მგელი მართლა რომ მოვიდა- აღარავინ დაუჯერა. იმასაც ბევრი შეამჩნევდა, ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, (გამოუვალი მდგომარეობის გამო), სააკაშვილი უკვე "წყვილ-წყვილად რომ აფრენს მწყერებს". იმასაც დაინახავდით, რომ შეხვედრებსაც, ამ ბოლო დროს, სულ უფრო ხშირად სტუდენტებთან, საბავშვო ბაღის ბავშვებთან და ახლა უკვე სამშობიაროებში — ჩვილებთანაც რომ მართავს. ზრდასრული და ჭკუათმყოფელი ადამიანების შეხვედრებზე მოყვანაც, "ნაციონალურ მოძრაობას" ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ სულ უფრო და უფრო უძნელდება. აღარც "ყვითელი ავტობუსებით ბუნების წიაღში გასეირნება" ჭრის და ჩანს, აღარც მუქარები.







ასეთმა პოლიტიკურმა სვლამ ბევრი ჩააგდო საგონებელში. "ვანო ხალხის მხარეს დადგა და მიშამ ამიტომ ჩააჩოჩაო" — იფიქრა ზოგმა. ზოგმა სააკაშვილისგან ახალ მთავრობაში დარჩენის, გარანტიისა და თავის გადარჩენის გზების ძიება დაინახა. ზოგმა კიდევ (ახალაიას სისასტიკისა და მანიაკალური მიდრეკილებების მცოდნემ) — არჩევნების გაყალბებისას ხალხის დასარბევად მისი გამოყენების სურვილი. ასეა თუ ისე, დღეს ბიძინა ივანიშვილის ფეხდაფეხ, რეგიონ-რეგიონ და სოფელ-სოფელ "გამრუდებული ხერხემალი ვანიჩკა" და მისი "კუზი" მიშა აქტიურ წინასარჩევნო კამპანიას ატარებენ და ყველას იმაში არწმუნებენ, რომ "ძლევამოსილი ვანო თავისი კუზის" "ლარივით სწორი", "საროსა მსგავსი" და ზნეობრივი პრინციპებით "თოვლივით სპეტაკი" პრემიერ-მინისტრია. ის კი, რაც "ხერხემალმა" თავისი ძლევამოსილების განმავლობაში ქართველი ხალხის თავზე მოაწია, მხოლოდ ჩვენი "მასობრივი სიზმრისა და მოლანდების" შედეგია?! "წიკლაურ-თავხელიძეების პირით მოლაპარაკე ფეისბუქელებისგანაც" აღინიშნა, რომ ეგეც თქვენ: "აკი ამბობდით, "გაღლეტილმა" ლაპარაკი არ იცისო? ვანოს კი თურმე "ლაპარაკიც სცოდნია" და არც ისეთი ენა ბლუა", როგორიც გვეგონა?! "გაღლეტილის" მეტყველებაში განცდილი ტრანსფორმაციაც" იმაში გამოიხატა, რომ თუ ადრე "პირში მოხარშული კარტოფილით საუბრობდა" და არც უაზრობების თქმას აკლებდა, ახლა (ჩანს ლოგოპედებს კარგად უმუშავიათ) და შედარებით დანაწევრებულად და გასაგებად მეტყველებს. "ძლევამოსილ ვანიჩკად", კარგ ორგანიზატორად და "ყურადღებიან შეფად" ცნობილი "დიდი გაღლეტილიც" უკვე ფართო მასების წინაც ჩნდება და აღარც "ფარდის უკან" იმალება. "ფერადი რევოლუციებით" მოსული პრემიერების ბედიც "ვანიჩკას" პრესის ფურცლებიდან არაერთხელ შეახსენეს. ზორან ჯინჯიჩისა (იუგოსლავიის პრემიერ-მინისტრი) და ჟვანიას მაგალითების (პირველობისადმი სააკაშვილის პათოლოგიური მისწრაფების გათვალისწინებით), ფონზე, ალბათ, არც ყოფილ ძლევამოსილსა და "გაღლეტილს" უწერია დიდი დრო. თუ, რასაკვირველია, "ვანიჩკა" თავად აქეთ არ აპირებს მიშასთვის დასწრებას.

რაც შეეხება ვანოს "სიტყვის კაცობასა" და დანაპირებ "კეთილდღეობას", "კაცობაცა" და "ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაც" მერაბიშვილმა გირგვლიან—ენუქიძეების ოჯახის გაუბედურებით, შვიდი ნოემბრის აქციაზე უიარაღო, ხელებ აწეულ ადამიანებთან უსასტიკესად გასწორებით, ტელეკომპანია "იმედის" დალეწვით, 6 და 26 მაისის დარბევების მაგალითზე დაამტკიცა! ეს ხომ ისევ ის "ხუჭუჭა და პატარა" ვანოა, რომელმაც ხან ერთ, ხან მეორე უწყებაში ამდენხნიანი ბატონობით იმდენი ქონება დააგროვა "სარეზერვო მეფედ" მუშაობისას, რომ "ოლიგარქობაში" ბიძინა ივანიშვილს კი არა, შესაძლოა ბილ გეითსაც არ ჩამოუვარდება? ეს სწორედ ის ვანო არაა, ვინც ჯერ კიდევ "მოქალაქეთა კავშირის" კომიტეტის თავმჯდომარეობისას, გერმანელებისგან რეესტრის დაკომპლექტებისთვის გადმორიცხული მილიონებით ქართული ტერიტორიების ყოველი კუთხე-კუნჭული აღწერა და ყველაფერი შეისწავლა, ჩვენი ისტორიული მიწების გაყიდვა-გასხვისებისთვის ნაციონალებს წინასწარი ბაზა ხელში რომ სჭეროდათ? ეს ვანო არ იყო, ვინც (გუნდის შიგნით ჩაშვების ამბავში, კომიტეტის თავმჯდომარეობისას), რუსულ პრესაში თავისი გუნდის ლიდერის საწინააღმდეგო განცხადებები გააკეთა? ასეთ საქციელს კი "სიტყვის კაცები და კაი კაცები" არ სჩადიან.

ეს ის "სიტყვის კაცი" არაა, ვისზეც მთელი საქართველო "აღშფოთებული ჩურჩულებდა" იმას, რომ ბიძაშვილის გაუპატიურების მცდელობის გამო, ჯერ კიდევ მართლა "გაღლეტილი ხერხემალი" თანასოფლელებმა სოფელ უდედან გამოაძევეს და მამიდა იფარებდა? ის "გაღლეტილი ვანო" არ არის, რომლის ხელშეწყობისა და შეთანხმების გარეშეც "მეორე გაღლეტილი"— ოქრუაშვილი თავისი უზარმაზარი ქონებისა და მილიონების საქართველოდან გატანას ვერ შეძლებდა? ის "ხერხემალი ვანო" არ არის, რომელიც ამდენი წელი "ვერ ხედავდა" იმ ყველაფერს, რაშიც ახლა მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის საპირწონედ მილიარდობით ინვესტიციების ჩადებას გვპირდება? ეს მილიარდებიც ქართველი ხალხის გაღლეტით არ იშოვნეს მან და მისმა "ყავლგასულმა მთავარსარდალმა"? ან იქნებ ახლა, ჩვენგანვე წაგლეჯილი ფულის ჩვენზე დახარჯვისთვის არ ითხოვს ჩვენგან "ხერხემალი ვანო და მისი კუზი" საარჩევნო ხმებს? ან იმის თუ გჯერათ ვინმეს, რომ "სიტყვის კაცმა", ვინც ქართული სასოფლო-სამეურნეო, სასაძოვრე მიწებისა და ნათესების უცხოელებზე გასხვისებაში "ფასდაუდებელი საქმე გაუკეთა ნაციონალებს"— ახლა "მიწებგაყიდულ სოფელსა და გლეხს" მეურნეობას აუყვავებს? რა თქმა უნდა, წიკლაურს, ოჩიაურს, თავხელიძეს, ჩორგოლეიშვილს, ნოდიას და "ნაციონალების მემატიანე მასხარას" ამის "სჯერათ". სჯერათ, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობა მათ არც არასდროს აღარდებდათ და საკუთარი "გაღლეტილი ჯიბეების ამოვსებაზე" ფიქრობდნენ ყოველთვის. თუმცა ქართველ ხალსა და მათ, ვინც "ნაციონალების" ყალბ და ფლიდ მოძრაობაში ქართველი ხალხის მოსაშთობად მოსული მანქურთები იმთავითვე ამოიცნო, არც მანამადე სჯეროდა მათი და არც ახლა.

**ბაია ამაშუკელი**



იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




# ukraina quxs, saqarTvelo dums...

ეეეჰ, რა დრო იყო?! ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საქართველო იყო ერთადერთი, სადაც ქუჩაში პროტესტის დაფიქსირება ჩვეულ ამბად იყო მიჩნეული და თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ საპროტესტო მიტინგების „მასტერ კლასებს“, სწორედ საქართველო უტარებდა „მოძმე რესპუბლიკებს!“.

პირველი მასშტაბური მანიფესტაცია 1978 წლის 14 აპრილს გამართა! ამ გრანდიოზული მსვლელობის ორგანიზატორი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები გახლდნენ, ხოლო პროტესტის მიზეზი კი იყო „სკკპ“ მთავრობის დადგენილება: ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, შეცვლა, რუსული!

ალბათ, ყველას გახსოვთ, რა ხდებოდა მაშინ თბილისში. დიდიან-პატარიანად ყველა ქუჩაში იყო გამოსული და კრემლის თავხედურ-შოვინისტურ გამოხტომას, როგორი ეროვნულ-პატრიოტული, აბსოლუტურად სამართლიანი პროტესტით ეწინააღმდეგებოდა! მაგრამ, ისიც ხომ კარგად გვახსოვს, რომ მაშინდელ, მოტივირებულ მომიტინგესა და დღევანდელს შორის უზარმაზარი განსხვავებაა? უფრო სწორად, მაშინდელ ქართველსა და დღევანდელ „დაჩმორებულ“ ქართველს შორისაა განსხვავება, თორემ პრობლემები მაშინაც და დღესაც თითქმის ერთი და იგივეა, მცირე გამონაკლისით!

ერთადერთი, რაც ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ჩვენგან „ვერ ისწავლეს“, ძმათამკვლელი დაპირისპირება იყო! ე.ი. მათ იმთავითვე გააცნობიერეს რა შარშიც გაეხვეოდნენ და საკუთარი ნებით არათუ ტერიტორიებს, არამედ ერთმანეთსაც დაკარგავდნენ!

გახსოვთ ისიც, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკელები, ერთიმეორის მიყოლებით ისე გახდნენ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები, ბევრ მათგანში თოფიც კი არ გავარდნილა და ამიტომ, როგორც ენობრივი თვალსაზრისით, ისე ეკონომიკის და სტაბილურობის მხრივაც, ყველაფერი შეინარჩუნეს!

**ჩვენც შევინარჩუნეთ რაღაც, ოღონდ ის ძირძველი ზნე, რომლისგანაც ვერა და ვერ გავთავისუფლდით: ანუ, ერთმანეთის გაუტანლობა და საკუთარი სამშობლოს ნგრევა, ამჟამინდელი — „ეს ჩემი საქმე არ არის —ძახილით!**

**არადა, ზუსტადაც რომ ჩვენი საქმე იყო — საქართველოს დღევანდელი ე.წ. „პარლამენტის“ დადგენილება, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ტრადიციული თუ სექტანტური, რელიგიური ჯგუფები, მართლმადიდებლობას გაუთანაბრდა! აგრეთვე, ჩვენი საქმე იყო, გაგვეპროტესტებინა სეპარატიზმის შემცველი „რეგიონული ენების“ მზაკვრული ჩანაფიქრი, მაგრამ გავაპროტესტეთ, რო?**

აბა, დააკვირდით რა ხდება დღეს უკრაინაში? მთელი უკრაინის მასშტაბით, მრავალათასიანი მიტინგები დაიწყო — როგორ, გაგვიბედეთ და ზოგიერთ ქალაქებში, რუსულ ენას რეგიონალურ ენად როგორ გვთავაზობთო?!

ანდა, დააკვირდით უკრაინისა და თუნდაც რუსეთის საპროტესტო მიტინგებზე უპირველესად რას უსვამენ ხაზს?

მომიტინგეებს პირველ მწკრივში — ხატები და ის საეკლესიო დროშები მოაქვთ, რომლებიც მათთვის არა მხოლოდ წმიდათაწმინდა ატრიბუტიკაა არამედ საკუთარი, მართლმადიდებლური მრწამსის დადასტურებაც და, თუ გნებავთ, მთავარი გზავნილი მასონური მსოფლიოსთვის — არაფერი შეგეშალოთო!

ჩვენთან? ჩვენთან „ნურას უკაცრავად“, — როგორც ამას სააკა ამბობს და ამიტომაცაა ყველაფერი ისე მიდის, როგორც თავად სააკას შვილს უნდა! რუსული ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების კანონპროექტის განხილვას, უკრაინულ პარლამენტში, ანუ „რადა“-ში, არათუ ცემა-ტყეპა, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის, გვარად ლიტვინის ნებაყოფლობით გადადგომაც მოჰყვა! ხოლო მათ, ვინც ძირშივე გააცნობიერა ამ კანონპროექტის ვერაგობა — ის დეპუტატები ქუჩაში გავლენ, ზუსტად ერთ საათში კი თითქმის მთელი უკრაინა დაიძრა საერთო პოზიციის დასაცავად!

აი, ძმაო, ხალხი!

**აბა, მითხარით — აზერბაიჯანული და სომხური ენები, რეგიონალურ ენებად რომ გვიფეშქაშეს „სააკაშვილებმა“— ვინმეს პროტესტი, ან პარლამენტში, ანდა ქუჩაში, გამოუხატავს, ან ინგლისური ენა „მეორე მშობლიურის ენის“ ასპექტში რომ შეგვტენეს — ტყუილია?**

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ უკრაინის „რადას“, რელიგიათაშორისი თანასწორობის კანონი მიეღო და მართლმადიდებლური კიევისათვის აქეთ ექნია თითი — ტოლერანტულები იყავით, რა მოხდებოდა?

**ანდა, იგივე რუსეთშიც რომ მიეღოთ ეს კანონი, ჩამომჯდარიყო ალექსი II სავარძელში, გვერდით მოესვა რუსული „სოდი“, „კუდი“ და დანარჩენები, შეშინებოდა ევროკავშირის თუ სხვა სახელმწიფოების მუქარის — მართლმადიდებლური რუსეთი არ იქუხებდა?!**

**იქუხებდა კი არა, ქვას ქვაზე არ დატოვებდა და თავისი ქვეყნის რელიგიას კბილებით დაიცავდა!**

აი, უკრაინელები კი უკვე კბილებით იცავენ საკუთარ ენას და, როგორც უკვე მოგახსენეთ, კიევი ახალი რევოლუციის მოლოდინით ცხოვრობს, უკვე იმიტომ, რომ მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ენა, რელიგია და საკუთარი ქვეყანა, ანუ მამული!

დღევანდელი პრეზიდენტი იანუკოვიჩი „რადას“ ახალ ვადამდელ არჩევნებზე ალაპარაკდა, მაგრამ უკრაინელი ხალხი არათუ ახალი პარლამენტის არჩევნებს, ჯერ, უპირველესად, იანუკოვიჩის იმპიჩმენტს ითხოვს, ხოლო შემდეგ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს!




დიდი ალბათობით — უკრაინელი ხალხი არათუ „რეგიონალური რუსული ენის“ წინააღმდეგ მიაღწევს საწადელს, არამედ ასევე დიდი ალბათობით, თავისი ქვეყნის პირველ პირსაც მალე გადააყენებს და აირჩევს იმას, ვისთვისაც უკრაინა, უკრაინელი ხალხი და უკრაინული ენა იქნება უმთავრესი!

ჩვენ? — ჩვენ არ უნდა ვიმიტინგოთ!

ჩვენ? — ჩვენ არ უნდა ჩამოვყაროთ ხიდან ფოთლები!

ჩვენ? — ჩვენ არ შეიძლება რამე ვუკარნახოთ „წმინდა სინოდს“!

ჩვენ? — ჩვენ საქართველოს პარლამენტის უკანონო დადგენილებებს მშვიდად უნდა შევხვდეთ!

ჩვენ? — ჩვენ არ შეიძლება მოვითხოვოთ გაყალბებული არჩევნების შედეგთა ანულირება!

ჩვენ? — ჩვენ არ „გვეკადრება“ არათუ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა, არამედ სააკას იმპიჩმენტიც კი!

ჩვენ? — ჩვენ საერთოდ ყველაფერი აგვიკრძალეს და ამიტომაც გვკადრებენ ასევე ყველაფერს ჯერ „შინაური“ ინაურები, ხოლო შემდეგ „ინაურების“ შინაურები!

ნუ ვიმიტინგებთ, ნუ აღვშფოთდებით და ნურც გავცოფდებით, ბატონო!

და, ამით რასაც მივიღებთ —„აგერ“ თქვენ და „აგერ“ ჩვენ!

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S.** **აღნიშნული მოსაზრება უკვე დაწერილი მქონდა, როცა „წმინდა სინოდის“ ისტორიული „გადაწყვეტილების“ შესახებ შევიტყვე. კერძოდ ის, რომ სასულიერო პირებს მასობრივი თავშეყრის, ანუ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე მისვლა ეკრძალებათ!**

**მართლაც „საშური“ გადაწყვეტილებაა „მამებო“ ვერაფერს იტყვი! მაგრამ პატრიარქ შიოლაშვილს მინდა ვკითხო: — ამის შემდეგ არც ხელისუფლების თავყრილობებზე ივლით თქვენ და თქვენი „წმინდა სინოდი“, თუ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ ხელისუფლების მოძულეთა თავყრილობებზე ვრცელდება?**

**და ერთიც — ნეტავ, ხალხის გვერდით როდის იდექით, რო? ერის და ბერის ერთად დგომის პრობლემა რომ არის, ხატები საქართველოში ამიტომაც ტირიან!**

**თქვენ კი სააკას შვილის წყალობით, მუდამ მხიარულ ხასიათზე ბრძანდებით!**

**ნუ იდარდებთ, მე რა მენაღვლება? მაგრამ, ღმერთის გეშინოდეთ, ღმერთის! იმიტომ, რომ ეშმაკის მსახურის სასარგებლოდ მიღებული იქაური გადაწყვეტილება იქნება ის განაჩენი, რომელიც აქ, მიწაზე, ჩვენს მიერ კი არა, არამედ „იქ“, ზევით იქნება მიღებული და შემდეგ ვერც გიორგი-ედუარდ შევარდნაძე გიშველით და ვერც მიშა-გრიშა სააკას შვილი, გამიგეთ?**

**ეხლა, მოდით და დამწყევლეთ! თუმცა, რა?**

**თქვენს არც წყევლას აქვს ძალა და არც ლოცვას, რადგან საქართველო ამ უბედურებიდან გამოდის კი არა, პირიქით უკუნში მიექანება!**

**ხოლო, თუკი საბოლოოდ არ გავნადგურდით — ეს თქვენი კი არა, ჭეშმარიტად მორწმუნე შავოსანი ბერების სადღეღამისო ლოცვების დამსახურებაა, რომლებსაც ათონზე და აქ, მიტოვებულ სენაკებში აღავლენენ უფლისა და ღვთისმშობლის სადიდებლად!**




## xalxisazriT

ვანო მერაბიშვილის მიერ გამოქვეყნებული პრიორიტეტები აღიარებაა იმისა, რომ დღევანდელი მთავრობა 8 წლის განმავლობაში ანგრევდა ქვეყანას.

რას უნდა ნიშნავდეს მერაბიშვილის გაპრემიერება? ვანოს პოლიტიკური ამბიციების გაზრდას თუ სააკაშვილის შიშს? მერაბიშვილის მხრიდან სააკაშვილისთვის არასასურველი პოლიტიკური სვლების გაკეთების შემთხვევაში, ფაქტიურად მიშა კარგავდა პოლიციაზე კონტროლს და ძალიან მარტივად დასრულდებოდა ნაციონალური მოძრაობის პარპაში. ამავე დროს, ძნელი წარმოსადგენია, რას იზამენ პოლიციელები, რომლებიც ვანოზე ლოცულობენ და მიშას დედას აგინებენ.

მიშამ ამერიკელების რჩევა ხელისუფლების გადაბარებასთან დაკავშირებით გაითვალისწინა და ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად ვანო მერაბიშვილს გადააბარა...

ერთი ირაკლი ოქრუაშვილმა გაიტანა ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე და მეორე ვანო მერაბიშვილი დასცემს ბეჭებზე უმუშევრობას.

მიუხედავად ათასი კარუსელისა, ნაცმოს მინისტრები ერთმანეთში საერთო ენას ყოველთვის მოძებნიან, სამეგობროც საერთო ჰყავთ და ინტერესებიც. მთავარია, ხელისუფლება შეინარჩუნონ, ხოლო ამისთვის ყველა მიშაშკინი ყველაფერზეა წამსვლელი.

ძალიან სუსტი ვარ მათემატიკაში და ამიხსენით, თუ ღმერთი გწამთ: თუ მოსახლოების ერთი მეხუთედი არის უკიდურესად გაჭირვებული და ირიცხება სიღარიბის ზღვარს ქვემოთა სიებში, უმუშევრობა მხოლოდ 15 პროცენტი როგორაა, როგორც ახლა ტელევიზორიდან მეუბნება ექსპერტი ჯაფარიძე?

ხოოო, აქ ადრე ვიღაცა მიმტკიცებდა, არ იზამს მაგას ნიკაო.....ა, ბატონო თუ არ არის მზად..... ახლა მერაბ სეფაშვილს ჩასვამენ სიაში და ნიკა დაუკრავს, მერაბი იმღერებს:დ:დ:;დ და სოფელიც აშენდება:დ:დ:დ მერე ოპოზიციიდან ზოგი იჭიდავებს, ზოგი იცეკვებს და მეტი კი არაფერი უნდა სოფლის მშებელობას:დ:დ:დ კანონებსაც ვირტუალურად მიიღებენ და როგორც ვანომ თქვა, სხდომების ჩატარება აღარ იქნება საჭიროოო

ამერიკელი პედაგოგების ფეისბუქში გარყვნილი ფოტოები თუ არ არის დანაშაული, ქართველი პედაგოგების პოლიტიკურად განსხვავებული აზრი რატომ ისჯება?!

დღეს, ამ ხელისუფლების მოშორებისთვის, გონება, ნიჭი და ლავირებაა საჭირო. ვადროვოთ ამ კაცს. არაა იმის ჩიტი, ვერ გაარკვიოს, ვინ ვინაა. დღემდე პოლიხრონიოს ძახილით დავყავდით ოპოზიციას. ხან სტადიონზე, ხან იპოდრომზე. პარლამენტთან ა. შ. ძალიან მინდა მოვესწრო კაცებს ხელისუფლებაში! დალაგებულ ქვეყანას! ტელევიზიას პოლიტიკის გარეშე და ქალებს რუსთაველზე!

# გარდატეხის ასაკის ნევროზი

გარდატეხის ასაკში ორგანიზმში მიმდინარე რთული ანატომიურ-ფუნქციური ცვლილებები ადეკვატურად მოზარდის ფსიქო-ემოციურ სფეროზეც აისახება. ამ ასაკში ისინი ყველაზე მწვავედ განიცდიან, როცა საკუთარი მისწრაფებები ჰარმონიულად ვერ ერწყმის რეალობას. დაუძლეველი წინააღმდეგობები მათში გარდატეხის ასაკის ნევროზის წინაპირობას ქმნის. ფსიქოემოციური ძვრები განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს დედისერთა ბავშვებში, რომლებიც აღმოაჩენენ, რომ ოჯახში ერთადერთნი და განუმეორებელნი მეგობართა შორის ასეთივე ადგილს ვერ იმკვიდრებენ.



### გარდატეხის ასაკში გვიტევს ასთენიური სინდრომი

ყველაზე ხშირად ეს ზოგადი სისუსტე, ანუ ასთენიური სინდრომია, რომელიც გონებრივი და ფიზიკური შრომისას მომატებულ დაღლილობაში, ფიზიკური და ფსიქიური დისკომფორტის მუდმივ შეგრძნებაში გამოიხატება.

მოზარდებს სრულიად უმიზეზოდ ხშირად და სწრაფად ეცვლებათ გუნება, ასე ვთქვათ, მტირალა განწყობილება უეფლებათ, უქვეითდებათ შრომის უნარი და ყურადღების კონცენტრაცია. ზოგი მეხსიერების დაქვეითებას უჩივის; შესაბამისად, კლებულობს სკოლაში აკადემიური მოსწრების დონე, რაც თვითდამკვიდრების მოსურნე მოზარდს კიდევ უფრო ურთულებს მდგომარეობას, მასში ბადებს პესიმიზმის, არასრულფასოვნების შეგრძნებას, ურთულებს თანატოლებთან და ახლობლებთან ურთიერთობებს.

### თავის ტკივილი

ბევრი მოზარდი უჩივის თავის ტკივილს, რომელიც მუდმივ ხასიათს ატარებს და გარემოზეა დამოკიდებული. იგი განსხვავებული ლოკალიზაციისაა: შუბლი, წარბი, კეფა, მთლიანად თავი. ტკივილი ხასიათის მიხედვით წნევითი, მოპულსირე და მქაჩავია.

### მომატებული მგრძნობელობა გარემო გამღიზიანებლებისადმი

მოზარდები ძნელად იტანენ ხმაურს, სკოლის ზარი უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს, ზედმეტ მგრძნობელობას ამჟღავნებენ სინათლის, სუნების, შეხებისადმი. ამ ფაქტორთა გავლენით არა მარტო თავის ტკივილი უძლიერდებათ, არამედ ოფლიანდებიან და სისხლძარღვოვანი რეაქციები უვითარდებათ.

### ძილის დარღვევა

ძილის დრო მოკლდება და იგი მშფოთვარე ხდება. ერთნი სწრაფად იძინებენ, მაგრამ მალევე იღვიძებენ და უძილობა აწუხებთ, მეორენი კი, პირიქით, ძნელად იძინებენ და გამოუძინებლები დგებიან. დღის პირველ ნახევარში მოთენთილები არიან და მხოლოდ მეორე ნახევარში ახერხებენ მობილიზებას. ბევრი მათგანი ძილში ლაპარაკობს, თუმცა გამოღვიძების შემდეგ არ ახსოვთ, რაზე საუბრობდნენ.

ხშირია ძილში სიარული, ზოგი მათგანი დგება, მაგიდაზე ნივთებს ალაგებს, ჩანთაში აწყობს, რთულ მოძრაობებს ასრულებს, ზოგიერთს აღენიშნება ღამით შარდის შეუკავებლობა, რაც განსაკუთრებით ამძიმებს ისედაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობას.

### გულ-სისხლძარღოვანი მოშლილობანი

გარდატეხის ასაკში ხშირია გულის არეში ტკივილი, არცთუ იშვიათად, აღმოცენებული ტკივილი მართლაც ემთხვევა ფუნქციურ ცვლილებებს გულის არეში — საყმაწვილო არითმიას, ხშირდება მაჯისცემა, გულში იმატებს ფუნქციური ხმაური, არტერიული წნევა ხშირად იცვლება... ყოველივე ეს იწვევს განგაშის შეგრძნებას და ქმნის იმის ნიადაგს, რომ მოზარდს სიკვდილის ან სხვა სახის ფობიები უჩნდება. ამ დროს მშობლები განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ და მოზარდის თანდასწრებით კატეგორიულად არ ისაუბრონ გულის დაავადებებზე და ამ მიზეზით გამოწვეულ სიკვდილზე.

### საჭმლის მომნელებელ სისტემაში აღმოცენებული ცვლილებები

ზოგჯერ თავს იჩენს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის სეკრეტორული და მოტორული ფუნქციის დარღვევები, რაც ვლინდება მუცლის არეში ტკივილით, მადის დაქვეითებით, დეფეკაციის დარღვევით. თავს იჩენს გარდატეხის ასაკის ანორექსია, რომელიც განსაკუთრებით ხშირია გოგონებში, ისინი თავს მსუქან და არასრულფასოვან ადამიანებად მიიჩნევენ და აბსოლუტურად უარს ამბობენ საკვებზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჭამა საერთოდ აღარ შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჭამის სურვილი აქვთ — ასეთებს სპეციალური მკურნალობა ესაჭიროებათ.

ნევროზის დროს ხელსაყრელი გარემოს შექმნით მოზარდები ყოველგვარი ჩარევის გარეშე გამოდიან მდგომარეობიდან, თუმცა გარდატეხის ასაკის დასრულების შემდეგ (18-20 წელი), თუ იგივე ცვლილებები შენარჩუნდება, აუცილებელია კვალიფიციური სამედიცინო ჩარევა.

### ისტერია და აკვიატებული აზრები

ზოგჯერ, ყურადღების მიქცევის მიზნით, მოზარდებში ხშირია ისტერიული შეტევები: ყვირიან განრისხებულნი, იხევენ ტანზე ტანსაცმელს, იგლეჯენ თმას, ამტვრევენ ჭურჭელს, იკბენენ ხელებს, იფურთხებიან, თავს ესხმიან სრულიად უდანაშაულოებს. შეტევის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მაყურებელთა რაოდენობასა და მათ რეაქციაზე — რაც მეტი მაყურებელია და თანაგრძნობას გრძნობს მათი მხრიდან, მით ხანგრძლივია შეტევა, რომლის შემდეგაც აღარ იძინებენ, იწყებენ ჩივილსა და მოთქმა-გოდებას.



შეტევისას ზოგიერთი რიტმულად განმეორებით მოძრაობებს ასრულებს, ისტერიული მოზარდებისთვის დამახასიათებელია დამბლები, კონტრაქტურები, მაგალითად, მათ შეუძლიათ საწოლში ფეხების მოძრაობა, მაგრამ ვერ დგებიან და ვერ დადიან. უჩნდებათ ვეგეტატიური მოშლილობანი — ბრონქოსპაზმი, რომლის დროსაც არ შეუძლიათ საუბარი, ყლაპვა, აქვთ კრუნჩხვითი ხველა, ისტერიული ღებინება, ჰაერის უკმარისობა, ასთმური შეტევები, სხეულის ტემპერატურის მატება და სხვა.

ირღვევა მეტყველება — ხშირია ენის ისტერიული ბორძიკი, რომელიც განსხვავდება სხვა ფორმებისგან, ისტერიული მუტიზმი — მეტყველების სრული უქონლობა ან ნაწილობრივი, მოზარდი მუნჯდება ან შერჩევითად საუბრობს.

ხშირია აკვიატებული აზრებით გამოწვეული პრობლემებიც, როდესაც მოზარდი აიჩემებს არარეალურ და აუსრულებელ სურვილს და მისი შეუსრულებლობა მასში უკვე დიდ ფსიქო-ემოციურ განცდას იწვევს.

გარდატეხის ასაკის ნევროზი ხშირად არასწორი აღზრდის შედეგია, მისი მასტიმულებლები ზოგჯერ თავად მოზრდილები კი არა, მშობლები, მასწავლებლები, ოჯახის სხვა წევრები არიან, რომლებიც უგულებელყოფენ მოზარდის თავისებურებებს და მათ ანგარიშს არ უწევენ. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი სწორედ ამ ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა ცოდნა და მათი გათვალისწინებაა.

# კატარაქტა — თვალის ჩინს საფრთხე ემუქრება

კატარაქტა — თვალის ბროლის სრული ან ნაწილობრივი შემღვრევა, მისი გამჭვირვალობის დაკარგვაა. კატარაქტისას თვალის ბროლი მონაცრისფრო, მონაცრისფროთეთრი ან რძისფერი ხდება.

რამდენიმე წლის წინათ იგი ძირითადად ხანდაზმულთა პათოლოგიად მიაჩნდათ; თუმცა, სამწუხაროდ, ოფთალმოლოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ასე აღარ არის — დღეს სულ უფრო ხშირია დაავადების შემთხვევები 35-40 წლის ადამიანებში.



### რა იწვევს ბროლის შემღვრევას

არსებობს დაავადების თანდაყოლილი და შეძენილი, პროგრესირებადი და არაპროგრესირებადი ფორმები.

თანდაყოლილი კატარაქტა ჩვეულებრივ არ პროგრესირებს.

მიზეზის მიხედვით, შეძენილი კატარაქტის ფორმები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

— ასაკობრივი — მოხუცებულთა კატარაქტა.

— ტრავმული — გამოწვეული როგორც კონტუზიით, ისე უშუალოდ თვალის კაკლის დაზიანებით;

— გართულებული კატარაქტები — თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ანთების, გლაუკომის, ბადურას პიგმენტური გადაგვარებისა და თვალის ზოგიერთი დაავადების შედეგად განვითარებული ფორმები.

— სხივური კატარაქტები სხივური ენერგიით ბროლის დაზიანების შედეგია — ინფრაწითელი, რენტგენისა და რადიაციული გამოსხივების, ეს ძირითადად პროფესიული დაავადებაა.

— ტოქსიკური — ამ ჯგუფს მიეკუთვნება წამლისმიერი კატარაქტა, რომელიცაშესაძლებელია ჩამოყალიბდეს კორტიკოსტეროიდების, ანტიმალარიული პრეპარატების ან სხვა მედიკამენტთა ხანგრძლივად მიღების შემდგომ.

— ორგანიზმის ზოგადი დაავადებებით გამოწვეული კატარაქტა, რომელიც ვითარდება შაქრიანი დიაბეტის, ჰიპოთირეოზის (ვითარდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების დეფიციტის შედეგად), თირკმლის დაავადებებისა და ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი დარღვევის ფონზე.

— დაავადებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მემკვიდრული ნიშან-თვისებებიც.

### როგორ ამოვიცნოთ დაავადება

პაციენტებს ჩვეულებრივ აწუხებთ მხედველობის დაქვეითება, რაც დამოკიდებულია ბროლის შემღვრევის ხარისხზე, ინტენსივობასა და ლოკალიზაციაზე.

ბროლის პერიფერიაზე შემღვრევისას მხედველობა თითქმის არ ზიანდება, თუმცა როდესაც იგი ცენტრშია ლოკალიზებული, ძლიერ აზიანებს მხედველობას, სრული შემღვრევისას კი მათ მხოლოდ სინათლის სიბნელისგან გარჩევის უნარიღა აქვთ.

თუ პაციენტი ვერ აღიქვამს სინათლეს და არ შეუძლია სინათლის წყაროს მიმართულების მითითება, სავარაუდოდ, მას თვალის სხვა დაზიანებებიც აქვს: გლაუკომა, ბადურის ჩამოფრცქვნა და სხვა. ამ შემთხვევაში კატარაქტის მკურნალობა ყოველთვის მხედველობის აღდგენით არ მთავრდება.

### როგორ მოვიქცეთ

კატარაქტის საწყის სტადიაზე მიზანშეწონილია კონსერვატიული მკურნალობა, რადგან ზოგიერთი ფორმისას შესაძლოა ბროლის შემღვრევა გაიწოვოს.

ანტიკატარაქტული პრეპარატები ჩვეულებრივ თვალის წვეთებია, რომლებსაც პაციენტები დღეში 3-5-ჯერ იწვეთებენ თვალში.

მათი დიდი ნაწილი შეიცავს ვიტამინების კომპლექსს, ბიოგენურ სტიმულატორებსა და არაორგანულ მარილებს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც დაავადება გართულებულია და მედიკამენტურ მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოაქვს, დახმარების ერთადერთ ეფექტიან საშუალებად მკურნალობის ქირურგიული მეთოდი რჩება.

უწინ შემღვრეული ბროლის ექსტრაქციამდე საჭირო იყო დალოდებოდნენ კატარაქტის სრულ მომწიფებას; დღეს თანამედროვე მეთოდები ოპერაციის ნებისმიერ სტადიაზე ჩატარების საშუალებას იძლევა.

პროგნოზისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორია ბადურისა და მხედველობის ნერვის ფუნქციური უნარი.

კატარაქტის ოპერაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირი თვალის ოპერაციაა, მის შემდგომ მართებულია რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება: საჭიროა ფიზიკური დატვირთვების შემცირება, სიმძიმეების აწევისგან თავის შეკავება.

ნაოპერაციებმა ადამიანებმა მზის ძლიერი გამოსხივებისა და სინათლის პირობებში დამცავი სათვალეები უნდა ატარონ.

კითხვა და ტელევიზორის ყურება რეკომენდებულია მხოლოდ დღის საათებში, სიბნელეში ამგვარი მოქმედებები იკრძალება.

ოპერაციათა 90-95 პროცენტი წარმატებით სრულდება. მის შემდგომ აღდგება მხედველობა და ადამიანი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

გვერდი მოამზადა
ზვიად ღონღაძე

# მსოფლიო პრესის მიხედვით

## biZina ivaniSvil ze finansuri wnexi grZel deba

**თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარი დაუჭირა სახელმწიფო აუდიტის მიმართვას და კომპანია „ბურჯი“ ოპოზიციონერი მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ მომსახურებისთვის 8 მილიონ 800 ათასი ლარით (5,2 მილიონი დოლარი) დააჯარიმა. დაყადებულია „ბურჯის“ ანგარიშები და ქონება.**

ოპოზიციაშიც და „ბურჯშიც“ პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკობენ, აგრეთვე იმის შესახებაც, რომ სახელმწიფო აუდიტმა კომპანიისგან მისთვის გადაცემული დოკუმენტები გააყალბა. ლაპარაკია სარემონტო სამუშაოებზე, რომლებიც არარსებულ ოფისებს ჩაუტარდათ.

სახელმწიფომ კომპანია დაადანაშაულა იმაშიც, რომ ოპოზიციას ავტოტრანსპორტი შემცირებულ ფასად შესთავაზა.




ოდნავ ადრე, ბიძინა ივანიშვილმა მსგავსი ბრალდების გამო უარი განაცხადა გადაეხადა უპრეცედენტო ჯარიმა – 45 მილიონი დოლარი, რის შემდეგაც დააყადაღეს და აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს მისი აქციები „ქართუ ჯგუფში“, „ბანკ ქართუსა“ და „პროგრესბანკში“.

გარდა ამისა, სახელმწიფომ დაიწყო იმ პარტიების ფინანსური დევნა, რომლებიც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შედიან.

შეგახსენებთ: გასულ კვირას, ორშაბათს, საქართველოს ხელისუფლებამ აუქციონზე გასაყიდად გაიტანა ოპოზიციონერი მილიარდერის ბიძინა ივანიშვილის 26 ივნისს დაყადაღებული აქციები – „ქართუ ჯგუფში“ (100 პროცენტი) და „პროგრესბანკში“ (21,7 პროცენტი). დაყადაღება მას შემდეგ გადაწყდა, რაც ოპოზიციის ლიდერმა უარი თქვა გადაეხადა 45 მილიონი დოლარი საპარლამენტო საარჩევნო კამპანიის დროს დაშვებული დარღვევებისთვის – თანამგზავრული ანტენების შეღავათიან ფასად დამონტაჟებით და ავტოტრანსპორტით სარგებლობისას აგრეთვე შეღავათიანი პირობებით ივანიშვილი თითქოსდა ამომრჩევლის მოსყიდვას ცდილობდა.

**vestikavkasa.ru**

## ruseTi asads samxedro daxmarebas uwyvets da reJims bedis anabarad tovebs

**რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნის ცნობით, რუსეთი სირიას აღარ გაუგზავნის სამხედრო მოწყობილობებსა და გამანადგურებლებს მანამდე, ვიდრე ქვეყანაში ვითარება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება, წერს The Independent. გამოცემა აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი ბაშარ ასადის რეჟიმზე წნეხს აამაღლებს.**

„დღესდღეობით, ეს ცნობა არის ყველაზე ძლიერი სიგნალი ძველი მოკავშირის მიმართ რუსეთის პოზიციის გასამკაცრებლად. იგი ძლიერ დარტყმას მიაყენებს სირიის პრეზიდენტს, რომელსაც ამ დღეებში კოფი ანანი შეხვდა და კრიზისიდან თავდაღწევის პოლიტიკურ ინიცია



ტივებზე იმსჯელეს“, – აღნიშნავს პოლიტოლოგი ლავდი მორისი.

რუსეთი იარაღის ერთ-ერთი უმსხვილესი მიმწოდებელია სირიისთვის და ამ სამხედრო შეიარაღების მიუწოდებლობამ შესაძლოა, გაწყვიტოს 4-მილიარდდოლარიანი მოქმედი კონტრაქტი, წერს გამოცემის კორესპონდენტი. ეს ნაბიჯი შეაჩერებს სირიაში ??-130-ის ტიპის ოთხი გამანადგურებლის გაგზავნას, რომელთა შესახებაც შეთანხმება შარშან, წლის მიწურულს დაიდო.

ამის შესახებ რუსეთის სამხედრო უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა საერთაშორისო ავიაკოსმოსური სალონის „ფარნბორო-2012“-ის მიმდინარეობისას განაცხადა და დასძინა – ვიდრე სირიაში მდგომარეობა არ დასტაბილურდება, იარაღის მიწოდება გამორიცხულია.

არსებობს სხვა ნიშნებიც იმისა, რომ მოსკოვი ასადის რეჟიმისგან დაშორიშორებას აპირებს: რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოსკოვში მოლაპარაკებები გამართა სირიის ოპოზიციის ლიდერ მიშელ კილოსთან და სხვა ოპოზიციური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრაზე კოფი ანანის გეგმის განხორციელებაზე იმსჯელეს.

**The Independent**

## antidasavluri reJimebis aliansi _ droebiTi TuurRvevi?

**რუსეთი კვლავაც განაგრძობს ბაშარ ასადის დახმარებას საშინაო და საგარეო ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც ქვეყნის პრეზიდენტის გადაყენება სურთ, წერს ფინანციალ თაიმს. „ეს არის სიმბოლო მოსკოვისა და დამასკოს ურთიერთობისა, რომელიც მართალია, ურღვევი არ არის, მაგრამ ავტორიტარული და ანტიდასავლური ორი რეჟიმის უტყუარი დროებითი ალიანსია“, – წერს გამოცემის მიმომხილველი.**

„სირიის რეჟიმისთვის რუსეთი არის მომხიბლველი მოდელი და იმავდროულად – გაფრთხილებაც. ერთი მხრივ, ამ მოდელმა მტკივნეული პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა იმით, რომ დიდი ზიანი არ მიუყენებია სახელისუფლებო ძალისთვის, მეორე მხრივ კი – საბჭოთა კავშირის დაქუცმაცება დამასკოს ხელისუფლებისთვის საფრთხის შემცველი სიმპტომია: ყველაფერი დაანგრიო იმისთვის, რომ შემდეგ აღადგინო, – აცხადებს სირიის მთავრობის წარმომადგენელი.

დასავლეთის ქვეყნები და მათი მოკავშირეები ცდილობდნენ, შეექმნათ გარდამავალი მთავრობა ასადის გარეშე, მაგრამ რუსეთმა ეს ინიციატივა დაბლოკა. ადრეც იყო შემთხვევები, როცა გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთმა ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება, აღეკვეთათ სირიის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებები. რუსული სამხედრო შეიარაღების ექსპორტი და სხვა სამხედრო მხარდაჭერა უდიდესი მნიშვნელობისაა ასადის რეჟიმისთვის. რუსეთის მთავარ საყრდენს წარმოადგენს საზღვაო ბაზა სირიაში – ქალაქ ტარტუსში. ურთიერთობის კიდევ ერთი საყრდენი ეკონომიკაა – რუსეთი სირიას უგზავნის ხორბალს, ხოლო სირიისგან ხილსა და ბოსტნეულს ყიდულობს.



დასავლეთის ბანკებმა გაწყვიტეს სირიასთან კავშირი, რუსეთის ფინანსური ინსტიტუტები კი – ÂÒÁ, Âí åø ýêî í î ì áàí ê, Ãàçï ðî ì áàí ê – სირიასთან ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. ასადის ოჯახის 40-წლიანი მმართველობისას, სამხედრო და სხვა დარგის ათასობით სირიელმა სპეციალისტმა განათლება რუსეთში მიიღო. არსებობს უამრავი შერეული ოჯახი. „რადგანაც რუსეთში ვსწავლობდი, ასე მგონია, რუსები ჩემი და-ძმები არიან“ – ასე მსჯელობს რუსეთმოვლილი რიგითი სირიელი.

„გასაკვირი არ არის, რომ ასადის მოწინააღმდეგეებს რუსეთის მიმართ სიმპათია სიძულვილში გადაეზარდათ – ოპოზიციონერები მოსკოვს მშვიდობიანო მოსახლეობის განადგურებაში ასადის საერთაშორისო თანამზრახველად განიხილავენ“, – ვკითხულობთ გამოცემაში.

**Financial Times**

## axa l i wigni: stal ini titom mokla

სლოვენიაში გამოიცა იოსიპ ბროზ ტიტოს ახალი ბიოგრაფია, რომლის ავტორიც ისტორიკოსი იოჟე პირჟევეცია. მისი აზრით, ინსულტი, რომელსაც სტალინის გარდაცვალება მოჰყვა, გამოიწვია იუგოსლავიელი ლიდერის მიერ დაქირავებულმა მკვლელმა. The Daily Beast ბეჭდავს რეცენზიას წიგნზე, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სლოვენიურ ენაზეა დაბეჭდილი და სავარაუდოდ მრავალ ენაზე ითარგმნება. ამ გამოცემას საფუძვლად უდევს იმ არქივების დოკუმენტები, რომლებიც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზეა განთავსებული.




1953 წლის 28 თებერვალს, ღამით სტალინმა აგარაკზე მიიწვია თავისი ახლობლები. შეხვედრამ დილამდე გასტანა. სტუმრები წავიდნენ (შემდგომში ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ბელადს ცუდად ყოფნისა არაფერი ეტყობოდა), სტალინმა კი, ვიდრე დაიძინებდა, მცველები დაითხოვა და უბრძანა, არ გაეღვიძებინათ. მის ოთხში შუქი საღამოს 18:30 საათზე აინთო, მაგრამ დაცვამ ღამის 10 საათამდე შესვლა ვერ გაბედა. სტალინი იწვა იატაკზე და მისივე საათის გატეხილი ციფერბლატით თუ ვიმსჯელებთ, იგი სწორედ 18:30 საათზე დაეცა.

ექიმები მაშინვე არ გამოუძახებიათ. ისტორიკოსთა უმრავლესობა ერთსულოვანია – ეს განგებ გააჭიანურეს. როცა ექიმები, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდნენ, საერთო ინსულტის დიაგნოზი დასვეს. სტალინი პარალიზებული იყო და მისი აგონია რამდენიმე დღეს გაგრძელდა, 5 მარტს კი გარდაიცვალა.

ცნობილია, რომ სტალინის ბრძანებით ტიტოს 22-ჯერ დაესხნენ თავს, მათ შორის „ძვირფასეულობისთვის განკუთვნილი ზარდახშითაც, რომლის გახსნისას ნერვულ-პარალიტიკური გაზი გამოდიოდა“. პირჟევეცის ხელთ არსებული ცნობებით, სტალინის გარდაცვალების დღეს, სხვა ქაღალდებს შორის აღმოაჩინეს ტიტოს წერილი – ამდენი მცდელობა არ დამჭირდება, ერთიც მეყოფაო. ისტორიკოსთა გარკვეულ ნაწილს სტალინის ბუნებრივი სიკვდილი ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ, რადგან ბელადს რამდენიმე მძიმე ინსულტი ჰქონდა გადატანილი.

გამოცემის კორესპონდენტი იხსენებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლენინი სწორედ სტალინმა მოწამლა. არსებობს სტალინის 1923 წლით დათარიღებული წერილი პოლიტბიუროს სახელზე, რომლის თანახმადაც, ლენინი ითხოვს, მისცენ კალიუმციანიდი, მაგრამ სტალინს, მისივე სიტყვებით, „ილიჩის თხოვნის შესასრულებლად ძალა არ ეყოფა“, და ამიტომაც „იძულებულია, უარი თქვას ამ მისიაზე, რაოდენ ჰუმანური და აუცილებელიც უნდა იყოს ეს“.

თუ ორივე ვერსია სწორია, მაშინ არსებობს „გარკვეული უზენაესი სამართლიანობა“, – ასეთია რეცენზენტის დასკვნა.

**The Daily Deast**

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

ჯემალ დავლიანიძე

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### ზვიად გამსახურდია, კავკასიური სახლი და რადიო „თავისუფლება"

ნუ ვიქნებით მიამიტები და ნუ ვიფიქრებთ, რომ რიჩარდ ნიქსონი დელეგაციასთან ერთად ტურისტული მიზნებით ჩამოვიდა საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს გახლდათ სპეციალური დავალებით ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების ჯგუფი, რომელსაც, გარდა ოფიციალურად გამოქვეყნებულ ინფორმაციაში გადმოცემული ამბებისა, სხვა მიზანიც გააჩნდა.

ოფიციალურად, ნიქსონმა აღნიშნა, რომ: „მას აქამდე არ ჰქონია საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. ამერიკაში ქართველი ხალხი ცნობილია თავისი ბრძოლისუნარიანობით. ჩვენი ვიზიტი არ არის ოფიციალური ხასიათის, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტის დავალებით ვართ ჩამოსული და გვევალება საქართველოს პოლიტიკური ვითარების მისთვის გაცნობა.

თქვენგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა დელეგაციების გაცვლას ინტენსიური ხასიათი მიეცეს, ურთიერთდამოკიდებულება საქართველოსთან იქნეს არა ისეთი, როგორც საბჭოთა კავშირთან იყო. ეს იქნება არსებითად ახალი სახის ურთიერთკავშირი. ამერიკის მხარე დიდად არის დაინტერესებული საქართველოსთან ურთიერთობით... ამერიკელი ხალხი და მთავრობა დიდ პატივს სცემენ ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას. ამერიკას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ყოველმა ხალხმა, მის მიერ არჩეულმა მთავრობამ თვითონ უნდა განაგოს თავიანთი ბედი" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №61, 1991 წ. 30 მარტი).

აი, სწორედ ეს გახლავთ ოფიციალურად ის, რაც რიჩარდ ნიქსონმა ხმამაღლა ბრძანა, მაგრამ... მაინც, რა ამბავი ჩაუტანა აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ამავე ამერიკის მოქმედ პრეზიდენტს?



ამ კითხვას მოგვიანებით ვუპასუხებთ.

ჯერ კიდევ 1990 წლის დეკემბერში ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა:

„- ბატონო ზვიად, შეიცვლება თუ არა ევროპის, მსოფლიოს ქვეყნების დამოკიდებულება სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი?"

ზვიადმა ამ კითხვას ამგვარი პასუხი გასცა:

„- დასავლეთში ჯერ-ჯერობით მხოლოდ დისკუსიაა ამ საკითხების ირგვლივ. ბუშს ჰყავს ოპოზიცია, რომელიც ეუბნება, - რატომ ხართ მჩაგვრელის მხარეზე? (საოცარია, რომ შვილი ბუშიც, რამდენიმე წლის შემდეგ, მამასავით „მჩაგვრელების" მხარეზე დადგა! — ჯ.დ.). მორალური ასპექტით აკრიტიკებენ ბუშსა და მის პოზიციას, მაგრამ ის თავისი პრაგმატული და პოლიტიკური მოსაზრებებით უპირისპირდება ყოველივე ამას. ჯერ-ჯერობით ასეა... თუ გაიმარჯვებს სწორედ ის ზნეობრივი მომენტი დასავლეთის პოლიტიკაში, რომელიც პრეზიდენტ რეიგანის დროს ბატონობდა და იყო წამყვანი, აი, მაშინ შეიძლება გადმოიხაროს სასწორი ჩვენს მხარეზე" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №11, 1990 წ., დეკემბერი).

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-25

აქვე აუცილებლობად ვთვლი გავიხსენო, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ზვიად გამსახურდიას საერ-თო კავკასიური სახლის მშენებლობისადმი. აი, ამონარიდი ზემოთმოყვანილი ინტერვიუდან:

„კორესპონდენტი: - ბატონო ზვიად, რამდენად რეალობად მიგაჩნიათ საერთო კავკასიური სახლის მშენებლობა?

ზვიად გამსახურდია: - ეს არის, მე ვთვლი, ძალიან ბუნდოვანი და არა საჭირო საუბარი. საერთო სახლზე რომ ვლაპარაკობთ, ჯერ ჩვენი საკუთარი სახლები უნდა გვქონდეს. უსახლკარო ადამიანები რომ შეიკრიბონ და ისაუბრონ რაღაც საერთო სახლზე, ეს არის უტოპია და ფანტაზია. ჯერ ყველას თავისი საკუთარი სახლი უნდა ჰქონდეს, ჯერ ვიფიქროთ ჩვენ-ჩვენ სახლებზე და ყველამ თავის სახლს მიხედოს".

უფრო საინტერესოა ზვიად გამსახურდიას პასუხები მომავალ სამხედრო გადატრიალების თაობაზე:

„ — ბატონო ზვიად, საქართველოს უზენაესმა საბჭომ შეაჩერა ბრძანება ჯარების და მილიციის ერ-თობლივი მოქმედების შესახებ, რა რეაქცია მოჰყვა ამას კრემლიდან?

-ჯერჯერობით არავითარი რეაქცია არ არის... ომის დაწყება კი მათ ჯერჯერობით ხელს არ აძლევთ, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების სრულ მხარდაჭერას არ გაინაღდებენ" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №24, 1991 წ. 5 თებერვალი).

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ზვიად გამსახურდია რადიო „თავისუფლების" შესახებ":

„ქართველი როგორ უნდა დაკნინდეს იმდენად, რომ მის ქვეყანაში ჩატარებული დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების შედეგები უცხოეთიდან ლანძღოს და მოსთხაროს? ამას არც ერთი ერი არ აკეთებს. მაგალითად, ასეთი მოღალატეები სომხეთში რომ აღმოჩნდნენ, სახალხოდ ჩამოახრჩობენ, ამდენი მოღალატე არც ერთ ერს არ ჰყავს... რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქცია საქართველოს მტრების ხელ-შია" (1991 წლის 2 თებერვალი, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების შეხვედრა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ზვიად გამსახურდიასთან. პრესკონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს „ფრანს პრესის" და გაზეთ „ტოკიო სინგუნის" წარმომადგენლებმა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №24, 1991 წ. 5 თებერვალი).

„მე რადიო „თავისუფლების" ქართულ განყოფილებას ვუცხადებ ბოიკოტს, ვინაიდან ის მოღალატურ საქმიანობას ეწევა. თქვენ პირადად კი გაგცემთ პასუხს (ამას ზვიადი ეუბნება რადიო „თავისუფლების" წარმომადგენელს გიორგი ფოფხაძეს! — ჯ.დ.), მაგრამ მოვითხოვ, რომ ჩემი სახელით არ გადაიცეს არაფერი რადიო „თავისუფლებაში", ვინაიდან ის მოღალატურ გზას ადგას" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №38, 1991 წ. 26 თებერვალი).

კორესპონდენტი: „ფაქტია, რომ დასავლეთის პრესაში საქართველოში მიმდინარე პროცესების გარშემო ჩამოყალიბდა სტერეოტიპი, რომ თითქოს არსებობს ორი უზარმაზარი დაპირისპირებული ძალა — უზენაესი საბჭო და ეროვნული კონგრესი, რომ მიმდინარეობს სამოქალაქო ომი (როგორც ხედავთ, ე.წ. დასავლეთში უკვე პირდაპირი დიდი მუშაობა მიმდინარეობს, თითქოს საქართველოში სამოქალაქო ომია გაჩაღებული, ჯერ კიდევ 1991 წლის მარტია და უკვე, მთელი მსოფლიოს ე.წ. წამყვანი ქვეყნები, ამზადებენ კანონიერი ხელისუფლების დამხობას. როგორც ვიცით, ჩანაფიქრი კიდეც განახორციელეს 1991-1992 წელს, როცა ეს შავი საქმე დაგვირგვინდა სამხედრო გადატრიალებით! — ჯ.დ.), და ეს სტერეოტიპი არაფრით არ განსხვავდება იმ დეზინფორმაციისაგან, რის გავრცელებასაც, მოსკოვი ცდილობს. რატომ არ დგანან დასავლელი ჟურნალისტები ჩვენი — ჩაგრული ერის მხარეზე?

ზვიად გამსახურდია: - „იმიტომ, რომ თვით დასავლელი სახელმწიფოების მთავრობები დგანან ამ პოზიციაზე, ისინი დღესდღეობით ფაქტობრივად მჩაგვრელთა მხარეზე არიან გარკვეული მიზეზების გამო". (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №49, 1991 წ. 13 მარტი, პრესკონფერენცია ქართველი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის).

კორესპონდენტი: -"გაერთიანებული ერების ორგანიზაციებიდან პასუხები ხომ არ მიგიღიათ თქვენ მიმართვებზე და პეტიციებზე?

ზვიად გამსახურდია: -"სამწუხაროდ, ჯერ არა. ჯერჯერობით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხოლოდ აზია-აფრიკის ქვეყნებისთვის არსებობს და არა საბჭოთა კავშირის დამონებული ხალხებისათვის. ჩვენთან კონტაქტებს ისე აფასებენ, როგორც საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში ჩარევას" (1991 წლის 10 აპრილის პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის).

### ზვიად გამსახურდია „ნატოს" შესახებ

ზვიად გამსახურდია ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა ნატოში საქართველოს გაწევრიანებას, რადგან იცოდა — ამ ორგანიზაციის გაფართოება აღმოსავლეთისაკენ აუცილებლად შეეჯახებოდა რუსეთის ინტერესებს. ისე, კაცი რომ დაფიქრდეს, - ევროამერიკა ხმამაღლა რომ გაიძახის — კავკასიაში და მთელ მსოფლიოში ჩვენი გეოსტრატეგიული ინტერესები გაგვაჩნიაო, რა, რუსეთს აღარ აქვს არავითარი სტრატეგიული ინტერესები? შე დალოცვილო, - ასეული კილომეტრის მანძილზე გსურს ხელი აფათურო სხვა ქვეყნების შინაურ თუ საგარეო პოლიტიკაში, სულ ასიოდე კილომეტრით დაცილებულ კავკასიის არეალში რუსეთს უკვე აღარც დაედგომება და ხმის ამოღების უფლებასაც ართმევენ?

რა თქმა უნდა, რუსეთი ჩინებულად ხედავს, რომ მის ირგვლივ — დასავლეთით, სამხრეთით, შუა აზიისკენ ნატო თანდათან ავიწროებს რკალს. უკრაინას და ბელორუსიას უპირებენ ნატოში გაწევრიანებას და უფრო მეტიც — სთავაზობენ რუსეთს, სხვები კი არა, შენც უნდა შემოხვიდე ნატოშიო.

1991 წლის 30 მაისს, ზვიად გამსახურდიამ ინტერვიუ მისცა თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი ცენტრალური გაზეთის „თურქიას" რედაქტორს ევროპის დეპარტამენტის ხაზით, ბილალ ქოჩაკს:

კითხვა: - „ნატოს წევრობას თუ ფიქრობთ?"

პასუხი: - „ჯერ ეს არ გადაგვიწყვეტია. მომავალი გვიჩვენებს".

„- როგორ დაიცავს თავს საქართველო?

-ფორმირების პროცესშია ქართული ჯარი. ჩვენ გვინდა სამხედრო, მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მეზობელ ქვეყნებთან" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №112, 1991 წლის 7 ივნისი).

როგორც ინტერვიუდან ჩანს, ზვიად გამსახურდია ნატოში შესვლას მომავლის თემად თვლის, ხოლო ქართული ჯარის ფორმირებისათვის „მეზობელი ქვეყნების" იმედი აქვს. ამერიკა და ევროპა მეზობლები არ არიან. ესე იგი, ორი ქვეყანაა საგულისხმო — რუსეთი ან თურქეთი!

ნატოს თაობაზე ზვიად გამსახურდიას 1991 წლის 3 ივლისს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე დაუსვეს კითხვა:

„ — ამბობენ, რომ საქართველო ნატოში შესვლას აპირებსო, მართალია ეს?"

ზვიად გამსახურდიამ კითხვაზე ძალიან მოკლედ უპასუხა:

„ — ეს სასაცილოა".

1991 წელს ჟურნალისტმა ვ. სავიჩევმა (გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი" №55) საუბრისას ზვიად გამსახურდიას ჰკითხა:

„— თქვენზე ამბობენ, ღრმად მორწმუნე კაციაო. რას შესთხოვთ ღმერთს ლოცვისას?"

ზვიად გამსახურდიამ უპასუხა:

„— ამას წინათ, დასავლეთის ერთმა გაზეთმა წარწერიანად დაბეჭდა ფოტო, სადაც მე თითქოს არჩევნებში ჩემი გამარჯვებისათვის ვლოცულობდი. ჩემი პირადი წარმატებისათვის არასოდეს არ ვლოცულობ. ვლოცულობ კაცობრიობისათვის, ჩემი ხალხისათვის".

როგორც ვხედავთ, ევროამერიკამ უკვე იცის, რომ ზვიად გამსახურდია აპირებს ყველასგან დამოუკიდებული კურსით ატაროს საქართველო... ესე იგი, — ფრთხილად ეკიდება ნატოში გაწევრიანებას, იცის, ეს ძალიან გააბრაზებს რუსეთს... რადგან უკვე იციან ზვიად გამსახურდიას მომავალი გზა, ამიტომაც წაუყრუეს, საქართველოზე ხელი აიღეს და ის, რაც მათ გულში ჰქონდათ, რუსეთის ფედერაციას მიანდეს საკეთებლად.

ძალიან მომგებიანი პოზიცია დაიკავეს — ადრე თუ გვიან რუსეთის ფედერაციაში მოკალათებული, ევროამერიკული გეგმის საიდუმლოდ განმახორციელებლები მოახერხებდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დისკრედიტაციას, შემდეგ კი დამხობას, რაც გარეგნულად რუსეთს დაბრალდებოდა... სინამდვილეში — თავიანთი ზრახვებიც აღსრულდებოდა!

მაშასადამე — რუსეთი გაილანძღებოდა მსოფლიოს თვალში, რადგან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა პირდაპირ რუსეთის სინდისზე იქნებოდა!

ალბათ ამიტომ იყო, რომ 1991 წლის ნოემბერში გაზეთ „გრუზია-სპექტრის" მთავარ რედაქტორთან საუბარში, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა:

„ — რა თქმა უნდა, ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობა, უბრალოდ არ ხდება. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს... სამწუხაროდ ისეა აწყობილი საქმე ჯერჯერობით, რომ დასავლეთის ქვეყნები შეჰყურებენ მოსკოვს, თუ როდის გვცნობს იგი დამოუკიდებლად. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, სომხეთი რომ ახლავე არ ცნო შეერთებულმა შტატებმა. ასე იქნება საქართველოს მიმართაც. ამიტომ არ მივდივარ ვაშინგტონში. მე იქ ჩავალ მაშინ, როცა დავინახავ, რომ დასავლეთი დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს...

რექდაქტორი: ჩვენი ოპოზიცია ლაპარაკობს, საქართველოს დასავლეთი არ სცნობს იმის გამო, რომ ჩვენში...

ზვიად გამსახურდია: დიქტატურააო, არა?

— დიახ!

ზვიად გამსახურდია: დასავლეთი არ სცნობს უკრაინას, მოლდოვას, სომხეთს... მაშ იქაც დიქტატურა ყოფილა. არა, ეს არ არის სიმართლე. დასავლეთი არ ცნობს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ ეს არ უნდა მოსკოვს.

რედაქტორი: მაგრამ დასავლეთმა უკვე დაიწყო ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ცნობა, რატომ?

ზვიად გამსახურდია: ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საკითხებში მათ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, დანარჩენი რესპუბლიკების შესახებ კი მათ შორის სხვანაირი მოლაპარაკებაა. ესე იგი, საქმე გვაქვს მოლაპარაკებასთან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ასე რომ, ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის მიზეზით ვითომდა ჩვენი არცნობა აბსურდული, პოლიტიკურად უმეცრულია" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" №223, 1991 წ., 27 ნოემბერი).

ამავე საკითხებზე საუბრობს ზვიად გამსახურდია ცენტრალური ტელევიზიის ჟურნალისტთან ურმას ოტთან:

„ — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მშვენიერი საქართველო რაღაც იზოლაციაშია საბჭოთა კავშირის მხრივ და გასაკვირია, დასავლეთის მხრივაც".

-ეს გასაკვირი არ არის. დასავლეთი საბჭოთა კავშირს და რუსეთს შეჰყურებს.

-თქვენ ეს წინასწარ იცით, თუ სიურპრიზია თქვენთვის?

-მართალი გითხრათ, სიურპრიზია. არ მეგონა, რომ დასავლეთი ამდენად დამოკიდებულია აღმოსავლეთზე და დასავლეთის საზოგადოებრივ აზრს აქედან მართავენ. არ მოველოდი ასეთ რამეს.

-როგორ გგონიათ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის არსებობა შეწყდა, დასავლეთი შეიცვლის თავის თვალსაზრისს საქართველოზე თუ არა?

-ჯერჯერობით არ ჩანს, და არა მგონია, რომ ეს ასე სწრაფად მოხდეს.

-თქვენ საკმაოდ ცუდი დამოკიდებულება გაქვთ დასავლეთის ლიდერებთან?

-დიახ, ეს მათი ბრალია, რადგან ისინი არ არიან დაინტერესებული იმპერიის დაშლით. ეს ხომ ცნობილია. ჩემი სახით კი ისინი ხედავენ კაცს, რომელიც იმპერიის დეზინტეგრაციის მომხრეა.

-ვისი იმედი გაქვთ, თქვენი ძალების, თუ მაინც გაქვთ დასავლეთის თუ აღმოსავლეთის რაღაც იმედი?

-უმთავრესად საკუთარი ძალების" (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა",

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

№249-250, 1991 წლის 21 დეკემბერი).

როგორც ხედავთ, წინამდებარე ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1991 წლის 21 დეკემბრის ნომერში.

ძვირფასო მკითხველო, ეს გახლავთ იმ ავბედითი სამხედრო გადატრიალების დაწყების წინა დღე — 21 დეკემბერი. 22 დეკემბერს, გამთენიისას საქართველოს დედაქალაქში, მთავრობის სახლისკენ პირველი ტყვია გავარდა და კრიმინალების ხროვამ შეუტია კანონიერ ხელისუფლებას.

### ზვიად გამსახურდია: „დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად"

ახლა გადავხედოთ სამხედრო პუტჩის შემდგომ პრესას. მაგალითად ავიღოთ გაზეთი „საქართველოს ცის ქვეშ" (1992 წ. 14 ნოემბერი). ძალიან საინტერესოა სამხედრო პუტჩის შეფასება ზვიად გამსახურდიას მიერ. მას ესაუბრება კორესპონდენტი:

„-რით აიხსნება დასავლური დემოკრატიის ესოდენი გულგრილობა სახელმწიფოს კანონიერი ხელმძღვანელის ბედისადმი?

-მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში დიდი ხანია განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა, ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შენიღბვად. როცა ამ მთავრობებს სურთ გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად, ცდილობენ მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი, დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები უკვე აღარ ცდილობენ შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად, ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ ეს მოხდა საქართველო-ში.

-ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?

-კაცობრიობის მტრებს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს. პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით, ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან აშშ სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით. ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისკენ საქართველოს ბანდიტურ ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებშიც.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## saWesTan mjdarma mixeil saakaSvilma kaci rom gaitana, amaze informacia badri patarkaciSvils hqonda da amis Sesaxeb erTma misma axlobelma politikosmac icis...

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #29

„თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა „საერთო გაზეთთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტად წოდებულ მიხეილ სააკაშვილს შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მძღოლის „რანგში" კაცი ჰყავს მოკლული, თუმცა შევარდნაძის ძალისხმევით ეს საქმე ჩაიფარცხა. სააკაშვილის მაგივრად მისი მძღოლი დაუსჯიათ. ამ ავტოავარიის შესახებ ინფორმირებული ყოფილა ბადრი პატარკაციშვილიც. ბატონ ბადრის სააკაშვილის საწინააღმდეგო სხვა კომპრომატებიც ჰქონია, მათ შორის ფოთის პორტში გადარიცხულ მილიონებთან დაკავშირებით და ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში იმ პერიოდში მასთან დაახლოებული ვალერი გელბახიანიც ყოფილა. ჩვენი წყაროს განცხადებით, ვალერი გელბახიანს საგაზეთო ინტერვიუში უთქვამს, რომ თითქოს ტრაგიკულ ავტოავარიასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებაში 2 მილიონი გადაიხადა. „საერთო გაზეთი" ვალერი გელბახიანს დაუკავშირდა და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა, მაგრამ მან ინტერვიუზე უარი გვითხრა, იმ მოტივით, რომ ეს კულუარული ინფორმაციებია, დადასტურებული არ არის, იურისტი ვარ და ამიტომ დაუზუსტებელ ინფორმაციებზე ვერ ვილაპარაკებო. რაც შეეხება ინფორმაციაში ფულის გადახდას, მან ეს კატეგორიულად უარყო, ჯერ ერთი, სად მქონდა ამდენი ფული, თანაც ასეთი რამ გაზეთით არასდროს მითქვამსო.

ახლა რაც შეეხება მსხვერპლიან ავტოავარიას, სანდო წყაროს ინფორმაციით, ის კობა ნარჩემაშვილის შს მინისტრობისას მოხდა წერეთლის გამზირზე, გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე. იმ პერიოდში სააკაშვილი, სავარაუდოდ, საკრებულოს თავმჯდომარე იყო. იგი, თურმე, არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა შავი ფერის „ვოლგას". რა დროსაც ფეხით მოსიარულეს, დაახლოებით 45-50 წლის მამაკაცს დაეჯახა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მამაკაცი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე გასულ პოლიციელებს გვარიანად მთვრალი სააკაშვილი დახვედრიათ. ე.წ. დიდი რეფორმატორის დანახვაზე პოლიციელები დაბნეულან, აღარ იცოდნენ გაეფორმებინათ თუ არა ენატლიკინა დემოკრატიისა და სამართლიანობის დიდი დამცველი, რომელიც მაშინდელ პოლიციას მოსისხლე მტრად აღიქვამდა, ამიტომ შსს-ს ხელმძღვანელობას დაკავშირებიან, როგორ მოვიქცეთო. ხელმძღვანელობამ მათ მოცდა სთხოვა, ცოტა ხანში კი უთხრეს: სააკაშვილს ნუ დააფიქსირებთ, მისი მძღოლი მოვა და ეს შეჯახება მასზე გააფორმეთო. როგორც ჩანს, შეთანხმება პრეზიდენტ შევარდნაძესთან მოხდა, რომელმაც საციხედ არ გაწირა პოლიტიკური შვილობილი და „პერსპექტიული" პოლიტიკოსი. მისი მძღოლი ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მისულა ადგილზე, რომელიც თურმე ამბობდა, რამდენჯერ ვთხოვე სააკაშვილს, მთვრალი ნუ ჯდები საჭესთან, მაგრამ არ დამიჯერაო. მოკლედ, ამ ავტოავარიაში დამნაშავედ სააკაშვილის მძღოლი გამოაცხადეს, თუმცა დიდი ხნით არ დაუკავებიათ, 2-3 თვეში გაუთავისუფლებიათ. გარდაცვლილის ოჯახმა თურმე დღემდე არ იცის, მათი ოჯახის უფროსი სააკაშვილმა რომ შეიწირა. სხვათა შორის, ამ ავტოავარიის შესახებ მე თვითონაც მქონდა ინფორმაცია გამოქვეყნებული ერთ-ერთ გაზეთში, თუმცა მეც სულ ახლახან გავიგე, ვინ იყო რეალური დამნაშავე. დარწმუნებული ვარ, ასეთი დანაშაული რომელიმე არარეფორმატორ პოლიტიკოსს ან იმ მაღალჩინოსანს, მით უმეტეს ძალოვანს რომ ჩაედინა, რომელიც ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მხარდამჭერად არ განიხილებოდა, „რეფორმატორები" ქვეყანას დააქცევდნენ, ნახეთ, შევარდნაძე თავის ხელქვეითებს როგორ იცავსო. თემურ შაშიაშვილის თქმით, ის მაღალჩინოსანი პოლიციელი, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით სრულად იყო საქმის კურსში, დღესაც შსს-ს სისტემაში მუშაობს. „საერთო გაზეთმა" ამ პიროვნების ვინაობაც გაარკვია, ის ამ ავტოავარიის დროს მართლაც მუშაობდა თბილისის საგზაო პოლიციის იმ სამსახურში, რომელიც უშუალოდ კურირებდა ავტოავარიების საკითხს. ეს ადამიანი, მიუხედავად ასაკისა, მოგეხსენებათ, სააკაშვილს 40 წელზე მეტი ხნის ხეც კი არ უნდა, დღესაც მუშაობს თბილისის პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. როგორც ჩანს, „ვარდოსნებმა" პირში წყლის ჩაგუბება დაუფასეს. „უდანაშაულობის პრეზუმფციიდან" გამომდინარე, ამ პიროვნების დასახელებისგან თავს შევიკავებთ.

სხვათა შორის, სარწმუნო წყაროს თქმით, ვალერი გელბახიანმა მართლაც შესთავაზა ინფორმაციის მიმწოდებლებს თანხა, მაგრამ მათ უარი თქვეს, მხოლოდ ის უთქვამთ, იმ თანამშრომელს აჩუქეთ მცირე თანხა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ საქმის მოკვლევაში. იგი „ვარდოსნებმა" სამსახურიდან დაითხოვეს და ძალზე უჭირსო, მაგრამ იმ ადამიანს არაფერი მიუღია. ამ ინფორმაციის გადამოწმება კი იმ მარტივი მიზეზით ვერ მოვახერხეთ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვალერი გელბახიანმა ჩვენთან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ამ საქმესთან დაკავშირებით, საქმის კურსში სრულად მყოფი ადამიანები, ანუ „პირველი ხელი" თავისი ვინაობის გამხელას არ მოერიდებოდა, მაგრამ მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეგნებულად ვიკავებ თავს მათი ვინაობის გამხელისგან.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ პრეზიდენტ სააკაშვილის ესკორტი გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ათი წლის ბავშვს დაეჯახა. კორტეჟმა გაუჩერებლად გააგრძელა გზა. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ფაქტის შესახებაც დაიბეჭდა პრესაში, თუმცა ვერ გეტყვით, გადარჩა თუ არა ბავშვი, რადგან მისმა ოჯახმა პრესასთან ამ ფაქტზე საუბარი არ ისურვა. ასეთი ფაქტები დარწმუნებული ვართ, მრავლად იქნება, ოღონდ დაზარალებულთა დაშინების გამო არ ხმაურდება. ვინ არის დამნაშავე ამ ინციდენტში, უნდა გაჩერებულიყო თუ არა პრეზიდენტის ესკორტი მსგავსი ფაქტებისას, ამის გარკვევა „საერთო გაზეთმა" იმ ყოფილ პოლიციელებთან სცადა, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ პრეზიდენტ შევარდნაძის გაცილება-ესკორტირების სამსახურში და გარკვეული პერიოდი სააკაშვილსაც ემსახურებოდნენ. მათ იმ ფაქტის გახსენებაც ვთხოვეთ, როგორ მოუვიდა კონფლიქტი იუსტიციის მინისტრის მოადგილე ირაკლი ოქრუაშვილს ხსენებული სამსახურის თანამშრომლებთან. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, კახეთში მომხდარ ავტოავარიაში პროფესიონალმა პოლიციელებმა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულეს და რატომ — პრეზიდენტის კორტეჟი სანამ რაიმე მიმართულებით დაიწყებს გადაადგილებას, გზის ამ მონაკვეთზე წინასწარ ჯგუფს უშვებენ მოსაწესრიგებლად. ამოწმებენ საეჭვო ავტომანქანებს, საერთოდაცდ გაჰყავთ ავტოტრანსპორტი ამ მონაკვეთიდან და ა.შ. ამას ჰქვია „ტრასის გაწყობა". ეს ჯგუფი და სხვა შესაბამისი სამსახურები განსაკუთრებული გულისყურით იმ მონაკვეთებზე მუშაობენ, სადაც ბევრი ფეხით მოსიარული მოძრაობს, მათ უმეტეს ბავშვები. განსაკუთრებული პატრულირება სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან ხდება, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძის მმართველობისას ასე იყო, რადგან პრეზიდენტის ესკორტი ძალზე დიდი სიჩქარით გადაადგილდება. ამ სიჩქარესაც თავისი ახსნა აქვს, პრეზიდენტის კორტეჟი რთული სამიზნე უნდა იყოს, ტერაქტები თავიდან რომ აიცილონ. ავტომანქანებით მოძრავი ჯგუფის გარდა, ხსენებულ მონაკვეთზე ქვეითი გუშაგებიც დგანან, ფეხით მოსიარულეების მოძრაობა რომ დაარეგულირონ. პროფესიონალთა თქმით, შესაძლებელია, კახეთში ამ კუთხით გზა მოწესრიგებული არ იყო, რაც რბილად რომ ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილის არაორდინალურობას უკავშირდება. ყოფილა შემთხვევები, რომ „ლაგუნა ვერედან" ის კანცელარიაში უნდა წასულიყო, გზაც ამ მიმართულებით გაუწყვიათ, სააკაშვილს კი მარშრუტი უცებ შეუცვლია და კანცელარიის მაგივრად, მცხეთის სალობიეში ამოუყვია თავი. ცხადია, ამ შემთხვევაში ესკორტის თანამშრომლები გზის გაწყობას ვერ მოასწრებდნენ, რითაც სააკაშვილი საფრთხეს მარტო საკუთარ თავს კი არა, რიგით მოქალაქეებსაც უქმნიდა და ალბათ, კვლავაც უქმნის. კორტეჟის გაჩერება გამორიცხულია და შემთხვევით სავალ ნაწილზე აღმოჩენილ ადამიანს თუ ავტომანქანას დიდი სიჩქარით მიმავალი უზარმაზარი ესკორტი გადათელავს. კორტეჟი მხოლოდ პრეზიდენტის უშუალო მოთხოვნით შეიძლება გაჩერდეს, მისი დაცვის უფროსს ეს არ შეუძლია. სანამ პრეზიდენტის ინაუგურაცია მოხდება, იგი თურმე ფიცს აძლევს თავისი დაცვის თანამშრომლებს, რომ დაემორჩილება მათ, ანუ სპეციალისტების მოთხოვნებს. ჩვენი რესპონდენტები დარწმუნებული არიან, რომ სააკაშვილის შემთხვევაში ეს არ ხდება და დაცვის უფროსს არაფერს ეკითხებიან. დაცვა ხმას ვერც ამოიღებს, რადგან წინააღდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული სამსახური დაკარგონ. ასე რომ, ასაფეთქებლად გამზადებული ბომბივით დაჰქრის სააკაშვილი თავისი მრავალრიცხოვანი კორტეჟით საქართველოს გზებზე და არავინ იცის, როდის ვის შეიწირავს.

**მანანა სუხიშვილი**



მოგზაურობა სამშობლოში

# legendebi buRaze da wvirmelebze

## ადიშის თემი




ადიშის ხედით ტკბობა თუ გინდათ, ან გამთენიისას უნდა დახედოთ ზევიდან ან მიმწუხრისას, როცა ამომავალი თუ ჩამავალი მზე კოშკებს შუქ-ჩრდილებით ამეტყველებს და იდუმალებას მხოლოდ მდინარის ხმა არღვევს. ვზივარ მაცხოვრის ტაძართან მხცოვან ადამიანებთან ბავჩი ქალდანთან და გიუნტერ ავალიანთან ერთად და ჩამავალი მზით ნაფერ სურათს დავცქერი. ქვევით, თემშარაზე ჩვენი მასპინძელი ტარზან ქალდანი გამოჩნდა — ცხენები მოჰყავს ხვალინდელი მოგზაურობისთვის.

ბავჩი და გიუნტერი ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი ლეგენდის თხრობაში.

**— ადიში დიდი თემი იყო, განა მარტო ეს, სადაც ახლა ვართ. ზევით კიდევ ოთხი სოფელი ყოფილა. ერთს, ზედ ადიშის მყინვარის ძირში რომ იყო, წვირმი რქმევია.**

— წვირმი ხომ ქვევითაა, იფართან ახლოს, — ბოდიშის მოხდით ვაწყვეტინებ თხრობას.

**— დიახ, ის არის, მაგრამ ადრე, უფრო ძველი წვირმი აქ ყოფილა. ამ წვირმელებს დიდძალი პირუტყვი ჰყოლიათ და თურმე საუკეთესო ყველი ამოჰყავდათ. ერთხელ უთქვამთ, აბა, ვნახოთ ვისი ყველი უკეთესიაო, გამოუტანიათ საუკეთესო თავები, ერთმანეთის უკან ჩაუმწკრივებიათ და შორიდან სროლა დაუწყიათ. ვისი ყველის მწკრივშიც ტყვია ბოლომდე ვერ გაატანდა, გამარჯვებული ის იქნებოდა. თოფის ხმაზე ადიშის მყინვარი მოწყვეტილა და სოფელი მთლიანად დაუმარხავს. გადარჩენილა მხოლოდ ერთი ყმაწვილი, რომელსაც ამჟამინდელ წვირმში მცხოვრები გოგო შეჰყვარებია. მშობლებს ქალიშვილის განადგურებულ სოფელში გათხოვებაზე უარი უთქვამთ, ვაჟს კი თურმე ასეთი პირობა წაუყენებია: მე მხოლოდ მაშინ დაგთანხმდებით ჩასიძებაზე, თუ თქვენს სოფელს ჩემი სოფლის სახელს დაარქმევთო. აი, ასე გაქრა ერთი წვირმი და გაჩნდა მეორე წვირმი,** — დაასრულეს თხრობა მოხუცებმა, მაგრამ მე მაინც არ ვუსვენებ.

— ხვალ რომ ზევით წავალთ, ძველი სოფლების ნანგრევების ნახვა თუ შეგვეძლება?

**— შეგეძლებათ, — ამბობს ბავჩი ქალდანი, — ოღონდ სხვა ნასოფლარისა. მასთან ახლოს არის ეკლესია, რომელსაც ქუდოსანი წმინდა გიორგი ჰქვია. ეკლესიის ზევით დიდი ლოდებით შემოვლებული მინდორია, ბულას კარვები ჰქვია. ბულა კაცი იყო, გვარად ჩეგიანი. ბულა, ამიტომ ერქვა, რომ დიდი, ღონიერი ვაჟკაცი ყოფილა და შეძლებითაც ვერავინ სჯობდა. ამბობენ, ყველა სვანს ის პატრონობდაო.**



„ლიჩანიშის“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხედები ღვატებით.

**ეჰ, სხვანაირი იყო ეს ხეობა ადრე, 12 გვარის ხალხი ცხოვრობდა.**

... მეორე დილა გათენდა. ჯოყოლა ჩეგიანს, ოპერატორ სოზარ გულბანსა და მე ტარზან ქალდანი გვიწევს მეგზურობას. ცხენებით მივდივართ. ადიშიდან აღმოსავლეთით, მდინარის სათავეებისკენ მივუყვებით ხეობას. ვეფხვს ჰგავს ადიშჭალა, ზოგან ისეთია, რომ შეგზარავს, ზვირთი ზვირთზე გადასდის და ღრიალებს. ჩრდილოეთიდან თეთნულდის ქათქათა კონუსი შემოგვცქერის, პირდაპირ ხალდეს მყინვარის ნაწილი და რუსთაველის პიკი ჩანს — ლურჯი ფერი გადაჰკრავთ. ყოველ 100-200 ნაბიჯზე ფერდობიდან ნაკადულები ჩამორბიან და ადიშჭალას უერთდებიან. ცხენები ფრუტუნით მიდიან და თავის აშვებას ლამობენ. **„ჯგრაგ ლიჩანიშს“** მივადექით. ეს X-XI საუკუნეების წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა, რომელსაც „ქუდოსან წმინდა გიორგისაც“ უწოდებენ. ტაძარი, უფრო სწორედ მისი ძირითადი და ძველი დარბაზი, რომელიც შირიმის კარგად გათლილი კვადრებითაა ნაგები, მოცულობით ადიშის „მაცხოვარს“



(6,55X5,2 მ) კი ჩამორჩება, მაგრამ „ქაშვეთისა“ და „თარინგზელის“ თანატოლია (4,9X4,2 მ). ტაძარი რომ გარედანაც იყო მოხატული, ამას აღმოსავლეთის ფრონტონის ქვები მოწმობს. გვიან ხანებში, ტაძრისთვის ზერელე მონაშენები მიუდგამთ. **თუ ადიშის სამხრეთ უბანში მდგარი „ქაშვეთის წმინდა გიორგი“ მახლობლად მდებარე ვერილარის მთებში არჩვებზე სანადიროდ მიმავალი ვაჟკაცების სალოცავი იყო, „ჯგრაგ ლიჩანიში“ თეთნულდისაკენ ჯიხვებზე მიმავალ მონადირეებს ულოცავდა ხოლმე გზას.** ამიტომაც არის, რომ „ჯგრაგ ლიჩანიშის“ კარებზე ერთავად ჯიხვის რქებია მიმაგრებული. როგორც ვთქვით, ამ ეკლესიას მეორენაირად „ქუდოსანი წმინდა გიორგი“ ჰქვია. „ლიჩანიშობა“ ძველი სვანური დღესასწაულია და სწორედ ქუდოსნობას, ანუ ოჯახში ვაჟიშვილის შეძენას ეხმაურება. სვანეთში ბიჭი რომ გაჩნდება, იტყვიან ოჯახს ქუდოსანი, ანუ ქუდის დამხური შეემატაო. „ჯგრაგ ლიჩანიშის“ მორღვეულ კოშკზე მიყუდებული უზარმაზარი ფიჭვისა და ნაძვის ღვატები (ჭოკები), რომელთა სიმაღლე 4-დან 6 მეტრამდე მერყეობს, სწორედ დღესასწაულ „ლიჩანიშობას“ გვახსენებს. ეს დღესასწაული აგვისტოში „კვირიკობის“ შემდეგ, იმართება. **აქ მოსული მლოცველ-მავედრებლების ერთი ნაწილი ოჯახში ვაჟიშვილის შეძენას შესთხოვს მთავარმოწამეს, მეორე ნაწილი, რომელსაც წმინდა გიორგიმ წინა „ლიჩანიშობაზე“ შეუსმინა და ქუდოსანი გაუჩინა, ღვატებით მოდის. ღვატებს წვერში სხვადასხვა ფერის ალმები აქვს მიმაგრებული. სანახაობა ერთობ თვალისმომჭრელია და მასში არის რაღაც წარმართული.**

აი, ასეთი საინტერესო და ბურუსით მოსილი დღესასწაულია „ლიჩანიშობა“, რომელსაც ადიშის ეს ეკლესია მასპინძლობს. მაგრამ ჩვენ ახლა სხვა რამ უფრო გვაინტერესებს — ტაძრის ინტერიერში შემონახული გრაფიტი, ანუ ძველი ნაკაწრი წარწერა. და მართლაც, დარბაზის ჩრდილოეთ კედლის ნალესობის შუა ადგილას, წმ. თევდორეს ფრესკაზე, იატაკის დონიდან 170 სმ. ის სიმაღლეზე, გაჭირვებით იკითხება გარდამავალი მხედრულით შესრულებული მოკლე წარწერა: „წ(მიდა)ო თ(ევდორე-)ე, შ(ეიწყალ)ე ჩეგი“. ფრესკასა და წარწერას ტ.შევიაკოვა და ვ.სილოგავა XI საუკუნის პირველი მეოთხედით ათარიღებენ (იხ.კრებული „სვანეთი“ 2008 წ.გვ.260 და საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“ ტ.XXVIII №3, 1961 გვ. 384).

აი, ეს ჩეგი შეიძლება ჩაითვალოს ერისთავ ჩეგიანების გვარის ეპონიმად და ფუძემდებლად. სხვათა შორის, ლეგენდარული ბულა ჩეგიანის ნასახლარი, როგორც უკვე ავღნიშნეთ აქედან შორს აღარაა.

როგორც ირკვევა, ჩეგიანთა ერთ შტოს სხვადასხვა დროს გვარის ფორმა შეუცვლია და როჩაგიანები, რუჩეგიანები და რიჩგვანები გამხდარან, რაც, ვფიქრობ, სამოქალაქო წერილობით ძეგლებში დაშვებული შეცდომების შედეგი უნდა იყოს (სავარაუდოდ, (როსტომ ჩეგიანი II როჩეგიანი; რუსტამ ჩეგიანი II რუჩეგიანი, ან რეჯებ ჩეგიანი II რეჩეგიანი და სხვა). XIII-XIV საუკუნეთა ერთ „დაწერილში“ ნახსენებია გიორგი როჩაგიანი, რომელიც თავის ოჯახს ლაჰილის მთხეისის მთავარანგელოზს ავედრებს. ამის შემდეგ ჩეგიანები პირველობას გელოვანებს უთმობენ ერთხანს. 1503 წელს შედგენილ საბუთში „წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სისხლის გადახდაზე“ ისინი, დადეშკელიანებთან ერთად, ეცერში, ანუ ბალსქვემო სვანეთში ჩანან. ჩეგიანთა გვარს როჩეგიანების, რუჩეგიანების, და რუჩეგიფხეს ფორმით ვხვდებით XVI, XVII, XVIII საუკუნეთა საბუთებში (იხ. „სვანეთის წერილობითი ძეგლები ტ.I) და ბოლოს, ცნობილია, ხალდეს აჯანყების ერთ-ერთი მოთავე მომი ჩეგიანი, რომელზეც ერთ-ერთი წინა მოგზაურობისას ვისაუბრეთ.

ხალდე, რომელიც შემდგომში ჩეგიანთა გვიანდელი სამოსახლო სოფელი გახდა, ადიშიდან სამხრეთით, ხალდეჭალის ხეობაშია და ზაფხულში ფეხით გადასვლა შეიძლება, მაგრამ ჩვენ ლეგენდების მხარეს აქ, ადიშჭალის სათავეებში, ვემშვიდობებით.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

ჯოყოლა ჩეგიანი და წერილის ავტორი ადიშჭალის სათავეებში



ადიშის ერთ-ერთი ნასოფლარი; ჩეგის გრაფიტი „ლიჩანიშში“; ჯიხვის რქები ეკლესიის წინკარში.







# saidan gaaCinos gamqrali adamiani mama-Svilma, romlebsac Caudenelis `danaSaulis~ gamo 24 da 26 weli aqvT misjili?

*საქართველოს ციხეებში რომ მნიშვნელოვან რიცხვს მიაღწია უსაფუძვლოდ გამომწყვდეულ ადამიანთა რიცხვმა, არავისთვისაა სიახლე, თუმცა, როდესაც მშობელს ჯანმრთელობის პრობლემის მქონე შვილს მიაყოლებენ მძევლის სახით და წლობით თავისუფლების ალკვეთას მიუსჯიან ორივეს, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. საუბარია ჯიმშერ ჩაჩიბაიასა და ჯიმშერ ელიზბარაშვილზე, რომელთა საქმე სახალხო დამცველის მოხსენებაშიც მოხვდა.*

*რას ედავებიან 2010 წლის 10 ოქტომბერს დაკავებულ მამა-შვილს – 2007 წელს შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლის, გიორგი სოლომონიას მამა ოლეგ სოლომონია. ოჯახმა რამდენიმე დღეში ინტერნეტით მიიღო შეტყობინება, რომ თუ მამის დაბრუნება უნდოდათ, გადასახდელი იყო 25 000 – ვალუტა არ სახელდებოდა.*

*ამავე საქმეში ფიგურირებს მათივე ნათესავი თემურ ხარაიშვილი, რომელმაც ოჯახს გამოართვა 3000 დოლარი, მკითხავის საფასური, რომელიც მათ აპოვნინებდა გაუჩინარებულს, შემდეგ უკვე 25 000 დოლარი მოითხოვა. ხსენებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმე დღემდე არ აღძრულა, სასჯელს მამა, პროფესიით ექიმი, ჯიმშერ ჩაჩიბაია და II ჯგუფის ინვალიდად ცნობილი, დიაბეტით დაავადებული, ინსულინდამოკიდებული ჯიმშერ ელიზბარაშვილი იხდიან. მოტივი – 1996 წელს უთანხმოება მოსვლიათ გაუჩინარებულსა და ჯიმშერ ჩაჩიბაიას, რაც ამ უკანასკნელის ბიზნესის ჩავარდნასთან იყო დაკავშირებული და შურისძიების მიზნით 11 წლის შემდეგ „გააქრო“ სოლომონია. „რომელი გრაფ მონტე-კრისტო ჯიმშერია?“ – უკვირთ ოჯახის წევრებსა და მათ ახლობლებს, რომლებიც, საკუთარი ოჯახის უსაფრთხოებიდან გამომდინარე ღიად გამოჩენას ერიდებიან.*



– ჯიმშერი და ოლეგი იცნობდნენ ერთმანეთს. იმ დროს სოლომონიას ავია-ხაზი ჰქონდა სენაკიდან რუსეთის მიმართულებით და რადგან ჯიმშერ ჩაჩიბაიას ბიზნესიდან გამომდინარე კავშირი ჰქონდა რუსეთთან, ამ მხრივ ჰქონდათ ურთიერთობა – ამ დონეზე იყო მათი ნაცნობობა თუ ახლობლობა. რაც შეეხება შვილს, ჯიმშერ ელიზბარაშვილს, იგი მხოლოდ მძევალია სამართალდამცავების ხელში, რათა მამაზე მოხდეს ავადმყოფი შვილით ზეწოლა და აღიაროს ბრალი.

**– შვილი რა დანაშაულისთვის იხდის სასჯელს, როგორც თანამზრახველი?**

– დიახ, როგორც თანამონაწილე, მაგრამ ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. ჯერ წარუდგინეს ბრალი მოტაცებაზე, გამოძალვაზე, ჩაუდეს ნარკოტიკი, ჩაუდეს ტყვიებიც... მამა-შვილი ერთად ცხოვრობდნენ მეტრო „დელისთან“, ჯერ დააკავეს მამა, რომელიც მანქანასთან იდგა და შემდეგ კრიმინალური პოლიცია მიადგა შვილს, ალბათ, ათი კაცი იქნებოდა, სასტიკად სცემეს, დაუდეს ნარკოტიკი და ავტომატის მჭიდი რამდენიმე ვაზნით. რამდენად ლოგიკურია, კაცმა პოლიციას კარი გაუღოს ჯიბეში „რაჟოკით?“ უამრავი ნიუანსია, რომელი ერთი გითხრათ – თითის ანაბეჭდები არაა აღებული, არც ერთი ე.წ ნივთმტკიცებიდან; როდესაც სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა, არც ერთს არ ჰქონდა სისხლში ნარკოტიკული ნივთიერება – ელემენტარულად, დიაბეტიანი ადამიანი ნარკომანი ვერ იქნებოდა...

**– ინტერნეტით გაუგზავნეს გამოსასყიდის მოთხოვნაო, გამგზავნის სავარაუდო მისამართის დადგენა მარტივადაა შესაძლებელი IP მისამართით, სამი წლის განმავლობაში ვერ დაადგინეს ვინ გაუგზავნა?**

– რეალურად არაფერი არ დგინდება და ვერც მტკიცდება. გამოძალვის მოთხოვნა იგზავნებოდა ინტერნეტ-კაფედან და მოწმეები სამი წლის შემდეგ „იხსენებენ“ კონკრეტულ დროს იქ შესულ მამაკაცს, ჯიმშერ ჩაჩიბაიას, თუმცა, საათნახევრის განმავლობაში ფიზიკურად აბსოლუტურად განსხვავებულს. ასაკს, გარუჯვას და ჭაღარას ამ ხნის განმავლობაში ვერ გადაიკეთებ, ხომ? ანდა, სამი წლის წინ რამდენი უცნობი შეგხვდათ, აღიდგენთ მათ გარეგნობას და ამოიცნობთ? – ასე შეკერეს საქმე.

**– არსი?**

– ვითომ გახსნილი საქმე.

**– დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლის მდგომარეობით, ორივე დაკავებული პირის გარეგნული დათვალიერების ოქმის (№021110 და №021111) ჩანაწერი ვნახე, სადაც დაფიქსირებული ფაქტია, რომ ნაცემები მიიყვანეს. სამი წელია სასჯელს იხდიან და მიუხედავად ფიზიკური და ფსიქოლოგიური წნეხისა, დღემდე არ აღიარებენ დანაშაულს – კაი გაძლება მისცეთ ღმერთმა!**

– დაკავებისას სასტიკად სცემეს ორივე და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ ორივეს, თუ არ აღიარებდნენ დანაშაულს. მუშტებისა და წიხლებით ცემის გარდა, გამომძიებელმა ბადრი დარბაიძემ პისტოლეტის ტარიც ჩაარტყა შუბლში ჩაჩიბაიას. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორება გაგრძელდა შსს-შიც, სადაც, ფანჯრიდან გადაგდებისა და გაუპატიურების მუქარა არ აღსრულებულა, მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკით ტარიელ ალავიძე გამოირჩეოდა. იცით, რომ პროკურორმა ურჩია ელიზბარაშვილს, რომ უარყოთ პოლიციელების ჩადენილი კანონდარღვევები, რათა უარყოფითად არ ასახულიყო საპროცესო შეთანხმებაზე. რომ სცემდნენ და აწამებდნენ, ცხადია, ინსულინს არ გაუკეთებდნენ, კინაღამ გარდაიცვალა 30 წლის კაცი... ამ საქმის შესახებ ცნობილია ევროკავშირის ადამიანთა წამების წინააღმდეგ არსებული კომიტეტისთვის, რომელმაც ციხეში გააგზავნა თავისი დელეგაცია.

**– რამდენი წელი აქვთ მისჯილი.**

– შეკრებითობის პრინციპით, ქალაქის სასამართლომ ორივეს მიუსაჯა 30 და 32 წელი,

**– რატომ მიივიწყეს საპროცესო გარიგება, ამის გამო ხომ პოლიციელთა მიერ ჩადენილი ე.წ კანონდარღვევები უარყვეს ბრალდებულებმა?**

– გეტყვით, რა სახის გარიგებას სთავაზობდნენ, ის კი არა, არამედ, თქვი, რომ შენი ჩადენილია დანაშაული, ცოცხალია თუ მკვდარი, გვაჩვენე სადაც არის სოლომონია და შენ მოგისჯით 6 წელს, შენ შვილს კი, პირობითს მივუსჯით და დარბაზიდან გავუშვებთო. ნორმალური ადამიანი, თუ მართლა მისი გაკეთებული იქნებოდა ეს საქმე, ხომ აღიარებდა, მაგრამ მისი გაკეთებული არ არის და როგორ აჩვენოს გამქრალი კაცი?

საქმემ გადაინაცვლა სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სასამართლოში და ამის შემდეგ მოიხსნა გამოძალვის მუხლი, უზენაესმა სასამართლომ 6-6 წელი მოუკლო და 24 და 26 წელი დაუტოვა.

დანარჩენი უცვლელად დარჩა.

**– მოსამართლისა და პროკურორის ვინაობა თუ გახსოვთ? ერთი წუთით, თუ თანხის გამოძალვა მოიხსნა, ადამიანის გატაცება როგორღა დარჩა?**

– აი, ასეა. კომპიუტერით გამოძალვის წერილის გაგზავნაზე ცრუ-მოწმეების სახით ვიღაცები მაინც არიან და რაღაც სისულელეები კი დადეს, მაგრამ სოლომონიას გატაცებასთან დაკავშირებით ესეც არ არის. პროკურორი იყო ფრანგ (ფრანკო) ანყოსი და საქმე მიყავდა თენგიზ ხარებავას. რაც შეეხება მოსამართლეებს – ოოო! – როგორც „სიმართლის მკვლელები“, ცნობილი მოსამართლეები არიან, ისინი, რომელთა შესახებ ბეჭდურ მედიაში იწერება. ქალაქის სასამართლოში იყო მარინე ცერცვაძე (მასზე ჯერ არ წერია), სააპელაციო სასამართლოში სხდომის თავმჯდომარე იყო მზია ლომთათიძე, მოსამართლე – გიორგი ჩემია, ხოლო წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა ვაჟა ფუხაშვილმა, ხოლო საკასაციო განაჩენს ხელს აწერს თავმჯდომარე მაია ოშხარელი. უამრავი მოთხოვნა იყო დაწერილი ბრალდებულების მხრიდან, პროკურატურის, პარლამენტის, თვით პრეზიდენტის სახელზე, რომ მათ წამებაზე ჩატარებულიყო სამედიცინო ექსპერტიზა, მაგრამ ფუხაშვილმა არ დართო ნება – რად გინდა, ყურს არავინ იბერტყავს... სისხლის სამართლის საქმე კი აღიძრა ანტიკორუფციულ დეპარტამენტში ვითომ, მაგრამ აღძრეს და დარჩა მხოლოდ აღძრული...

**– დღეის მდგომარეობით რა ხდება.**

– უზენაეს სასამართლოში 6 წელი მოუხსნეს მამას, ვითომ სოლომონიას გამტაცებელს, 6 წელი შვილს, რომელსაც დარჩა 26 წელი, რადგან მას თითქოს ჯიბეში ტყვიები ჰქონდა.

**– როგორც ვხედავ, ყველა ინსტანცია მოგივლიათ, სტრასბურგი დაგრჩათ. ექვსი თვე ვადა გაქვთ, არ ფიქრობთ, რომ თუ სტრასბურგში გადაწყვეტთ საქმის გასაჩივრებას, ახლიდან დაიწყება დაპატიმრებულ მამა-შვილზე ზეწოლა?**

– ალბათ, მაგრამ საიდან გააჩინონ გამქრალი კაცი. ერთი დღით უკანონოდ თავისუფლების ალკვეთაა დამთრგუნველი და 24-26 წელი საპყრობილეში ყოფნა როგორი გასაძლებია 57 წლის ასაკოვანი კაცისა და მისი 32 წლის დიაბეტიანი შვილისთვის?

**მაია ჭელიძე**

# facebook

# xalxis azriT

ზუსტად ორმოცი წლის წინ, ვანოსავით უბრალო "ჯიბეებგამოფხეკილი სოფლელი" კომკავშირელი ბიჭის, ედუარდ ამბროსევიჩის კარიერაც ზუსტად ესე დაიწყო ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძის საბჭოთა საქართველოში – შინაგან საქმეთა მინისტრობით: "ნეგატიურ მოვლენებს" ებრძოდა გმირულად, თან - საკვირველი დამთხვევაა, მაგრამ ვანოსავით ზუსტად შვიდი წელი 1965 – 1972 წლებში ( ვანო 2005-2012 წელი), ორივემ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციასა და კრიმინალურ სამყაროს... უნდა ითქვას, რომ ედუარდით მაშინ ზუსტად ისევე იყო აღფრთოვანებული სოციალისტური საქრთველო, როგორც დღევანდელი გაკულაკებული საქართველოა ვანოთი აღფრთოვანებული.

მემარჯვენე ლიბერტარიანობიდან- მემარცხენე მაოიზმ-ვანოიზმამდე... ისე ნეტა მემარჯვენეობის დედები და ბიცოლები გუშინ სინგაპურს რო მიშენებდნენ საქართველოში და მემარცხენეებს დედის მონახულებით ემუქრებოდნენ, რას იზავენ ახლა, შეიცვლიან ფერს ბუხრის ხვლიკივით, თუუუ ვანოს დაუწყებენ გინებას?

გოდაბრელიძის მიხედვით სულ 6%-ით ყოფილა შესამცირებელი უმუშევრობა და ეს პრობლემა დაძლეული იქნება. ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს, აფერისტებო. ჩემს სამას კაციან ეზოში 299 ადამიანი არსად მუშაობს და მხოლოდ ერთი კაცია თვითდასაქმებული - ანძრევს! :-)

ხალხო!!! აი ამ ორმა მანიაკმა უნდა დააჩოქოს საქართველო? აი ამ ორი სადისტი ძმის და მათი მამის იმედი აქვს მიშას? აი ამათზე ხუჭავენ თვალს ჩვენი "მეგობარი" ენდიაი, აირაი და სხვა საერთაშორიო ორგანიზაციები? გამეცინა, როდესაც თქვეს, ვანო ახალაიებთან დაპირისპირებული არისო? რა მოკლე მეხსიერება გაქვთ, ხალხო!!! ამ ორი ძმიდან ერთმა, დათამ, ძლევამოსილი ვანოს ცოლის, ვინმე თაკოიე სალაყაიას ბრძანებით, სანდრო გირგვლიანი მოაკვლევინა!!! დაგავიწყდათ? მეტი სიახლოვე რაღა გინდათ? ესენი ერთმანეთზე დანაშაულებრივი ჯაჭვით არიან გადაბმულნი. ეს ჯაჭვი ჩვენ უნდა გავწყვიტოთ!!!

დაპირებებზე არ ძუნწობენ რა... ამდენის გაკეთება თუ შეეძლოთ, ამდენი ხანი რას აკეთებდნენ? ამათ ისე გამოსდით, თითქოს აქამდე უცხოპლანეტელები იყვნენ ქვეყნის სათავეში და ესენი ეხლა მოვიდნენ... მართლაც რომ საზღვარი აღარ აქვს უტიფრობას....

1 300 000 ქართველს ლეგალურად აქვს დატოვებული ქვეყანა (არალეგალურები ცალკე იანგარიშეთ). 900 000 ქართველი უმწეობის დახმარებას იღებს (არასრულ 30 ლარს). კიდევ 600 000 უარი უთხრეს ამ დახმარებაზე,300 000 ბანკროტია და ბანეკბის შავ სიაშია; 151 514 ოჯახს საცხოვრებელი ბინა ჩამოართვა აღსრულების ბიურომ; რამდენი შენობა ნაგებობა და საწარმო გადავიდა უცხო ქვეყნის ხელში თქვენ დათვალეთ. ყოველდღიურად გადასახადების გაძვირებით ბოლო ლუკმას აცლიან პირიდან ხალხს. გაჩუქებულ ტერიტორიებზე აღარაფერს ვამბობ...

ბატონო ბასს, ვიცი მყავხართ მეგობრებში და რომ არ გითხრათ ეს აქედან, არ შემიძლია. თქვენი 3 წლიანი მოღვაწეობა, სამწუხაროდ, იყო სამარცხვინო, რომლითაც თქვენ არა მარტო თავზე გადაახტით და გააუპატიურეთ დედმოკრატია, არამედ გაამყარეთ ერთი კრიმინალების ბანდა და ახლა იმის ნაცვლად, რომ მოახდინოთ ამ ყველაფრის პრევენცია და წახვიდეთ საქართველოდან ღირსეულად, ორჯერ მეტად ულირსად იქცევით, რომ არც კი საუბრობთ სიმართლეს და ქვეყანას დემოკრატიის აკვანს უწოდებთ მხოლოდ მცირე კრიტიკით. ასე რომ 3 წელი ნამდვილად დაკარგეთ და თქვენი კარიერის პროგრესიდან რეგრესში გადახვედით.



50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ქალბატონი ნინო სიხარულიძე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ნინო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ ჩინებულ წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 50 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1977 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „ჩვენი თაობა". მას შემდეგ თქვენი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „მარადიული კარნავალი", „შორს", „ირიბი ბლუზი" ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. ამ ინტერესს კი, უპირველეს ყოვლისა, ის განაპირობებს, რომ



ფიქრიანი პოეტი ხართ, ტკივილებითა და სევდითაა გაჯერებული თქვენი ლექსები, თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ხომ უნიჩბო ნავივით ეხეთქება ავ დედინაცვლად ქცეულ ცხოვრების ნაპირს და არაქათგამოცლილი საკუთარი თავის პოვნას, სულის გადარჩენას ლამობს; წარსული ჯიბეში ნაპოვნი ხურდასავით ახსენებს თავს და მოსვენებას არ აძლევს; ცხოვრობს გაგიჟებიდან გაგიჟებამდე, ღამისთევიდან ღამისთევამდე და თუ რამ აძლებინებს ამ დაწყევლილ წუთისოფელში, ის აძლებინებს, რომ ლექსი მისთვის ათას-

# ნინო სიხარულიძე - 50

ჯერ დალეწილი სხეულის ფრთებს წარმოადგენს, ესმის სულის ულრანებიდან ვულკანივით ამოტყორცნილი ლექსის სუნთქვა. იმ დაუწერელი ლექსების ჭირისუფალიცაა, რომლებიც ნუგეშად და სალბუნად უნდა მოვლენოდნენ საწუთროს და ჩვენამდე ვერ მიაღწიეს; სიყვარულისთვის და ბედნიერებისთვის გაჩენილს ვერ გაუგია, რას ერჩიან, გახურებული, გავარვარებული შანთით რატომ უდაღავენ სულსა თუ სხეულს; ქართველია, თხემით ტერფამდე ქართველი და ტკივა მისი სამშობლო, — ცოდვის კალოდ ქცეული საქართველო...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თაარგმნილია უცხოურ ენებზე.

ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ცისკრის" ლიტმუშაკად, „საქტელეფილმის" სასცენარო განყოფილების რედაქტორად, გაზეთ „მესამე ნაპირის" ჟურნალისტად, ჟურნალ „ელიტა-ნიუსის" კორესპონდენტად, ხელოვნების ცენტრ „არტ-ჰოლის" პრეს-ჯგუფის პედაგოგად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ჟურნალისტიკის კათედრის ლექტორად, რადიო „უნივერსის" რედაქტორად, საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის ლექტორად და ჟურნალ „სდასუს" რედაქტორად. ყველა თანამდებობაზე მუშაობისას მუდამ საქმის სიყვარული, პროფესიონალიზმი, კოლეგიალობა, საოცარი სითბო, სინაზე და კდემამოსილება გამოგარჩევდათ.

ჩვენო ნინო!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, მშვენიერ პოეტსა და მოქალაქეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

## ზამთრისპირული

ცხოვრება, რომელიც სიცოცხლეს არა ჰგავს,
სიცოცხლე, რომელსაც არ ჰქვია ცხოვრება, —
წუთობით, წამობით, დარობით, ავდრობით
მიქრება, მიცხრება და მიიზმორება.
ისეთი ზანტია, ისეთი ბლანტია,
ერთ ლექსად არ მიღირს, თუ ვინმე მენდობა,
ამაოდ მოვისხი დედოფლის მანტია,
არ ამცდა ხუნდები და დროის მხევლობა.
ის თეთრი ვარდები, ჩემთვის რომ აგროვე,
ის ჩუმი დარდები, სხვა რომ ვერ ამჩნევდა
ჩადნა და ჩაინთქა უხიაკ ჭორებში,
ეს წუთისოფელი ფეტვად რომ აბნევდა.
რა დარჩა? რა დამრჩა? ლანდებთან ლაციცი,
გაცრეცილ ოცნების ამოქვითინება,
გადარჩა ფარფატა ფანტელი?
არ ვიცი,
არ ვიცი, განგებამ რაგვარად ინება.
და სანამ გულს ბოლო იმედი დატოვებს,
გულო, სანამ შენ წილ სამსალას შესვამდე,
მითხარი, ზამთრისპირს ვინ გამიაპრილებს
ვინღა მიმაცილებს იმ ბოლო ლექსამდე?!

# ras erCiT sulxan-sabas?

ახლახან „საბას" პრემიის ნომინანტთა სია გამოქვეყნდა. ნომინანტი, სპორტის ენაზე თუ ვიტყვით, ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის ავტორი ნახევარფინალში გასულა. ამ ნახევარფინალისტთა შორის ცნობილ ქართველ მწერლებთან ერთად ამოვიკითხე რამდენიმე ისეთი „მწერლის" გვარიც, რომელთაც საზოგადოებას თავი გააცნეს, როგორც დედმამის, სამშობლოს, წარსულის, რწმენის, ადამიანური ღირებულებების მაგინებელმა „ეპატაჟისტებმა". მაგ: აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი ბურჭულაძე, შამუგია ნახევარფინალშია. ამათ კიდევ ერთი ეპატაჟისტი ვინმე გიორგი მაისურაძე დამატებია. დამატებიათო, ვამბობ, რადგან ამ უკანასკნელის მწერლობის შესახებ, „ჩემდა სამარცხვინოდ", დღემდე არაფერი ვუწყოდი. ჩავხედე მის „ელექტრონულ შემოქმედებას" და თმა ყალყზე დამიდგა.



„მწერალს" სძულს სამშობლო, მისი წარსული, თანამედროვე ზნეობრივი ავტორიტეტები, ბუნებრივი სექსუალური ორიენტაციის ადამიანები. მე ვერ ვაკადრებ მკითხველს მისი ფრაზების ციტირებას — ჩახედოს მის გვერდს ინტერნეტში და რამდენიმე გამაოგნებელ კითხვაზე იპოვის კიდევ უფრო გამაოგნებელ პასუხებს. მაგალითად, საიდან მოდის ფრთიანი გამოთქმა — მგლის თავზე სახარებას კითხულობენო? არც მეტი, არც ნაკლები, იქიდან, რომ ვახტანგ გორგასალს თურმე ჰქონდა ორი თავი, ერთი ადამიანის და მეორე მგლის. გორგასალს რომ სახარების კითხვით ვერაფერი გააგებინეს, აი, აქედან.

ა, კაცი, გორგასალიც მარტივად აბურთავა და „დიდებული" ეტიმოლოგიური წიაღსვლაც შემოგვთავაზა.

**მისი აზრით, ილია ჭავჭავაძეს დროდადრო აწუხებდა შუასაუკუნეობრივი ბნელეთის აზრები,** რატომ? იმიტომ რომ ილია ქართველ დედას მოუწოდებს, შვილი აღზარდოს მამულისათვის მსხვერპლგაღების მზაობით. აკი, მისმა დისშვილმა კოტე აფხაზმა დახვრეტის წინ ჯალათებს შესძახა კიდეც — ბედნიერი ვარ, რომ საქართველოსთვის ვკვდებიო. ასეთი „რამე-რუმეები" პატ. მაისურაძეს ნერვებს უშლის. სასაცილოდ არ ჰყოფნის წარსული გმირების, გორგასლიდან მოყოლებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩათვლით, დიდება. ახლა ამათი დემითოლოგიზაცია უნდა ვქნაო (ერთადერთი, ვისზეც ენის მოჩლექით ლაპარაკობს, არის ედუარდ შევარდნაძე)

ეს, ლიბერალი ვარო, გაიძახის, ის კი, ვთქვათ, ფილიპე მახარაძე, ბოლშევიკი იყო, ამათ შორის ერთი დიდი რამ საერთო ვნახე: **ორივეს ერთნაირად სძულს წარსული, სამშობლოს ცნება, სარწმუნოება. პატრიოტიზმი, მაისურაძის მტკიცებით, პროვინციალიზმის ერთი უბადრუკი გამოვლინებაა.**

სარწმუნოება მისთვის შუა საუკუნეების ბნელეთის გადმონაშთია, ამ ბნელეთის სახე კი ახლანდელი, მისი აზრით, ფუნდამენტალისტი პატრიარქი **ილია მეორე** გახლავთ. ხოლო **„საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია თავადაა ყოველგვარი სულიერებისა და სულიერი კულტურის მთავარი მოძულე"** (იხ. მისი წერილი „მართლმადიდებლობა, როგორც ქართველი ლიბერალების უკანასკნელი თავშესაფარი".

ამაზე მეტ ჭკუანაღრძობ აზრებსაც ამოიკითხავთ მის „შემოქმედებაში", რასაც ახლა მოფერებით ეპატაჟს ეძახიან. კერძოდ, **ქართველი მამაკაცები წარსულში ერთიანად მამათმავლები ყოფილან**. მაისურაძე „უსაბუთოდ" არაფერს წერს. აი, „საბუთიც". რატომ გაშიშვლდა და წაისვა თაფლი ცოტნე დადიანმა? მაისურაძის აზრით, ცოტნეს ამ საქციელიდან ჩანს, რომ ეს ჩვენი წინაპრების წესი იყო, რათა შემდეგ ერთმანეთისთვის შიშველი სხეული ელოკათ. რა ჩამოთვლის კიდევ უამრავ სისაძაგლეს მისი ეპატაჟებიდან. სადღაც ლევან ბრეგაძემ დაწერა: ყველა ადამიანს აქვს უფლება, იყოს შერეკილი. დააარსონ შერეკილების გაზეთი და, რაც უნდათ, ის ბეჭდონ იქო. ასევე ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ავადმყოფური აზრები, მაგრამ რა დააშავა საქართველოსთვის ტანჯულმა სულხან-საბა ორბელიანმა, რომ მისი სახელობის პრემიით დავასაჩუქროთ ეს ავადმყოფები? რატომ ვაფურთხებთ საფლავში დიდ საბას? ამ სამშობლოს უარმყოფელებისთვის დააწესეთ, ბატონებო, ფილიპე მახარაძის ან სერგო ორჯონიკიძის სახელობის პრემიები და ჩამოურიგეთ, რამდენიც გნებავთ. ვინ მამაძაღლი ამოიღებს ხმას, მაგრამ საბა ცოდვაა, ცოდვა.

**P.S. ნეტავ, იმ მწერლების გვარებიც გამოქვეყნებულიყო, ამათ რომ აჯობეს და ნახევარფინალში გავიდნენ. ამათზე უარესი, ნეტავ, რა დაწერეს?**

**ციცი გურიელი**

**ყველაფერი ზემოთქმული მკითხველს დაუჯერებლად რომ არ ეჩვენოს, გთავაზობთ ორ ამონარიდს მაისურაძის და ბურჭულაძის შემოქმედებიდან, დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს...**

გიორგი მაისურაძე: **„რობოტების ყვავილები"**

ქართველები, თუმცა გადაეჩვივნენ ადამიანის ხორცით კვებას, მაგრამ თაფლში შეკმაზულ ყმაწვილთა შეჭამადი მაინც დაილექა მათ ხსოვნაში და ამ ტკბილი გემოს მოსაგონრად საუკუნეების შემდეგაც კი სრულდებოდა თაფლცხების რიტუალები, რომელიც „ცოტნაობის" სახელით იყო ცნობილი. ამ ძირძველი დღესასწაულის დროს ყმაწვილკაცები შიშველ სხეულზე თაფლს იცხებდნენ და მერე ერთმანეთს ლოკავდნენ, სანამ XIII საუკუნეში მონღოლებმა საბოლოოდ არ აღკვეთეს ფუტკრის ნაჟურთან ეგზომ მწყრალი მოპყრობა, როდესაც ქართველი ერისთავები მონღოლთა ყაენს დედიშობილა და თაფლწასმულები შეეგებნენ და იმდენხანს იკოტრიალეს დარცხვენილი ყაენის კარვის წინ, სანამ ზოოპარკიდან დამშეული დათვები არ გამოცვივდნენ და ენაგადმოგდებულნი ტანმომწონე ქართველ დიდებულებს არ დაერივნენ. ამ უბედურ შემთხვევას სამეგრელოს ჭაბუკი ერისთავის სიცოცხლეც კი შეეწირა, რომელიც მშიერ მონღოლ დათვს შემოეხრამუნა. ერისთავის სახელი უცნობია, მაგრამ ადამიანთა ხსოვნაში მას „ცოტნე დათვიანი" ეწოდა, დროთა განმავლობაში კი „ცოტნე დადიანად" გადაკეთდა. ამდენად, სახელი „ცოტნე" ქართველთა უძველეს ლტოლვას თაფლისა და მისით საკუთარი ტანის დაზელვა-ალოკვისაკენ შეიცავს, ხოლო სიტყვა „თავისუფლება" კი თაფლის უფლებიდან წარმოსდგება.

**ზაზა ბურჭულაძე**

ნაწყვეტი წიგნიდან **„დილის მულტიმედია"**

„თავიდან ცხელი შხაპის ქვეშ ვდგები, ტანის სკრაბით ყელამდე საფუძვლიანად ვიქაფები. ცვილის გრანულები და ქოქოსის ბურბუშელა კანს სასიამოვნოდ მიმასაჟებს. წყალს მაქსიმალურად ვაცივებ, კბილებსაც ჩემებურად ვიხეხავ. ორი რამეა, რასაც, ალბათ, ველარ გადავეჩვევი: დილით ცივ შხაპს და კბილების ხეხვას ღრძილების დასისხლიანებამდე. მაინც არ მივარდება. სკრაბის მოტკბო არომატი ისევ ბობოს მახსენებს. მერე რა, რომ სპერმას არ ყლაპავს, ახლა დიდი სიამოვნებით მივცემდი პირში.



ჩემთვის ქალები ორ ნაწილად იყოფა: ვინც ყლაპავს და ვინც იგუბებს. დაკვირვებული ვარ, ვინც იგუბებს, უკეთეს მინეტს აკეთებს, ვიდრე ის, ვინც ყლაპავს. რასაკვირველია, ეს კანონზომიერება სულაც არაა. უბრალოდ, ჩემი გამოცდილებით ასე ვიცი. მაგალითად, ბობო არ ყლაპავს, მაგრამ მინეტს ქალღმერთივით აკეთებს. რომ ვათავებ, პირი სპერმით ევსება, გული კი ლოცვებით. ესაა ნამდვილი მინეტი. წმინდანთა დისციპლინა პირში სპერმა, გულში ლოცვა, ხელში ყ..."

**რედაქციისგან:** მკითხველს ბოდიშს ვუხდით ამ უხამსი ფრაგმენტების გამოქვეყნებისთვის, თუმცა საბოდიშო, პირველყოვლისა, ალბათ, იმას აქვს, ვინც ამგვარ მაკულატურას მწერლობად ასაღებს და არცთუ იშვიათად ლიტერატურული პრემიებისკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქს უნთებს.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— სად უნდა შევიტანოთ განცხადება შვილად აყვანის შესახებ?**

— განცხადება შვილად აყვანის შესახებ შეიტანება სასამართლოში მშვილებლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**— შემიძლია თუ არა სამოქალაქო საქმეზე გავაკეთო შენიშვნები სხდომის ოქმთან დაკავშირებით და რა ვადებში?**

— სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე, შენიშვნები უნდა დაერთოს საქმეს. შენიშვნებს საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო), განიხილავს მათი შეტანიდან 5 დღის ვადაში და გამოაქვს განჩინება შენიშვნების შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლი).



* * *

**— შეიძლება თუ არა დაქორწინებული პირის შვილად აყვანა?**

— შვილად აყვანა შეიძლება არა მარტო არასრულწლოვანი ბავშვის, არამედ სრულწლოვანი პირისაც. დაქორწინებაც შეიძლება როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი პირის. როცა არასრულწლოვანი პირი ქორწინდება, იგი სრულ ქმედითუნარიანობას იძენს. სრულწლოვან დაქორწინებულ პირს ისედაც გააჩნია იგი. ამიტომ, ყველა შემთხვევაში კანონით, დაქორწინებული პირის შვილად აყვანისას სხვა პირობებთან ერთად საჭიროა მისი მეუღლის თანხმობაც. ასეთი თანხმობა არ იქნება საჭირო, თუ მისი მიღება შეუძლებელია მეუღლის არაქმედითუნარიანობის ან იმის გამო, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი უცნობია.

* * *

**— ვარ მოპასუხე. სამწუხაროდ, შესაგებელში არ მივუთითე იმ გარემოებებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი იყო. როცა მოვინდომე ამ გარემოებების დაფიქსირება საქმის განხილვის დროს, სასამართლომ არ მიიღო ჩემი მტკიცებულებები. რამდენად კანონიერია ეს?**

— ამ შეკითხვაზე ასე ცალსახად ჩემი მხრიდან ძნელია პასუხის გაცემა, მაგრამ მთლიანად გაგაცნობთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის შინაარსს და დასკვნა თვითონ გამოიტანეთ.

219-ე მუხლის I ნაწილი: მხარეები შეზღუდულნი არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

II ნაწილი: ამ მუხლის II ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახალი მტკიცებულებების წარდგენა ან ახალ გარემოებებზე მითითება არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, თუ წარდგენილი მტკიცებულებების სირთულიდან ანდა მოცულობიდან გამომდინარე, მათი გაცნობა სასამართლო სხდომაზე შეუძლებელია, აგრეთვე, თუ მხარე არგუმენტირებულად მიუთითებს მტკიცებულებების წარდგენის თაობაზე და სასამართლო მიიჩნევს, რომ წარსადგენ მტკიცებულებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

* * *

**— შემაქვს სარჩელი იურიდიული პირის წინააღმდეგ. რომელ სასამართლოში შევიტანო?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის I ნაწილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

* * *

**— სად აღვძრათ სარჩელი, როდესაც მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება მწერალ**

**ბიზო ჭელიძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

## „რთული პერიოდი დადგება. შემოდგომაზე ბევრი სიძნელის გადალახვა მოუწევს ქართველ საზოგადოებას. უნდა ვილოცოთ — ეს არაა ლიტონი სიტყვები. ლოცვით ზღვა ბრუნდებაო. — ნათქვამია“

**ვესაუბრებით ნათელმხილველს, ქალბატონ მირანდა შარიას. იგი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, აწმყოსა და მომავალს მისი აურის მიხედვით განსაზღვრავს.**

**— ქალბატონო მირანდა, როგორც თქვენ აღნიშნეთ ადამიანის აურა ბევრ ინფორმაციას აწვდის ნათელმხილველს პიროვნების შესახებ, მისი საშუალებით მომავლის განსაზღვრაც კი შესაძლებელია. თქვენ როდის აგეხილათ ეს, ეგრეთ წოდებული, მესამე თვალი?**

— ჩემ შემთხვევაში მაპროვოცირებელი გახდა ავარია, რასაც ჩემი კლინიკური სიკვდილი მოჰყვა. ამ ამბის შემდეგ ხილვები მალევე არ დამწყებია. ჯერ ინტუიცია გამიმახვილდა, რასაც უნებლიედ გავიფიქრებდი, ცოტა ხანში რეალურად ხდებოდა, მერე ამას მოჰყვა ყნოსვითი წინათგრძნობა. ნათესავთან ვიყავი სტუმრად და წამლების სუნი მეცა ისე, რომ სიახლოვეს არც ერთი წამალი არ იდო, სულ მალე საავადმყოფოში მოხვდა. ასევე, თუ რაიმე სასიამოვნო ნელსურნელებას ვიგრძნობდი, კარგი ამბავი უნდა შემეტყო, უსიამოვნო სუნის შეგრძნებას ცუდი ამბავი მოჰყვებოდა ხოლმე და ასე შემდეგ. ერთ დღესაც დამეწყო თავის ტკივილები, ეს ახალი არ იყო ჩემთვის, ავარიის შემდეგ პერიოდულად მქონდა, წამლებს სისტემატურად ვიღებდი, ჰოდა, ერთ ასეთ დღეს ჩემი მეგობრის აურა დავინახე, ჯერ შემეშინდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვხედავდი. გგავიარე კონსულტაცია ერთ-ერთ ცნობილ პარაფსიქოლოგთან, მივიღე საკმაო ინფორმაცია აურისა და პარანორმალური მოვლენების შესახებ. თან ადამიანებს ვაკვირდებოდი, ფერის და ფორმის მიხედვით დიაგნოზს ვსვამდი და მის მდგომარეობას და ხანდახან მომავალსაც ვსაზღვრავდი.



**— გყავთ მოძღვარი და თუ იცის მან თქვენი თვისების შესახებ?**

— დიახ, მყავს. იცის მან რომ ხილვები მაქვს. თავიდანვე მოვუყევი ყველაფერი. არ გაჰკვირვებია, რადგან თვითონაც ჰქონია ხილვები, ამიტომაც ესმის ჩემი. ოღონდ მკითხა ყავის ნალექს ან კარტს ხომ არ იყენებო. აარამეთქი. მთავარია ამათზე არ იმკითხავო და ის ნიჭი, რაც ღმერთმა მოგანიჭა, ადამიანების დასახმარებლად გამოიყენეო. მან იცის, რომ რაღაც ზეციური ძალა მიჩვენებს ამ ყველაფერს და არ ვმკითხაობ.

**— ეს რაც შეეხება თითოეულ პიროვნებებს. ზოგადი ხილვები თუ გქონიათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით?**

**და რას გვეტყვით მიმდინარე პროცესებზე?**

— ახლა ისეთი პროცესები მიდის საქართველოში, ყველას გონება ნებით თუ უნებლიედ ამათკენაა მიმართული. ვერ გეტყვით ვცდები თუ არა, მაგრამ, ჩემი თვალით მე ბატონ ვანო მერაბიშვილში იმ კაცს ვხედავ (მე რა, თქმა უნდა აურა მეუბნება ამას პირველ რიგში, მაგრამ მაინც ასე ვთქვათ) რომელიც "ხელებს იბანს", რომ მერე დარჩეს „სუფთა“. მიუთითოს სხვაზე: აი, ბატონო, ჩემზე რას ამბობდით და ამ კაცმა რა გააკეთა. მას სურს სისუფთა დარჩეს, არ დაიღვაროს სისხლი მისი ხელიდან, არც დაღვრიდა. ის კი, ვინც მის ადგილზეა, პირსისხლიანია. ასეც აწყობს პრეზიდენტს, რადგან იგი კუდის მოუქნევლად არ წავა. ასევე: იქნება ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის მცდელობა, მაგრამ გადარჩება. დროს და ადგილს არ მიჩვენებს.

**— თვითონ ნაციონალების გუნდში შინაგანად რა სიტუაცია ჩანს?**

— ნაციონალებში ახლო მომავალში ვხედავ დიდ შეჯახებას. რატომღაც მეჩვენა ახალაიებისა და კოდუების დიდი დაპირისპირება, რაც სააშკარაოზეც გამოვა და სიტუაცია ძალიან დაიძაბება. ხილვიდან და აურიდან გამომდინარე, მათგან მოდის სისასტიკე, ულმობელობა.

დიდი სარტყმა მოდის დასავლეთის მხრიდან. აპრ ვიცი, აფხაზეთი ვთქვა თუ როგორ, სამეგრელოც მენიშნა. სისხლი ცოტა თუ ბევრი, მაინც უნდა დაიღვაროს. დდარტყმა პროვოცირებულია რუსეთის მხრიდან.

**— ეს ამბები არჩევნებამდე თუ მერეა მოსალოდნელი?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ არ გამოვრიცხავ რომ არჩევნებამდე ძალიან დაიძაბოს სიტუაცია. რატომღაც ძალიან დიდი შიში მაქვს სექტემბრის 20 რიცხვის შემდგომი დღეებისა, დაკონკრეტება არ შემიძლია, რატომ. განსაკუთრებით არ მომწონს სექტემბრის ბოლო ხუთი დღე.

ოქტომბერში მენიშნება კვამლი, შიდა ბრძოლა, დაპირისპირება თვითონ ნაციონალებში. ასევე ბევრი მათგანი ფიქრობს ივანიშვილს შეუერთდეს, სანამ დროა.

**— ბიძინა ივანიშვილის შესახებ რას გვეტყვით?**

— მე უკვე გითხარით, რომ აურა მარტო ჯანმრთელობაზე არ მიუთითებს. მასზე გარემოც მოქმედებს. ივანიშვილს ძალიან ცუდი გარემო ჰყავს. რასაკვირველია, არიან იქ ერთგული, საქმიანი ადამიანები, მაგრამ უფრო მეტ ინტრიგანს ვხედავ, ცუდი ენერგია მოდის მათგან. მე მინდა ვთხოვო, გავაფრთხილო იგი: მივიდეს მისთვის ნდობით აღჭურვილ პირთან და აურა გააწმენდინოს, რათა სასიკეთოდ დაიძრას მისი საქმეები. შებინდულია მისი აურა, არ ასხივებს ისე, როგორც საჭიროა.

**— როგორი აურა აქვს პრეზიდენტს?**

— ძალიან გაჭუჭყიანებული. ბიოველიც გადახრილი აქვს, რაც ჯანმრთელობის გაუარესებას განაპირობებს. ვერ ვიტყვი გამოსაკვლევია-მეთქი, ჩემი თქმა რად უნდა, უკვე ბევრჯერ იქნება გამოკვლეული, მაგრამ მე ვამბობ ჩემი ხედვით, რასაც ვხედავ. ცუდ მდგომარეობაში აქვს ფსიქიკა, თავი, უროლოგიური გზები და გული — ესენი არც ერთი არ მომწონს.

**— დავუბრუნდეთ დღევანდელობას. არჩევნების შემდგომ როგორ წავა მოვლენები?**

— გაიმარჯვებს ივანიშვილი, ხალხი მხარს უჭერს. მაგრამ მე რატომღაც მის გვერდით სულ მენიშნება პოლიტიკური ფიგურა ქალის სახით. ქალი დგება მის გვერდით, მას იგი მხარს უჭერს. მივანიშვილს არ სურს პრეზიდენტობა. იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა პოლიტიკაში, მაგრამ არა პირველი. პრეზიდენტობას კი ქალს უთმობს, ვერ გეტყვით ვის.

**— კატაკლიზმები ხომ არაა ისევ მოსალოდნელი?**

— წყალდიდობები ძირითადად, მიწისძვრის ტალღასაც ვხედავ, მაგრამ რეგიონს ვერ დაგისახელებთ ზუსტად, რაღაც მთები მეჩვენება, მაგრამ სად, რომელი, ვერ გეტყვით. ამას მინდა დავამატო: უნდა ვილოცოთ. ბევრი ცუდი რამ ხდება და კიდევ მოსალოდნელია ჩვენ ქვეყანაში. სისხლით დაიწყო ქუთაისის პარლამენტის მშენებლობა და სისხლით დამთავრდა. ხარახოები ჩამოინგრაო, ხარაჩო კი არა, მთელი კედელია ჩამონგრეული, ავტოქარხნის ტერიტორიაზე მეჩეთს აშენებენ, იქაც მსხვერპლი იყო. ამდენ მინიშნებას გვაძლევს უფალი და ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ.

**თამუნა ქადაგიძე**

# ჩაცმის სტილი და ზოდიაქოს ნიშნები

## ცეცხლის სტიქია

**ვერძი** - ზოდიაქოს ეს ნიშანი შემოსვის არაორდინარული სტილით გამოირჩევა და დახვეწილ ტანსაცმელსა და აქსესუარებს ანიჭებს უპირატესობას. მანდილოსნები უფრო ღია ფერის კაბებს ირჩევენ, მამაკაცები კი - ისეთ პიჯაკსა და ფეხსაცმელს, რომლებიც მათ ამბიციებს უფრო წარმოაჩენს. თუმცა, არც სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ამბობენ უარს.



**ლომი** - ისევე, როგორც ვერძი და მშვილდოსანი, ლომიც ცეცხლის სტიქიის ნიშანია, თუმცა ჩაცმის სტილი უფრო დახვეწილი აქვს. ლომის მმართველი პლანეტა მზეა, ამიტომ, მის სამოსში ოქროსფერი ჭარბობს. უყვარს ტყავის ტანსაცმელი და აქსესუარები (ოქროთი და ძვირფასი ქვებით გაწყობილი).

უნდა ითქვას, რომ ეს ნიშანი უფრო მეტ ყურადღებას სამარკო ნიშანსა და ფასს აქცევს, ვიდრე ფორმასა და ფერებს, მისი აზრით, პიჯაკი, რომელიც ძვირი ღირს, ხარისხიანიც იქნება.

**მშვილდოსანი** - მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიშნით დაბადებულ ადამიანებს აქვთ საშუალება კარგად შეიმოსონ, დახვეწილი გემოვნებით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევიან. საერთოდ კი, მშვილდოსნები უფრო ჩაცმის სპორტულ სტილს ამჯობინებენ და ჯინსში უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს, ვიდრე პიერ კარდენის კოსტიუმში. მშვილდოსნები უფრო კლასიკურ ფერებს ამჯობინებენ - თეთრს, შავს, მუქ ლურჯს და მეწამულს.

## მიწის სტიქია

**კურო** - მიწის სტიქიის ეს ნიშანი სასწორსა და ლომთან ერთად დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა. კუროს ხომ პლანეტა ვენერა მართავს - ხელოვნების, სილამაზისა და ესთეტიკის პლანეტა. ამ ნიშნით დაბადებულ მანდილოსნებს ბევრი აქსესუარი არ უყვართ და ცდილობენ, ჩაცმულობაში ბევრი წვრილმანი არ იყოს.

ეს ნიშანი გაზაფხულის ფერებს ანიჭებს უპირატესობას - მწვანეს, ღია ლურჯსა და ცისფერს, თუმცა, არც თეთრზე ამბობს უარს.

**ქალწული** - სამოსსა და მის ფერს დიდ ყურადღებას აქცევს. თუმცა მეტად პრაქტიკულია და თუ კუროსთვის, ლომისთვის ან თხის რქისთვის "დოლჩე და გაბანა" ბევრს ნიშნავს, მისთვის ეს მარკა არაფერია. ყურადღება დეტალებზე გადააქვს და შესაძლოა, აქსესუარებით ისე გემოვნებიანად მორთოს ტანსაცმელი, რომ იმავე "დოლჩე და გაბანას" სამოსს არაფრით ჩამოუვარდებოდეს. თუ ვინმეს შავისა და თეთრის კომბინაცია უხდება, ეს სწორედ ქალწულია.



**თხის რქა** - მას, მთავარია, საშუალება ჰქონდეს და პირდაპირ პარიზისა და მილანის მოდის სახლებს მიაკითხავს და ცნობილ დიზაინერებს ექსკლუზიურ სამოსს დაამზადებინებს.

მკაცრ ფორმებსა და ფერებს ირჩევს. იშვიათად ნახავთ შორტში ან სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილს. აქსესუარებს იშვიათად ან არასდროს ხმარობს. მოსწონს პრიალა შავი, ნაცრისფერი, კრემისფერი, ყავისფერი.

## ჰაერის სტიქია

**ტყუპები** - ის მხიარული ადამიანია, უყვარს მკვეთრი ფერები, მამაკაცებს - თეთრი შარვალი, მანდილოსნებს კი - დეკოლტე და ჩახსნილი ქვედა ბოლო, თუმცა, არც შარვალზე ამბობენ უარს. ტყუპები არ ცდილობს ძვირად ღირებული ტანსაცმელი ჰქონდეს (მას ურჩევნია, რომ შეიძინოს ბევრი და იაფი, ვიდრე ცოტა და ძვირიანი).



თუმცა ყოველთვის კარგად (ჰაეროვნად) გამოიყურება. ფერებიდან უპირატესობას მხიარულ ფერებს ანიჭებს - ნარინჯისფერს, ვერცხლისფერს.

**სასწორი** - ის ყოველთვის ახალგაზრდულ სტილს ირჩევს (თუნდაც, ასაკოვანი იყოს). მისი აქსესუარები ბრწყინვალეა, სასწორი-ქალი ფაიფურის ულამაზეს თოჯინას ჰგავს, სასწორი-მამაკაცი კი ნამდვილი დენდია. ამ ნიშანს ლურჯი, ფორთოხლისფერი და ცისფერი უხდება.

**მერწყული** - ამ ნიშანს ხიბლავს ყველაფერი "მკვეთრი", ორიგინალური და ექსტრავაგანტური. თუმცა, თუ ერთი შარვალი ან სვიტერი ამოირჩია, შესაძლოა, მთელი წლის განმავლობაში ატაროს. ფერთა შეხამებაც არატრადიციული და უჩვეულო იცის, ასე, რომ ძნელია განსაზღვრო, რომელ ფერს ანიჭებს უპირატესობას.

## წყლის სტიქია

**კირჩხიბი** - ეს ნიშანი მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს სამოსს და მის ფერს, რადგან ის უფრო ფულის დაგროვებაზეა აქცენტირებული, ამიტომ, ცდილობს, რაც შეიძლება იაფად ჩაიცვას. მას აქვს "გამოსასვლელი" ტანსაცმელი, რომელსაც დიდი რუდუნებით ინახავს. წლების მატებასთან ერთად უფრო იხვეწება და შემდეგ უფრო აქცევს ყურადღებას ჩაცმას, თორემ ახალგაზრდობაში ამაზე თითქმის არ ფიქრობს.



მას ძალიან უხდება მწვანე, შავი, მუქი ყვითელი და ვერცხლისფერი.

**მორიელი** - მას ბობოქარი ხასიათი აქვს და ცდილობს ჩაცმულობაშიც გამომწვევი და მისტიკური შტრიხები შეიტანოს, ერიდება ტანსაცმელსა და ფეხსაცმელში "დიდი ფულის" დახარჯვას. ფერებიდან ირჩევს - მეწამულს, შინდისფერს, შავსა და მელნისფერს.

**თევზები** - ეს ნიშანი "ჩარჩოში" არ ჯდება და თავისუფლად შეუძლია, ყველანაირი სტილის სამოსი მოირგოს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოდას არის აყოლილი. უბრალოდ, ისინი ისე არიან საკუთარ წარმოსახვაში "ჩაფლულნი", რომ ნაკლები დრო რჩებათ იფიქრონ, რა უნდა ჩაიცვან. თევზის ნიშნით დაბადებულნი უფრო ლურჯ ფერს ანიჭებენ უპირატესობას.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

# მილოცვა

„საერთო გაზეთის" ჟურნალისტს **ირინე გოგოსაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, □ა□ი-რ□ს, სიხარულს. იმრავლე და იხარე შენს მონატრებულ შვილთან ბიჭასთან და საყვარელ შვილიშვილებთან ერთად.

**„საერთო გაზეთის"**
**რედაქცია**

## თავსატეხი




ვერტიკალურად: [illegible]

ჰორიზონტალურად: [illegible]

## სამი სიტყვიდან ერთი



ვერტიკალურად: 1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 15. [illegible] 16. [illegible] 18. [illegible]

ჰორიზონტალურად: 3. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 12. [illegible] 14. [illegible] 17. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible] 21. [illegible] 22. [illegible]